

# სამოქალაქო პროცესი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

# საარბიტრაჟო შითანხმება

## ბანჩინება

№ას-1528-1534-2011

27 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
მ. სულხანიშვილი

**დავის საგანი:** საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების დასაშვებობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2011 წლის 30 სექტემბერს თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას განცხადებით მომართა ი. ჩ-ის წარმომადგენელმა ა. ვ-მა და მოითხოვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით მოპასუხე ნ. წ-ის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რომელიც აღმასრულებლის ნ. ს-ას აქტით იქნა დაყადაღებული 2011 წლის 20 ივლისს. ასევე მოითხოვა მოვალე ნ. წ-ის სახლეზე საქართველოს ყველა საბანკო დაწესებულებაში გახნილ აგრარიშსა და ანაბარზე ყადაღის დადება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

განმცხადებელმა განმარტა, რომ თბილისის სამედიატორო სასამართლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „მ-ის“ 2009 წლის 7 ივლისს გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. ჩ-ის საარბიტრაჟო სარჩელი და მოპასუხე ნ. წ-ს ი. ჩ-ის სასარგებლოდ დაეკისრა სესხის ძირითადი თანხა 4000 აშშ დოლარის, ასევე პროცენტის სახით 1000 აშშ დოლარისა და პირგასამტეხლოს სახით ყოველდღიურად 12 აშშ დოლარის გადახადა იძულებით აღსრულებამდე. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, აღმასრულებელმა ნ. ს-ამ მოიძია მოპასუხე ნ. წ-ის ერთადერთი მოძრავი ქონება და 20.07.2011 წლის აქტით აღწერა იგი და დააყადაღა.

თბილისის სამედიატორო სასამართლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟი „მ-ის“ 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების (რომლითაც გაუქმდა ამავე არბიტრაჟის 2009 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება) სასამართლოს მიერ ცნობისა და აღსრულებ-

ბის შედეგად გაუქმდება აღმასრულებელ ნ. ს-ას მიერ 2011 წლის 20 ივლისს მოპასუხე ნ. ნ-ის კუთვნილ მოძრავ ქონებაზე დადებული ყადაღა და, მიუხედავად იმისა, რომ დავა არბიტრაჟში დღესაც გრძელდება შეწყდება სააღსრულებო წარმოება, რის გამოც განმცხადებლის მოსაზრებით, მოვალეს დაუბრკოლებლად შეეძლება ქონების გასხვისება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას 2011 წლის 30 სექტემბრის საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით განმცხადებელმა, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 198-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მოითხოვა განცხადების დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინებით ი. ჩ-ს უარი ეთქვა საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356<sup>13</sup> მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ საქმეებს განიხილავენ სააპელაციო სასამართლოები. ამავე კოდექსის 356<sup>18</sup> მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეთა შორის საარბიტრაჟო შეთანხმების არსებობისას, საარბიტრაჟო მოსარჩელის განცხადების საფუძველზე სასამართლო უფლებამოსილია საარბიტრაჟო სარჩელის მიმართ გამოიყენოს უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია, რომ ი. ჩ-ს წარდგენილი აქვს თბილისის სამედიატორო სასამართლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟ „მ-ში“ საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხე ნ. ნ-ის მიმართ, სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თაობაზე. საარბიტრაჟო მოთხოვნა ემყარება 2008 წლის 8 დეკემბერს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად – მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს კერძო არბიტრაჟმა, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე მხარე.

„არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმება არის შეთანხმება, რომლითაც მხარეები თანხმდებიან, განსა-

ხილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას. სამოქალაქო კოდექსის 50-ე მუხლის მიხედვით, გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, „არბიტრაჟის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმება ასევე წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შინაარსობრივად ურთიერთთანხმდებრივ ნების გამოვლენას (გარიგებას), რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს ნების გამოვლენის ნამდვილობის ყველა წინაპირობას. კანონის ზემოთ დასახელებული ნორმების შინაარსიდან გამომდინარე, პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განიხილოს იმ არბიტრაჟმა, რომელზეც შეთანხმდებიან მხარეები საარბიტრაჟო შეთანხმების დადებისას. შეთანხმებაში პირდაპირ უნდა იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამომდინარეობდეს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ზოგადი დათქმა დავის კერძო არბიტრაჟის მიერ განხილვის თაობაზე არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ საარბიტრაჟო შეთანხმებად, ვინაიდან მხარეები არ შეთანხმებულან ხელშეკრულების არსებით პირობაზე – კონკრეტულ არბიტრაჟ-

ზე, რომლის კომპეტენციასაც აღიარებს ორივე მხარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეები არ შეთანხმებულან მუდმივ-მოქმედ არბიტრაჟ „მ-ში“ დავის განხილვის თაობაზე, რის გამოც იგი არ იყო უფლებამოსილი განეხილა ი. ჩ-ის საარბიტრაჟო სარჩელი ნ. წ-ის მიმართ თანხის დაკისრების მოთხოვნით. ი. ჩ-ის დარღვეული უფლების დაცვის მიზნით უფლება ჰქონდა მიემართა განსჯადი სასამართლოსათვის საერთო სასარჩელო წარმოების წესების დაცვით და ასევე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა ი. ჩ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება იმ საფუძველით, რომ 2011 წლის 4 ოქტომბრის სხდომის ოქმით, უტყუარად დასტურდებოდა, რომ ნ. წ-ი მონაწილეობდა სხდომაზე და მას არბიტრაჟისა და არბიტრის მიმართ აცილება ან რაიმე სახის პრეტენზია არ ჰქონია, რაც ცხადყოფს, რომ იგი სრულად ეთანხმებოდა კონკრეტული არბიტრაჟის განსჯადობას მათ შორის არსებულ დავაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, კერძო საჩივრის საფუძველიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. ჩ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, ი. ჩ-ს წარდგენილი აქვს თბილისის სამედიატორო სასამართლო მუდმივმოქმედი არბიტრაჟ „მ-ში“ საარბიტრაჟო სარჩელი მოპასუხე ნ. წ-ის მიმართ, სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების თაობაზე. საარბიტრაჟო მოთხოვნა ემყარება 2008 წლის 8 დეკემბერს სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად – მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა უნდა განიხილოს და გადაწყვიტოს კერძო არბიტრაჟმა, რომელსაც ირჩევს მოსარჩელე მხარე.

მოცემულ შემთხვევაში საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ი. ჩ-ის განცხადების წარმოებაში მიღებაზე სააპელაციო სასამართლოს უარი დასაბუთებულია იმით, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ

შეთანხმებულან კონკრეტულ არბიტრაჟზე, რის გამოც მუდმივ-მოქმედი არბიტრაჟი „მ-ი“ არ იყო უფლებამოსილი განეხილა ი. ჩ-ის საარბიტრაჟო სარჩელი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ი. ჩ-ს დარღვეული უფლების დაცვის მიზნით შეუძლია მიმართოს განსჯად სასამართლოს საერთო სასარჩელო წარმოების წესების დაცვით და ასევე, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შუამდგომლობით.

საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე უარის თქმის მოტივებს.

საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება კერძო საჩივრის ავტორს, რომ მუდმივმოქმედ არბიტრაჟ „მ-ის“ 2011 წლის 4 ოქტომბრის სხდომის ოქმით, უტყუარად დასტურდებოდა, რომ ნ. წ-ი მონაწილეობდა სხდომაზე და მას არბიტრაჟისა და არბიტრის მიმართ აცილება ან რაიმე სახის პრეტენზია არ ჰქონია, რაც ცხადყოფს, რომ იგი სრულად ეთანხმებოდა კონკრეტული არბიტრაჟის განსჯადობას მათ შორის არსებულ დავაზე.

„კერძო არბიტრაჟის შესახებ“ 1997 წლის 17 აპრილის საქართველოს კანონის (გაუქმდა „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 19 ივნისის კანონით) პირველი მუხლის შესაბამისად, პირებს შორის წამოჭრილი სამოქალაქო დავა მათივე შეთანხმებით განსახილველად გადაეცემა მუდმივმოქმედ ან ამ დავისათვის საგანგებოდ შექმნილ დროებით კერძო არბიტრაჟს; შეთანხმება არბიტრაჟის განსახილველად დავის გადაცემის შესახებ (საარბიტრაჟო შეთანხმება) იდება წერილობით.

„არბიტრაჟის შესახებ“ 2009 წლის 19 ივნისის საქართველოს კანონის მე-8 მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების თანახმად, საარბიტრაჟო შეთანხმებით მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. საარბიტრაჟო შეთანხმება შეიძლება დაიდოს ხელშეკრულებაში საარბიტრაჟო დათქმის ან ცალკე შეთანხმების ფორმით. ამავე მუხლის მე-6 პუნქტით, საარბიტრაჟო შეთანხმება ითვლება წერილობითი ფორმით დადებულად, თუ იგი გაფორმებულია საარბიტრაჟო სარჩელისა და საარბიტრაჟო შესაგებლის გაცვლით, როდესაც ერთი მხარე ამტკიცებს, ხოლო მეორე მხარე არ უარყოფს შეთანხმების არსებობას.

კანონის დასახელებული ნორმების შინაარსი ცხადყოფს,

რომ არბიტრაჟისათვის დავის განსახილველად გადაცემის შეთანხმების შინაარსი უნდა შეიცავდეს მხარეთა ნამდვილი ნების გამოხატვას კონკრეტული სამოქალაქო დავის კონკრეტული არბიტრაჟის მიერ საარბიტრაჟო წესით განხილვის თაობაზე. როდესაც მხარეები თანხმდებიან, რომ დავა განიხილოს არბიტრაჟმა და არა სასამართლომ, იმავდროულად ისინი გამოხატავენ ნებას, რომ თანახმა არიან მათ დავაზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს საარბიტრაჟო განხილვის წესით, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება საერთო სასამართლოებში სამოქალაქო საქმის განხილვის წესისაგან. ასეთ შემთხვევაში მხარეთა გადაწყვეტილებას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს ნდობა მუდმივმოქმედი თუ კონკრეტული კერძო არბიტრაჟისადმი. შესაბამისად, მხარეთა ნება დავის ამგვარი წესით განხილვის შესახებ ემყარება მათ ნდობას შერჩეული არბიტრაჟისადმი, რომელიც, კანონის თანახმად, შეიძლება იყოს როგორც მუდმივმოქმედი, აგრეთვე დროებითი, კონკრეტული დავისათვის საგანგებოდ შექმნილი.

ამდენად, საარბიტრაჟო შეთანხმება – ესაა კერძო-სამართლებრივი შეთანხმება საპროცესო ურთიერთობების ფორმის არჩევის შესახებ. იგი შეიძლება გაფორმდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე წარმოადგენდეს მხარეთა შორის დადებული სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთ-ერთ პირობას. ნებისმიერი შეთანხმება, რომლითაც მხარეებს სურთ მათ შორის არსებული დავის განხილვა არბიტრაჟის მიერ, შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს იმ მინიმუმს, რომელიც აუცილებელია საარბიტრაჟო შეთანხმებად მისი კვალიფიკაციისათვის, კერძოდ, საარბიტრაჟო შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა ირკვეოდეს მხარეთა სურვილი, მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა განსახილველად გადაეცეს შესაბამის არბიტრაჟს და არა საერთო სასამართლოს. ამ შეთანხმებით ასევე ზუსტად უნდა დგინდებოდეს, თუ რომელ სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა უნდა განიხილოს არბიტრაჟმა და შესაძლებელი უნდა იყოს იმ არბიტრაჟის იდენტიფიცირება, რომელმაც უნდა განიხილოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები. დაუშვებელია საარბიტრაჟო დათქმიდან ორი ან მეტი არბიტრაჟის განსჯადობა გამო-

დინარეობდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო შემთხვევაში 2008 წლის 8 დეკემბერს ი. ჩ-სა და ნ. წ-ს შორის დადებულ სესხის ხელშეკრულებაში არსებული დათქმა ვერ მიიჩნევა კონკრეტულ არბიტრაჟზე შეთანხმებად, შესაბამისად, განმცხადებელს სწორად ეთქვა უარი საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებაზე.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე და 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

ი. ჩ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 30 სექტემბრის განჩინება;

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



**სასამართლოს სარჩების გადახდისაგან  
გათავისუფლება**

**განჩინება**

№ას-1331-1257-2012

22 ნოემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა სადგომის ღირებულების 75%-ის გადახდის სანაცვლოდ (სარჩელში) მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობა (შეგებებულ სარჩელში)

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ს-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ბ-ას მიმართ და მოითხოვა მოპასუხე ვ. ბ-ის მიერ ნ. ს-ის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, ს-ის ქ. №8ა-ში მდებარე საცხოვრებელ სადგომზე მფლობელობის შეწყვეტა, საბაზრო ღირებულების 75%-ის – 24 150 ლარს გადახდის სანაცვლოდ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს სადავო საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ნ. ს-ს ვ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 24 150 ლარის გადახდა და ამ ვალდებულების შესრულების შემდგომ, ვ. ბ-ს შეუწყდა მის მიერ დაკავებული საცხოვრებელი სადგომის – თბილისში, ს-ის ქ. №8ა-ში მდებარე 25,74 კვ.მ ფართის მფლობელობა, ამავე გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ვ. ბ-ის შეგებებული სარჩელი დაკავებული საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრედ ცნობის შესახებ, რაც ვ. ბ-ამ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის განჩინებით აპელანტ ვ.ბ-ას დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბაჟის სახით 966 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

ხარვეზის შესავსებად დადგენილი ვადა აპელანტს გაუგრძელდა სააპელაციო პალატის 2012 წლის 6 ივლისის განჩინებით, ხოლო 2012 წლის 23 ივლისის განჩინებით, უკვე გადახდილი 100 ლარის გათვალისწინებით, აპელანტს დაევალა დამატებით 866 ლარის გადახდა.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი არის ნივთზე მფლობელობის შეწყვეტა და არა მისთვის მიკუთვნებული საკომპენსაციო თანხის ოდენობა, რისთვისაც ბინის ღირებულებას მნიშვნელობა არა აქვს. აპელანტს განემარტა, რომ მოცემული დავა გამომდინარეობს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ სპეციალური კანონიდან, რომელიც ითვალისწინებს მოსარგებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტას არა უპირობოდ, არამედ, მესაკუთრის მხრიდან გარკვეული კომპენსაციის გადახდის პირობით. ამდენად, მფლობელობის შეწყვეტა საკომპენსაციო თანხისაგან განუყოფელია. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, სააპელაციო საჩივრის ღირებულების განსაზღვრაც იმ თანხის შესაბამისად უნდა მოხდეს, რომლის ანაზღაურების სანაცვლოდაც დადგინდა მოსარგებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის მფლობელობის შეწყვეტა.

ამდენად, სასამართლოს მითითებით, აპელანტ ვ.ბ-ს არაერთხელ განემარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი ვალდებული იყო სახელმწიფო ბაჟის სახით გადაეხადა 24150 ლარის 4%, რაც 966 ლარს შეადგენს, ასევე განემარტა, რომ დადგენილ ვადაში ხარვეზის შეუვსებლობის შემთხვევაში, სააპელაციო საჩივარი განუხილველად დარჩებოდა.

აღნიშნულის მიუხედავად, ვ. ბ-მა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში სახელმწიფო ბაჟი დადგენილი ოდენობით არ გადაიხადა და 2012 წლის 3 აგვისტოს კვლავ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს, რომელშიც მიუთითა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით დასაბუთებული არ არის, თუ ამავე კოდექსის 41-ე მუხლის რომელ პუნქტზე დაყრდნობით განსაზღვრა სასამართლომ დავის საგნის ღირებულება. იგი თანახმაა, გადაიხადოს

უკანონოდ მოთხოვნილი თანხა სრული მოცულობით მხოლოდ მას შემდეგ, რაც სასამართლო დაასაბუთებს გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის გამოიანგარიშებას. ამასთან, მოითხოვა საპროცესო მოქმედების შესრულების ვადის კვლავ გაგრძელება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, განსახილველ შემთხვევაში, აპელანტს დადგენილი ხარვეზის შევსების ვადა ორჯერ გაუგრძელდა. მიუხედავად ამისა, მან არ შეასრულა სასამართლოს დავალება სახელმწიფო ბაჟის სრულად გადახდის თაობაზე, ვინაიდან იგი არ ეთანხმება სასამართლოს მიერ დავის საგნის ღირებულების განსაზღვრასა და მის შესაბამისად გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის ოდენობას. აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ განცხადებაში მითითებული იგივე საფუძველებით (რაც ხარვეზის შევსების ვადის ორჯერ გაგრძელების საფუძველი გახდა) საპროცესო ვადის კიდევ ერთხელ გარძელების შესახებ შუამდგომლობა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სასამართლომ სააპელაციო საჩივარი დატოვა განუხილველად.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე ვ. ბ-ამ შეიტანა კერძო საჩივარი, მოითხოვეს მისი გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოსათვის სააპელაციო საჩივრის წარმოებაში მისაღებად შემდეგი საფუძველებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 39-ე მუხლის 1<sup>1</sup> მუხლში განხორციელებული ცვლილება და აპელანტი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან უკანონოდ არ გაათავისუფლა იმ მოტივით, რომ იგი მოსარჩელეს წარმოადგენდა შეგებებულ სარჩელთან მიმართებით, ხოლო ძირითად სარჩელში იყო მოპასუხე. შესაბამისად, პალატამ სახელმწიფო ბაჟის გადახდა მხარეს დააკისრა, როგორც მოპასუხის სტატუსის მქონეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ვ. ბ-ას კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება გაუქმდეს და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელები – „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე საქმეზე სახელმწიფო ბაჟის ოდენობით.

მითითებული კანონის დანაწესის განმარტებისას უპირველესად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის სამართლებრივი სპეციფიკა, რაც „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონით მონესრიგებულ სამართლებრივ ურთიერთობებს ახასიათებს. საცხოვრებელ სადგომზე მხარეთა დავის დროს კანონმდებელი, გარკვეული კომპენსაციის გადახდის სანაცვლოდ, სადგომის მოსარგებლეს უძრავ ნივთს მიაკუთვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრეს არ გამოუხატავს ნება, ასევე კომპენსაციის ანაზღაურების შემდეგ, შეუწყვიტოს მფლობელობა მოსარგებლეს. ასეთ შემთხვევაში სასამართლო საქმეში წარმოდგენილია როგორც მესაკუთრის, ისე მოსარგებლის სასარჩელო და შეგებებული სასარჩელო მოთხოვნები, რომლებიც ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან, გააჩნიათ საერთო დავის საგანი და მიმართულია ერთიდაიმავე ობიექტისაკენ.

მოცემულ შემთხვევაში აპელანტი ასაჩივრებდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 22 მაისის გადაწყვეტილებას ძირითადი მოსარჩელე ნ. ს-ის – საცხოვრებელი სადგომის მესაკუთრის სარჩელის დაკმაყოფილებისა და აპელანტის, როგორც მოსარგებლის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. შესაბამისად, ფორმალური თვალსაზრისით, ვ.ბ-ა ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში წარმოადგენს მოპასუხეს, თუმცა საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკითხის ამგვარად განხილვა გამოიწვევს სწორედ ზემოაღნიშნული სპეციფიკის უგულვებლყოფას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოხსენებული ნორმა ითვალისწინებს სახელმწიფო ბაჟის გადახდასთან დაკავშირებულ შეღავათს – სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებას „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე სამოქალაქო დავებზე და ერთმნიშვნელოვნად ადგენს იმ პირთა წრეს, რომლებზეც აღნიშნული შეღავათი უნდა გავ-

რცელდეს. ასეთია ყველა მოსარჩელე, რომელმაც მოთხოვნა წარადგინა საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილ ურთიერთობებთან დაკავშირებულ სადავო საკითხებზე და მნიშვნელობა არა აქვს, მომავალში სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში დავის წარმოებისას იქნება თუ არა აღნიშნული მოსარჩელე აპელანტი, კასატორი თუ კერძო საჩივრის ავტორი. აღნიშნული დავის ფარგლებში იგი ყოველთვის უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ კერძო საჩივრის ავტორი ვ. ბ-ა განსახილველ დავაში სარგებლობს შეგებებული სარჩელის ავტორის სტატუსით, ამდენად, იგი უდავოდ წარმოადგენს მოსარჩელეს დავაში „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე და ექცევა ზემოთ მითითებული ნორმის მოქმედების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლო იზიარებს კერძო საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ მოცემული საქმე უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატას ვ. ბ-ას სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

ვ. ბ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 აგვისტოს განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხის ხელახლა შესამოწმებლად.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# შარი ბაჟის გადახდის გადავადებაზე

## განჩინება

№ას-41-39-2013

4 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება

### აღწერილობითი ნაწილი:

სს „ს.ბ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის მიმართ საკრედიტო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესახებ.

2012 წლის 12 ივნისს, მოპასუხეების მიერ შესაგებლის წარუდგენლობის გამო, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, მიიღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება, რომლითაც სს „ს. ბ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეებს: გ. ო-ს, ი. თ-სა და გ. კ-ს სს „ს. ბ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ძირი თანხის – 4980 ლარის, პროცენტის – 5282.51 ლარის, ჯარიმის – 7035.14 ლარის გადახდა, ამასთან, ი. თ-ის პასუხისმგებლობა განისაზღვრა – 9960 ლარით, ხოლო გ. კ-ის პასუხისმგებლობა – 9960 ლარით. ამავე სასამართლოს 2012 წლის 24 აგვისტოს განჩინებით მოპასუხეების საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული დაუსწრებელი გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

საქალაქო სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განჩინება მისი ძალაში დატოვების შესახებ სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ო-მა, ი. თ-მა და გ. კ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ამავე სასამართლოს 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით გ. ო-ის, ი. თ-

სა და გ. კ-ის შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის გამოსასწორებლად განისაზღვრა 10 დღის ვადა. ხარვეზის გამოსასწორებლად აპელანტებს დაევალოთ, წარედგინათ სახელმწიფო ბაჟის – 692 ლარის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი. ხარვეზის დადგენის განჩინება გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის წარმომადგენელ ბ. მ-ს პირადად ჩაბარდა 2012 წლის 3 ნოემბერს. საქმეში წარმოდგენილი რწმუნებულების საფუძველზე დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ ბ. მ-ი წარმომადგენდა გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის ინტერესებს ყველა ინსტანციის სასამართლოში და სარგებლობდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით წარმომადგენლისათვის მინიჭებული ყველა ძირითადი უფლებით.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილით და გზავნილის ბ. მ-ის ჩაბარება ასევე აპელანტებისათვის: გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის ჩაბარებად მიიჩნია. დადგენილი ხარვეზი 2012 წლის 3 დეკემბრისათვის აპელანტებს არ გამოუსწორებიათ. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად გათვალისწინებული ვადის ათვლა უნდა დაიწყოს პირის მიერ ამ მოქმედების შესრულების თაობაზე ინფორმაციის მიღების მომენტიდან, კონკრეტულ შემთხვევაში ასეთია დრო, როცა ხარვეზის თაობაზე განჩინება აპელანტებისათვის (მათი წარმომადგენლისათვის) ჩაბარებულად იქნა მიჩნეული – 2012 წლის 3 ნოემბერი. ამდენად, სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზი უნდა ყოფილიყო გამოსწორებული ამ დროიდან 10 დღის ვადაში – 2012 წლის 13 ნოემბრის ჩათვლით. დასახელებული ვადის გასვლის შემდეგ აპელანტის შესაძლებლობა, გამოესწორებინათ ხარვეზი, უნდა ჩაითვალოს გაქარწყლებულად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილ ვადაში აპელანტების მიერ ხარვეზის გამოსწორებლობა სასამართლომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობად მიიჩნია, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 374-ე მუხლისა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის წარმომადგენელმა ბ. მ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს დავალდებულება სააპელაციო საჩივრის განხილვაზე შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო საჩივრით მხარეებმა სასამართლოს წინაშე, სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის საფუძველზე,  
იშუამდგომლეს სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თა-  
ობაზე, რისი დაკმაყოფილების უფლებამოსილებაც სააპელაციო  
სასამართლოს გააჩნდა. მიუხედავად მხარის მცდელობისა, აპე-  
ლანტებს არც სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების და  
არც მისი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომ-  
ლობები არ დაუკმაყოფილდათ. ბანკების მიერ მოვალეებისათ-  
ვის შექმნილი კაბალური პირობების გათვალისწინებით, გ. ო-  
მა, ი. თ-მა და გ. კ-მა ითხოვეს მათი კერძო საჩივრის დაკმაყო-  
ფილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით გ. ო-ის, ი. თ-სა  
და გ. კ-ის კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანა-  
ლიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული გან-  
ჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩ-  
ნევს, რომ გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის კერძო საჩივარი არ უნდა  
დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად,  
კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარ-  
მოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინე-  
ბული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახ-  
მად კი, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასა-  
ციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს  
ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სა-  
ფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასა-  
მართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად  
იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს  
შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დადასტურებულია შემ-  
დეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-  
თა პალატის 2012 წლის 2012 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით  
აპელანტების შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გა-  
დავადების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ამავე განჩინებით სა-  
აპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი, რომლის გამოსწო-  
რებისათვის ვადა 10 დღით განისაზღვრა და აპელანტებს ამომ-



წურავად განემარტათ როგორც დაკისრებული საპროცესო მოქმედების შესრულების წესი, ისე მისი განუხორციელებლობის უარყოფითი შედეგები.

უდავოა, რომ სააპელაციო საჩივარში წარმოდგენილი შუამდგომლობა, რომლითაც აპელანტები მოითხოვდნენ სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებას, ემყარებოდა მათ ქონებრივ მდგომარეობაზე მითითებას, აპელანტთა განმარტებით, მედიასაშუალებით შეიტყვეს, რომ საბანკო ვალებთან დაკავშირებით მუშავებოდა სპეციალური კანონი.

საქმის მასალებით დასტურდება და კერძო საჩივრის საფუძველს არ წამოადგენს ის გარემოება, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის დაცვით პირადად ჩაბარდა აპელანტების წარმომადგენელ ბ. მ-ს 2012 წლის 3 ნოემბერს. დავას არ ინვეს და საქმეში წარმოდგენილი მინდობილობით დადასტურებულია გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის სახელით საქმის წარმოების უფლებამოსილების ბ. მ-ის მინიჭების ფაქტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის ძალით, უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის შეტყობინების ჩაბარება სააპელაციო საჩივარზე დადგენილი ხარვეზის თაობაზე 2013 წლის 3 ნოემბერს უშუალოდ აპელანტების ინფორმირებას წარმოადგენდა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულებისათვის დანიშნული 10-დღიანი ვადის დენის საფუძველს იყო.

სადავოს არ წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ სასამართლოს მიერ დანიშნული ვადა ამოიწურა 2012 წლის 13 ნოემბერს, ხოლო აპელანტებს დაკისრებული საპროცესო მოვალეობა არ შეუსრულებიათ და არც შუამდგომლობით მიუმართავეთ სასამართლოსათვის, აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 368-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და 374-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივრის დაუმეგბლად ცნობისა და მისი განუხილველად დატოვების წინაპირობას ქმნიდა.

რაც შეეხება კერძო საჩივრის მითითებას სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადებასა თუ მისი გადახდისაგან გათავისუფლების შესახებ შუამდგომლობაზე უარის თქმას, ასევე მოვალეებისათვის ბანკების მიერ შექმნილ კაბალურ პირობებს, აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო მიზანშე-

წონილად მიიჩნევეს განმარტოს შემდეგი:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარეს გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ანდა შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს. კანონის მითითებული ნორმა მოიცავს იმ ელემენტებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მართლმსაჯულების სამართლიან განხორციელებას. პირის უფლების შეზღუდვა ამ უფლებასა და სახელმწიფო ინტერესებს შორის დასაშვებია სამართლიანი ბალანსის შემთხვევაში. ამგვარი ბალანსი საქართველოს კანონმდებლობით დაცულია, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით, დაშვებულია რა კონკრეტული შეზღუდვა სამოქალაქო სამართლებრივი უფლებების სასამართლო წესით დაცვისას (სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულება), ასევე გათვალისწინებულია სამართლებრივი მექანიზმები ყველა კატეგორიის პირებისათვის სასამართლოსადმი მიმართვის უფლების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულს ადასტურებს სასამართლოს უფლება, ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯებისაგან გაათავისუფლოს მოქალაქე (სსკ 47-ე მუხლი), აგრეთვე, მხარეს შეუმციროს ასეთი ხარჯები ან გადაუვადოს მისი გადახდა (სსკ 48-ე მუხლი). სასამართლოს ხელმისაწვდომობის უფლება არ არის სრული და შეიძლება ექვემდებარებოდეს შეზღუდვას, ვინაიდან ხელმისაწვდომობის უფლება თავისი მრავალფეროვანი ბუნებით მოითხოვს სახელმწიფოს მხრიდან რეგულირებას, ამავდროულად, სასამართლო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამ უფლების არსი არ იქნება გაუარესებული და რომ გამოსაყენებელი ფარგლები არ ზღუდავს და არ ამცირებს მხარის ხელმისაწვდომობის უფლებას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი და გათვალისწინებული გამონაკლისები (სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლება, მისი ოდენობის შემცირება ან გადახდის გადავადება) დასაშვებია მხოლოდ ქონებრივი მდგომარეობის უტყუარად დადასტურების შემთხვევაში, კერძოდ, შუამდგომლობის ავტორი მხარე ვალდებულია, სასამართლოს წინაშე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტუროს მისი მძიმე ქონებრივი მდგომარეობა, რათა სასამარ-

თლოს გაუჩნდეს მყარი შინაგანი რწმენა, რომ მხარეს არ შეუძლია გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი და სწორედ კანონით გათვალისწინებული შეღავათების გამოუყენებლობა გამოიწვევს სადავოდ მიჩნეული უფლების სასამართლოს წესით დაცვის რეალიზების შეზღუდვას მოდავე მხარის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში, საქმეში, მართალია, წარმოდგენილია შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადების თაობაზე მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თუმცა მას არ ერთვის რაიმე მტკიცებულება, რაც შუამდგომლობის თუნდაც ფორმალური თვალსაზრისით დასაბუთებულად მიჩნევის წინაპირობა გახდებოდა.

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არის საქართველოს ბიუჯეტებში შენატანი, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები სახელმწიფოს მიერ მათი ინტერესების შესაბამისი იურიდიული მოქმედებების შესრულებისათვის და სათანადო საბუთების გაცემისათვის. ამავე კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით კი განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟის გადამხდელი სუბიექტები და გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფო ბაჟის გადამხდელებად ითვლებიან ფიზიკური და იურიდიული პირები, რომელთა ინტერესებიდან გამომდინარეც სპეციალურად რწმუნებული დაწესებულებები ასრულებენ იურიდიულ მოქმედებებს და გასცემენ შესაბამის საბუთებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 52-ე მუხლის პირველი წინადადებით განსაზღვრულია, რომ სასამართლო ხარჯები (სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები), კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, წინასწარ შეაქვს მხარეს, რომელმაც შესაბამისი საპროცესო მოქმედების შესრულება მოითხოვა.

ის გარემოება, რომ კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს მითითებული წესიდან გამონაკლისის დაშვების შესაძლებლობას, არ არის აბსოლუტური და წარმოადგენს უკიდურეს შემთხვევას, როდესაც სასამართლო მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად მივა დასკვნამდე, რომ სავალდებულოა, გამოიყენოს საგამონაკლისო ნორმა მხარის მიმართ.

განსახილველ შემთხვევაში მხარეს არ წარმოუდგენია რა საფუძვლიანი, დასაბუთებული შუამდგომლობა სახელმწიფო ბაჟის გადახდის საკითხთან მიმართებით, ამასთანავე, მას საპროცესო ვადის განმავლობაში არათუ ხარვეზის გამოსწორების,

არამედ რაიმე შუამდგომლობითაც კი არ მიუმართავს სასამართლოს, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ კანონის სწორი განმარტების გზით მართებულად არ მიიღო განსახილველად გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის სააპელაციო საჩივარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის კერძო საჩივარი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელი და არ ქმნის გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ო-ის, ი. თ-სა და გ. კ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო.

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**შელავათები სასაქონლო ბაზრის  
სასამართლო შეტყობინება და დაბარება**

**განჩინება**

№ას-1650-1547-2012

14 იანვარი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 12 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობა, ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორად აღდგენა, განაცდურის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შ. მ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 12 ნოემბრის №990 ბრძანების ბათილად ცნობის, ქ.თბილისის №... საჯარო სკოლის დირექტორად აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით შ. მ-ას სააპელაციო საჩივარი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 12 ნოემბრის ბრძანების ბათილად ცნობის, თბილისის №... საჯარო სკოლაში დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, დაუშვებლობის გამო, დატოვებულ იქნა განუხილველად. პალატამ მიუთითა დადგენილად მიჩნეულ შემდეგ გარემოებებზე:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-

თა პალატის 2011 წლის 22 ივლისის განჩინებით შ. მ-ას სააპელაციო საჩივარს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა სახელმწიფო ბიუჯეტში სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა. ხარვეზის გამოსასწორებლად აპელანტს განესაზღვრა ვადა 10 დღით განჩინების ასლის ჩაბარებიდან. ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს გაეგზავნა სამჯერ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე: ქ.თბილისი, გ-ის ხევის დასახლება, ნაკვეთი №4.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით, 71-ე მუხლის მეორე ნაწილით და სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების თაობაზე შეტყობინების ბარათებით დადგენილად მიიჩნია, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო (არასრული მისამართი, სახლში არავინ დახვდა, დაუტოვა შეტყობინება) ვერ მოხერხდა აპელანტისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება. 2011 წლის 22 ივლისის განჩინება აპელანტს გაეგზავნა (მესამედ) მის მიერ სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე, სასამართლოში დაბრუნებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების თაობაზე შეტყობინების ბარათში მითითებულია, რომ აღნიშნულ მისამართზე სახლში არავინ არ იყო და კურიერმა დატოვა შეტყობინება, აღნიშნული გარემოება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, ასევე 73-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილის შესაბამისად, 2011 წლის 7 დეკემბერს ჩათვალა ჩაბარებულად, რის გამოც, ხარვეზის გამოსასწორებლად სასამართლოს მიერ დანიშნული 10-დღიანი საპროცესო ვადის დენა დაიწყო განჩინების გადაცემის მომდევნო დღიდან, – 2011 წლის 8 დეკემბრიდან და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლით დადგენილი წესით ვადა ამოიწურა 2011 წლის 17 დეკემბერს, რომელიც იყო დასვენების დღე, შესაბამისად, სააპელაციო საჩივრის ავტორს ხარვეზი უნდა შეეგვსო მომდევნო სამუშაო დღეს – 2011 წლის 19 დეკემბერს. აპელანტს განჩინებით დადგენილ ვადაში ხარვეზი არ გამოუხსნორებია და არც რაიმე შუამდგომლობით მიუმართავს სასამართლოსათვის, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლების, 368-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, შ. მ-ას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენდა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შ. მ-ამ, მოითხოვა მისი გაუქმება და სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობის დავალდებულება, სააპელაციო

საჩივარზე დადგენილი ხარვეზის განჩინების აპელანტის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაბარების თაობაზე შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონშეუსაბამოა, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია მხარის ან მისი წარმომადგენლისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარების წესი, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილია სასამართლოს შესაძლებლობა, დასაბარებელ პირს შეტყობინება ჩააბაროს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა წესით: ტელეფონით, ფაქსით, სხვა ტექნიკური საშუალებითა თუ მხარეთა მიერ შეთანხმებული სხვა წესით, ხოლო ამავე კოდექსის 71-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულია სასამართლო შეტყობინება კონკრეტულად რა მისამართზე უნდა გაიგზავნოს. საქმის მასალების შესწავლით დასტურდება, რომ შ.მ-ას სასამართლო შეტყობინება გაეგზავნა ორჯერ და არა სამჯერ. პირველად სასამართლო შეტყობინება კურიერს გადაეცა 2011 წლის 2 ოქტომბერს, რაც კურიერს შ. მ-ის არ გადაუცია, ჩაუბარებლობის მიზეზად დაასახელა არასრული მისამართი და მოითხოვა ტელეფონის ნომრის მითითება. ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება შ.მალაზოანიას ფაქტიურად 2011 წლის 10 ოქტომბერს გაეგზავნა და კურიერი მითითებულ მისამართზე 2011 წლის 17 ოქტომბერს გამოცხადდა, თუმცა აღნიშნა, რომ მას არავინ დახვდა, ადრესატი ნამდვილად ცხოვრობდა ამ მისამართზე და დატოვა შეტყობინება. იგივე განჩინება აპელანტს განმეორებით 2011 წლის 7 დეკემბერს გაეგზავნა, შეტყობინების ბარათში კი, კურიერმა აღნიშნა, რომ მისამართზე 2011 წლის 13 დეკემბერს გამოცხადდა, სახლში არავინ დახვდა და დატოვა შეტყობინება. ამდენად, დგინდება შეტყობინების ორჯერ გაგზავნის ფაქტი და კურიერი განმეორებით გამოცხადდა 13 დეკემბერს, შესაბამისად, შეტყობინების ჩაბარების თარიღად სასამართლოს უნდა მიეჩნია სწორედ 2011 წლის 13 დეკემბერი და არა ამ შეტყობინების გაგზავნის დღე – 2011 წლის 7 დეკემბერი, როგორც ეს გასაჩივრებულ განჩინებაშია მითითებული. აღნიშნულის გათვალისწინებით კი, სასამართლოს მიერ განსაზღვრული ხარვეზის გამოსწორების 10-დღიანი ვადა ამოიწურა 2011 წლის 23 დეკემბერს და არა 19 დეკემბერს, რის გამოც 2011 წლის 20 დეკემბერს განჩინების მიღების უფლება სასამართლოს არ გააჩნდა. სააპელაციო საჩივარში შ.მ-ას მითითებული აქვს როგორც სახლის, ისე მობილური ტელეფონის ნომერი, სასამარ-

თლოს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილის უხეში დარღვევით, არც კი უცდია სატელეფონო შეტყობინების გამოყენება, ამასთანავე, საქმეში მოიპოვება აპელანტის წარმომადგენელ გ. ნ-ას საკონტაქტო მონაცემები და ზემოაღნიშნული ნორმით გათვალისწინებული შეტყობინების ჩაბარების შესაძლებლობა სასამართლოს არც წარმომადგენლის მიმართ გამოუყენებია. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილია არაერთი მტკიცებულება, რომ საქალაქო სასამართლოს კორესპოდენცია ბარდებოდა უშუალოდ მხარეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს, რაც მიუთითებს სააპელაციო სასამართლოს შესაძლებლობაზე ადრესატის ან მისი წარმომადგენლისათვის ჩაებარებინა შეტყობინება. სასამართლომ ასევე დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესაძლებლობა. ამდენად, სააპელაციო სასამართლო არ იყო უფლებამოსილი გამოეტანა განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე და არსებობს მისი გაუქმებისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტითა და 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლები.

შ. მ-ამ წინამდებარე კერძო საჩივარს დაურთო მტკიცებულებები: სასამართლო შეტყობინების, გზავნილების, მათი ჩაბარების დამადასტურებელი საფოსტო პასუხებისა და სატელეფონო შეტყობინების აქტებისა და განცხადებების ასლები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის განჩინებით შ. მ-ას კერძო საჩივარი მიღებულ იქნა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ შ. მ-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 13 იანვრის გადაწყვეტილებით შ.მ-ას სარჩელის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობის, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების



თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო საჩივრის შესწავლით ირკვევა, რომ შ.მ-ამ სააპელაციო წესით მოითხოვა გადაწყვეტილების სრულად გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს (სააპელაციო საჩივრის საგანს) წარმოადგენდა როგორც სამუშაოდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობა და სამუშაოზე აღდგენა, ისე განაცდური ხელფასის ანაზღაურება.

ირკვევა, რომ აპელანტი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობდა სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლების თაობაზე „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად.

სააპელაციო საჩივარზე ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების შესწავლით დასტურდება, რომ სასამართლომ არაქონებრივი ხასიათის მოთხოვნის გამო (ბრძანების ბათილად ცნობა, სამუშაოზე აღდგენა), აპელანტს დაავალა სახელმწიფო ბაჟის – 150 ლარის გადახდა, ხარვეზის გამოსწორებისათვის ვადა განუსაზღვრა 10 დღით და მხარეს ამომწურავად მიუთითა საპროცესო მოქმედების განხორციელების წესის თაობაზე, ამავე განჩინებით სასამართლომ იმსჯელა „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შეღავათზე და აღნიშნა, რომ ამ ნორმის მოქმედება არაქონებრივი მოთხოვნების მიმართ არ ვრცელდებოდა.

ირკვევა, რომ ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს გაეგზავნა 2012 წლის 2 აგვისტოს სააპელაციო საჩივარში მითითებულ მისამართზე: ქ.თბილისი, გ-ის ხევის დასახლება, ნაკვეთი №4. გზავნილის ჩაბარების შესახებ საფოსტო შეტყობინების ბარათისა და კურიერის მიერ შედგენილი აქტის თანახმად, კურიერი ზემოაღნიშნულ მისამართზე გამოცხადდა 2011 წლის 6 აგვისტოს და შეტყობინება ადრესატს არასრული მისამართის გამო ვერ ჩააბარა, მოითხოვა დამატებით ტელეფონის ნომრის მითითება.

2011 წლის 10 ოქტომბერს აპელანტს ამავე მისამართზე განმეორებით გაეგზავნა შეტყობინება და ზემოაღნიშნულ მისამართზე 2011 წლის 17 ოქტომბერს შეტყობინების გადაცემა ვერ მოხერხდა ადრესატის არყოფნის გამო, კურიერის წერილობითი განმარტებით, ადრესატი წამდვილად ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე და მან დატოვა შეტყობინება.

საქმეში წარმოდგენილი გზავნილის თანახმად, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინება აპელანტს 2011 წლის 7 დეკემბერს კვლავ გაგეგზავნა ზემოაღნიშნულ მისამართზე. აღნიშნული გზავნილის პასუხად წარმოდგენილი შეტყობინების ბარათის თანახმად, კურიერი ჯერ 2011 წლის 9 დეკემბერს გამოცხადდა და დატოვა შეტყობინება, ხოლო განმეორებით – 2011 წლის 13 დეკემბერს, თუმცა კვლავ ვერ მოხერხდა შეტყობინების ადრესატისათვის ჩაბარება.

ზემოაღნიშნული გარემოებები სააპელაციო სასამართლომ ადრესატის სათანადო წესით ინფორმირებად მიიჩნია და ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით დატოვა განუხილველად სააპელაციო საჩივარი.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული გარემოებების ანალიზის შედეგად ნაწილობრივ იზიარებს შ. მ-ას კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვებისას სააპელაციო პალატამ დაარღვია კანონი, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, სააპელაციო პალატის მსჯელობის საგანს სამუშაოზე აღდგენასთან ერთად იძულებითი განაცდურის ანაზღაურებაც წარმოადგენდა.

სააპელაციო პალატამ, ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით, მართალია, მხოლოდ არაქონებრივი მოთხოვნის ნაწილში დაუდგინა სააპელაციო საჩივარს ხარვეზი, თუმცა 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინებით არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სააპელაციო საჩივარზე ხარვეზი დადგენილი არ ყოფილა, კანონის ძალით მხარე ამ მოთხოვნის გამო სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებული იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის გადახდევინება წარმოებს სახელმწიფო ბაჟის შესახებ საქართველოს კანონით დადგენილი წესით. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სააპელაციო საჩივრის შეტანისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის ვალდებულებას, რა დროსაც ხელმძღვანელობს „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი დებულებებით.

ზემოხსენებული კანონი განსაზღვრავს არა მარტო სახელმწიფო ბაჟის გადახდის წესსა და თავისებურებებს, არამედ იმ გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც მხარე დავის სამართლებრივი კატეგორიის, მისი სუბიექტის სოციალური სტატუსისა თუ

სხვა გარემოებათა გათვალისწინებით თავისუფლდება სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, კერძოდ, „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განსახილველ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლებიან ფიზიკური პირები – სარჩელებზე ხელფასის გადახდევინების შესახებ და სხვა მოთხოვნებზე შრომის ანაზღაურების თაობაზე, რომლებიც გამომდინარეობს შრომის სამართლებრივი ურთიერთობიდან.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 ნაწილის თანახმად, სამართლის ნორმები დარღვეულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში არ არსებობდა შ. მ-ას სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების წინაპირობები. საკასაციო პალატის აღნიშნული განმარტება ასევე ემყარება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ მყარ ერთგვაროვან პრაქტიკას, რაც გასაჩივრებული განჩინების მიღებისას არ არის გათვალისწინებული (იხ. სუსგ №ას-440-412-2010, 14 ივნისი, 2010 წელი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

რაც შეეხება შ. მ-ას პრეტენზიას, რომ, რეალურად, მას შეტ-

ყობინება არა 3-ჯერ, არამედ 2-ჯერ გაეგზავნა, პალატა აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს, რადგანაც საქმეში წარმოდგენილი კურიერის მიერ შედგენილი აქტის ანალიზით ირკვევა, რომ პირველად გაგზავნილი შეტყობინება მხარეს არ გადასცემია, მიზეზად მითითებულია არასრული მისამართი, თუმცა სწორედ ამავე მისამართზე გაგზავნილი შემდგომი კორექსიონებიდან გამომდინარე, დასტურდება, რომ შ.მ-ა ნამდვილად ამ მისამართზე ცხოვრობს, აღნიშნული გამორიცხავს მხარის ბრალეულობას თავდაპირველად გაგზავნილი შეტყობინების მიუღებლობის თაობაზე.

თუმცა ნიშანდობლივია, რომ აპელანტს კიდევ ორჯერ გაეგზავნა შეტყობინება ამავე მისამართზე და უკანასკნელად კურიერი ქ.თბილისში, გ-ის ხევის დასახლებაში, №4 ნაკვეთში გამოცხადდა 2011 წლის 13 დეკემბერს, შესაბამისად სწორედ ეს უკანასკნელი გამოცხადება მიიჩნევა აპელანტისათვის შეტყობინების გადაცემის დღედ, რადგანაც საქმის განხილვის დროს მოქმედი რედაქციის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, თუ მოსარჩელეს მის მიერ მითითებულ მისამართზე უწყება ვერ ჩაჰპარდა ამ კოდექსის 73-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება. ეს წესი მოპასუხის მიმართ გამოიყენება მის პასუხში (შესაგებელში) მითითებულ მისამართზე უწყების გაგზავნის შემთხვევაში. ამავე კოდექსის 73-ე მუხლის 11 ნაწილის თანახმად (2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი რედაქციით), თუ პირველად გაგზავნისას სასამართლო უწყების ადრესატისათვის ჩაბარება ვერ ხერხდება, უწყება დასაბარებელ პირს უნდა გაეგზავნოს დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

დასახელებული ნორმებით დადგენილია სასამართლოს ვალდებულება, მოსარჩელეს, რომელსაც მის მიერ მითითებულ მისამართზე არ ბარდება შეტყობინება, განმეორებით გაუგზავნოს იგი ადრესატს იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე და ამ შემთხვევაში კანონის ძალით მიიჩნევა შეტყობინება ადრესატისათვის გადაცემულად, ამასთან, კანონის დათქმა „იმავე ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე“ არაა იმპერატიული დანაწესი და სავალდებულოდ არ ადგენს სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე შეტყობინების გაგზავნის აუცილებლობას.

საქმის განხილვის დროს მოქმედი რედაქციის სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლო უწყება იგზავნება ამ კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებით, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით. სასამართლო თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, უწყების გაგზავნის რომელი ფორმა გამოიყენოს, რომელ მისამართზე გააგზავნოს უწყება, და არ არის ვალდებული, დაიცვას თანმიმდევრობა. სასამართლომ დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩააბაროს ასევე სასამართლოს შენობაში. აღნიშნული ნორმის თანახმად, განსაზღვრულია სასამართლოს თავისუფლება, დამოუკიდებლად გადანიშნოს თუ რომელ მისამართზე გააგზავნოს შეტყობინება და საერთოდ, შეტყობინების გაგზავნის რა ფორმა გამოიყენოს. აღნიშნული გარემოება კი, უსაფუძვლოს ხდის კერძო საჩივრის მოსაზრებას, რომ სასამართლო ვალდებული იყო სატელეფონო შეტყობინებით ეცნობებინა მხარისათვის ხარვეზის დადგენის თაობაზე, რაც შეეხება ადვოკატისათვის შეტყობინების გაგზავნას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, აღნიშნულიც სასამართლოს დისკრეციაა, გ. წ-სათვის ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინების გაუგზავნელობით სასამართლოს კანონი არ დაურღვევია, ხოლო უშუალოდ მხარისათვის ჩაბარება, თუნდაც ეს კანონის ძალით მიიჩნეოდეს განხორციელებულად, წარმომადგენლისათვის ჩაბარებაზეც მიუთითებს.

პალატა იზიარებს კერძო საჩივრის არგუმენტს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის თანახმად, საპროცესო ვადის დენა დაიწყო არა 2011 წლის 8, არამედ 14 დეკემბერს და ამოიწურა 23 დეკემბერს, რაც გამორიცხავდა სასამართლოს უფლებამოსილებას, 2011 წლის 20 დეკემბერს მიეღო განჩინება სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, თუმცა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აპელანტს სასამართლოსათვის არა თუ ხარვეზის გამოსწორების ვადაში, არამედ 2012 წლის 6 დეკემბრამდე არ მიუმართავს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ამ საფუძვლით გასაჩივრებული განჩინების გაუქმების წინაპირობა არ არსებობს. ასევე უსაფუძვლოა კერძო საჩივრის არგუმენტი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დარღვევის თაობაზე, რადგანაც დასახელებული ნორმით (2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით მოქმედი რედაქცია) განსაზღვრულია ქცევის შემდეგი წესი: თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდე-

ბა, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინოდ ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით. აღნიშნული ნორმის ანალიზით დასტურდება მისი გამოყენების წინაპირობები: მხარის ადგილსამყოფელი უცნობი უნდა იყოს ან შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად უნდა იყოს შეუძლებელი. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია და კერძო საჩივრის ავტორს სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მხარის მისამართი სწორია, ხოლო შეტყობინების ჩაბარება შინ მისი არყოფნის მოტივით გახდა შეუძლებელი, აღნიშნული გარემოება კი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული საჯარო შეტყობინების სავალდებულო განხორციელებას გამოიწვევდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შ. მ-ას კერძო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად.

ამასთანავე, პალატა ვერ დაეთანხმება შ. მ-ას მოთხოვნას საქმის სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნების თაობაზე, რადგანაც მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილიდან გამომდინარე, აღნიშნულის კომპეტენცია საკასაციო პალატას გააჩნია, თუმცა მხარეს არგუმენტირებულად არ დაუსაბუთებია ამისი აუცილებლობა, ხოლო საკასაციო პალატა მითითებულს აუცილებლად არ მიიჩნევს.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს: სასამართლო შეტყობინების, გზავნილების, მათი ჩაბარების დამადასტურებელი საფოსტო პასუხების, სატელეფონო შეტყობინების აქტებისა და განცხადებების ასლებს, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნული უნდა დაუბრუნდეს შ.მ-ას, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულე-

ბებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მტკიცებულებები დედნების სახით პირველი ინსტანციის წარმოებას ერთვის, აღარ არსებობს მათი საქმეში განთავსების აუცილებლობა. შესაბამისად, კასატორს უნდა დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 12 ფურცლად.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შ. მ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 20 დეკემბრის განჩინება იმ ნაწილში, რომლითაც განუხილველად დარჩა შ. მ-ას სააპელაციო საჩივარი იძულებითი განაცდურის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმების მიზნით საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს, ხოლო ბრძანების ბათილად ცნობისა და სამუშაოზე აღდგენის მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. შ. მ-ას დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 12 ფურცლად.
4. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საპროცესო უფლებამონაცვლეობა

## განჩინება

№ას-432-410-2012

6 აპრილი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ.ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ბ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. უ-ისა და მ. ხ-ის მიმართ კ. ლ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს სანოტარო წესით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, კ. ლ-ესა და ნ. უ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს სანოტარო წესით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის, კ. ლ-ის კუთვნილი, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით:

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი კ. ლ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სანოტარო წესით დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ასევე ბათილად იქნა ცნობილი კ. ლ-ესა და ნ. უ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სანოტარო წესით დამოწმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 2980 აშშ დოლარის ფარგლებში, დანარჩენი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა როგორც მოსარჩელემ, ისე მოპასუხეებმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 თებერვლის განჩინებით ნ. ბ-ის სარჩელი ნ. უ-ის მიმართ 2007 წლის 6 ივნისს დადებული სესხისა და



იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრედ აღიარების ნაწილში დარჩა განუხილველად, გაუქმდა ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი კ. ლ-ესა და ნ. უ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სანოტარო წესით დამონმბებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 2980 აშშ დოლარის ფარგლებში და იმ ნაწილშიც, რომლითაც ნ. ბ-ეს უარი ეთქვა კ. ლ-ესა და ნ. უ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობასა და იპოთეკით დატვირთული ქონების მესაკუთრედ აღიარებაზე შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 6 ივნისს კ. ლ-ესა (მესაკუთრე) და ნ. უ-ს, ასევე მ. ხ-ს (იპოთეკარები) შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, კ. ლ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 9 ნოემბერს, ნ. ბ-ე 2008 წლის 9 ნოემბერს გარდაცვლილი კ. ლ-ის პირველი რიგის მემკვიდრეა და მან 2009 წლის 8 მაისს განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს კ. ლ-ის სამკვიდროს მიღების მიზნით, ასევე იგი, როგორც კ. ლ-ის უფლებამონაცვლე, დაზარალებულადაა ცნობილი სისხლის სამართლის საქმეზე. შპს მუდმივმოქმედი არბიტრაჟის „აი.ჯი-ს“ 2009 წლის 16 ივნისის №1/23-08 გადაწყვეტილებით გამსესხებელთა: მ. ხ-ისა და ნ. უ-ის პრეტენზია დაკმაყოფილდა და კ. ლ-ის უფლებამონაცვლე ნ. ბ-ეს დაეკისრა მ. ხ-ისა და ნ. უ-ის სასარგებლოდ თანხის გადახდა ასევე პირგასამტეხლოს და საარბიტრაჟო საქმის განხილვის ხარჯების ანაზღაურება, ხოლო იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონება მიექცა იძულებით აღსასრულებლად. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლის სააღსრულებლო ბიუროს 2010 წლის 22 იანვრის განკარგულებით ქ.ხაშურში, ფ-ის ქ. №24-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, ორჯერ აუქციონზე გატანის შემდეგ რეალიზაციის შეუძლებლობის გამო, კრედიტორ ნ. უ-ს გადაეცა ნატურით კრედიტორისავე განცხადების საფუძველზე, ხოლო მ. ხ-ს განცხადებით სააღსრულებლო ბიუროსათვის არ მიუმართავს ქონების ნატურით გადასაცემად. ხაშურის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა ნ. ბ-ემ და მოითხოვა: ა) კ. ლ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს სანოტარო წესით დადებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; ბ) კ. ლ-ესა და ნ. უ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს სანოტარო წესით დადებული

სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა; გ) კ. ლ-ის სახელზე რეგისტრირებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების მესაკუთრედ აღიარება. ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი კ. ლ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სანოტარო წესით დამონმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ასევე ბათილად იქნა ცნობილი კ. ლ-ესა და ნ. უ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სანოტარო წესით დამონმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება 2980 აშშ დოლარის ფარგლებში, დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილებაზე სააპელაციო საჩივარი შეიტანეს ნ. ბ-ემ, ნ. უ-მა და მ. ხ-მა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 31 ოქტომბრის განჩინებით მ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად ხარვეზის შეუვსებლობის გამო, ხოლო ნ. ბ-ისა და ნ. უ-ის სააპელაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში, რის გამოც ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 24 ივნისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც ბათილად იქნა ცნობილი კ. ლ-ესა და მ. ხ-ს შორის 2007 წლის 6 ივნისს დადებული სანოტარო წესით დამონმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება კანონიერ ძალაში შევიდა. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1499-ე, 1500-ე მუხლებით და განმარტა, რომ სასამართლოს მიერ ან გარდაცვლილი კ. ლ-ის უფლებამონაცვლედ და დაინტერესებული პირის სახელით სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირად ნ. ბ-ის ცნობისათვის საჭიროა, ნ. ბ-ემ წარადგინოს სამკვიდრო მონმობა ან გარდაცვლილი კ. ლ-ის სამკვიდრო ქონებაზე. ნ. ბ-ემ 2009 წლის 8 მაისს განცხადებით მიმართა სანოტარო ბიუროს კ. ლ-ის სამკვიდროს მიღების მიზნით, მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, მას სამკვიდრო მონმობა სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1421-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 12 იანვრის საოქმო განჩინებით, ვინაიდან ნ. ბ-ის მიერ არ იყო წარმოდგენილი სამკვიდრო მონმობა, მას მიეცა დამატებითი დრო ამ დოკუმენტის წარსადგენად. 2012 წლის 25 იანვარს ნ. ბ-ემ განცხადებით მიმართა სააპელაციო სასამართლოს და წარადგინა ნოტარიუს დ. ტ-ის პასუხი 2012 წლის 23 იანვრის განცხადებაზე, სადაც ნოტარიუსმა უარი უთ-

ხრა ქ.ხაშურში, ფ-ის ქ. №24-ში მდებარე ან გარდაცვლილი კ. ლ-ის უძრავ ქონებაზე, სამკვიდრო მონმობის გაცემაზე, იმ დასაბუთებით, რომ აღნიშნული ქონება იყო დაყადაღებული, რაც ნოტარიუსს, „სანოტარო მოქმედების შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 89-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უფლებას ართმევდა, კონკრეტული ქონება შეეტანა სამკვიდრო მონმობაში. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ, მიუხედავად აპელანტიისათვის სასამართლოს შეთავაზებისა, ნ. ბ-ემ ვერ უზრუნველყო, წარედგინა სამკვიდრო მონმობა არა კონკრეტულად ქ.ხაშურში, ფ-ის ქ. №24-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, არამედ ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მონმობაც, რაც გახდებოდა საფუძველი მისი უფლებამონაცვლედ და, შესაბამისად, დაინტერესებული პირის სახელით სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირად ცნობის საფუძველი. აპელანტმა ასევე ვერ წარადგინა ინფორმაცია, თუ რა ბედი ენია მის მიერ 2009 წლის 8 მაისს ნოტარიუსთან შეტანილ განცხადებას, რომლის თაობაზეც ნოტარიუსმა დ. ტ-ემ 2009 წლის 4 ნოემბერს გასცა ინფორმაცია, რომ მას სამკვიდრო მონმობა არ გაუცია. პალატამ დადგინებულად მიიჩნია, რომ ნ. ბ-ე დედის ან გარდაცვლილი კ. ლ-ის სამკვიდროს არც ფაქტობრივი ფლობით არ დაუფლებია. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 186-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით, 187-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და ვინაიდან, სარჩელი (განცხადება) დაინტერესებული პირის სახელით შეტანილია არაუფლებამოსილი პირის – ნ. ბ-ის მიერ ჩათვალა, რომ არსებობდა მისი სარჩელის განუხილველად დატოვების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა ნ. ბ-ემ, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსათვის დაბრუნება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება კანონით დადგენილი მოთხოვნებიდან არ გამომდინარეობს, რადგანაც სასამართლოს მსჯელობა მოსარჩელის უფლებამოსილ პირად მხოლოდ სამკვიდრო მონმობის საფუძველზე მიჩნევის თაობაზე არასწორია. მ. ხ-ისა და ე. ა-ის სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოსარჩელე დაზარალებულადაა ცნობილი და სისხლის სამართლის საქმის განხილვისას მისი სამოქალაქო სარჩელი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ ნ. ბ-ეს უნდა ედავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ყველა პროცესში კერძო საჩივრის

ავტორი მონაწილეობდა კ. ლ-ის უღებამონაცვლედ და მისთვის სამკვიდრო მონაწილეობა არ მოუთხოვიათ. გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო პალატა, ერთი მხრივ, დადგენილად მიიჩნევს, რომ 2009 წლის 8 მაისს ნ. ბ-ემ განცხადებით მიმართა ნოტარიუსს, თუმცა არ წარუდგენია სამკვიდრო მონაწილეობა, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1424-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, აღნიშნავს, რომ სამკვიდრო მიღებულად ითვლება სანოტარო ორგანოში განცხადების წარდგენის დღიდან. გარდა აღნიშნულისა, საქმეში წარმოდგენილია ნოტარიუსის მიერ გაცემული წერილობითი პასუხი, სანოტარო მოქმედებათა განხორციელების წესის შესახებ ინსტრუქციის 89-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქონებაზე ყადაღის არსებობის გამო, კონკრეტული ქონების სამკვიდრო მონაწილეობაში შეტანაზე უარის თქმის შესახებ. საყურადღებოა, რომ კერძო არბიტრაჟი „აი.ჯი-ს“ 2009 წლის 10 ივნისის №1/23-08 საარბიტრაჟო გადაწყვეტილება შეეხება ნ. ბ-ეს და საარბიტრაჟო პრეტენზიაც მის მიმართაა წარდგენილი. 2011 წლის 6 მაისის განჩინებით მოსამართლე თ. ე-მა დაუშვებლობის გამო განუხილველად დატოვა ნ. ბ-ის საჩივარი 2009 წლის 10 ივნისის საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თაობაზე, ხოლო ამავე განჩინების მე-2 პუნქტით მას უარი ეთქვა 2007 წლის 6 ივნისის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნულ განჩინებაში არაა მითითებული უფლებამონაცვლეობის საკითხის თაობაზე. კერძო საჩივრის ავტორმა ასევე წარადგინა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის განჩინების ასლი 5 ფურცლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, ნ. ბ-ის კერძო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსა-

ხილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, ხოლო ამავე ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს მოცემულ საქმეზე დადგენილ შემდეგ გარემოებებზე:

დადგენილია და ეს არც კერძო საჩივრის ავტორს გაუხდია სადავოდ, რომ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებები გაფორმებულია კ. ლ-ესა და მოპასუხეებს შორის, სადავო არაა ისიც, რომ კ. ლ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 9 ნოემბერს. მოსარჩელე ნ. ბ-ე კ. ლ-ის პირველი რიგის მემკვიდრეა, რომელმაც ნოტარიუსს დედის სამკვიდროს მიღების მიზნით მიმართა 2009 წლის 8 მაისს, ამასთანავე, მოსარჩელე სისხლის სამართლის საქმეზე დაზარალებულადაა ცნობილი, სადავოს არც ის გარემოება წარმოადგენს, რომ, მ. ხ-ისა და ნ. უ-ის საარბიტრაჟო პრეტენზიების გამო, კ. ლ-ის უფლებამონაცვლე ნ. ბ-ეს დაეკისრა გარკვეული ქმედებების განხორციელება, საქმის მასალებითა და გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია ასევე, რომ ნოტარიუს დ. ტ-ემ სადავო ქონებაზე სამკვიდრო მონაწილე ვერ გასცა ქონების დაყადაღების მოტივით.

საკასაციო პალატა დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით თვლის, რომ გასაჩივრებული განჩინებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რის შედეგადაც საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა მიღებული, ხოლო ნ. ბ-ის კერძო საჩივარი დასაშვებ შედეგებას ემყარება, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. ამავე კოდექსის 1424-ე მუხლით დადგენილია სამკვიდროს მიღების ვადა და განსაზღვრულია, რომ სამკვიდრო მიღებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან. ამავე კოდექსის 1421-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახ-

მად კი, სამკვიდროს იღებს მემკვიდრე, იქნება იგი კანონით თუ ანდერძით მემკვიდრე. მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მიღებულად ითვლება, როდესაც იგი სანოტარო ორგანოში შეიტანს განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ ან ფაქტობრივად შეუდგება სამკვიდროს ფლობას ან მართვას, რაც უდავოდ მოწმობს, რომ მან სამკვიდრო მიიღო. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, კანონდებელმა დაადგინა, რომ სამკვიდრო შესაძლოა მიღებულ იქნა ორი გზით: ა) სამკვიდროს ფაქტობრივი ფლობითა და ბ) ნოტარიუსისათვის განცხადებით მიმართვის გზით.

მოცემულ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ მამკვიდრებელი კ. ლ-ე გარდაიცვალა 2008 წლის 9 ნოემბერს, ხოლო მისმა კანონისმიერმა პირველი რიგის მემკვიდრემ, შვილმა – ნ. ბ-ემ სამკვიდროს მიღების მიზნით სამკვიდროს გახსნიდან 6-თვიანი ვადის დაცვით – 2009 წლის 8 მაისს მიმართა ნოტარიუსს განცხადებით, აღნიშნულით დასტურდება, რომ მემკვიდრემ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოხატა ნება სამკვიდროს მისაღებად, ხოლო ამგვარი ნების გამოხატვას კანონმდებელი სამკვიდროს მიღებად მიიჩნევს, ამდენად, უდავოა, რომ ნ. ბ-ემ სამკვიდრო მიიღო.

რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ აპელანტმა ნ. ბ-ემ სამკვიდრო მოწმობა ვერ წარადგინა, საკასაციო პალატა ნაწილობრივ ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ სამოქალაქო კოდექსის 1499-ე და 1500-ე მუხლების შესაბამისად, უფლებამონაცვლედ პირის ცნობისათვის საჭიროა უფლებამონაცვლის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარდგენა, თუმცა თვლის, რომ მხოლოდ აღნიშნული არ შეიძლება გახდეს არაუფლებამოსილ პირად ნ. ბ-ის მიჩნევის საფუძველი, რადგანაც, როგორც უკვე აღინიშნა, მემკვიდრემ ნოტარიუსისათვის მიმართვის გზით მიიღო სამკვიდრო, ხოლო სამკვიდრო მოწმობის გაუცემლობა, მოცემულ შემთხვევაში, განპირობებულია მხარისაგან დამოუკიდებელი მიზეზით – სამკვიდრო ქონებაზე ყადაღის არსებობით, ამ თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ“ ინსტრუქციის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომელი ნორმაც, მართალია, ამ დროისათვის გაუქმებულია, თუმცა, ნოტარიუსის წერილობითი მიმართვის დროს მოქმედი რედაქციის თანახმად, ქონებაზე ყადაღის არსებობა გამორიცხავდა მემკვიდრის მიერ მოთხოვნილი მოქმედების განხორციელების შესაძ-

ლებლობას. ამასთანავე, ის გარემოება, რომ ნოტარიუსისათვის დადგენილ ვადაში განცხადებით მიმართვა თავისთავად ნიშნავს სამკვიდროს მიღებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობდა ნ. ბ-ის არაუფლებამოსილ პირად მიჩნევისა და მისი სარჩელის განუხილველად დატოვების წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება გასაჩივრებული განჩინების მსჯელობას, რომ, მიუხედავად აპელანტისათვის სასამართლოს შეთავაზებისა, ნ. ბ-ემ ვერ უზრუნველყო წარედგინა სამკვიდრო მონაწილეობა არა კონკრეტულად ქ.ხაშურში, ფ-ის ქ. №24-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, არამედ ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მონაწილეობაც, რაც გახდებოდა საფუძველი მისი უფლებამონაცვლედ და, შესაბამისად, დაინტერესებული პირის სახელით სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირად ცნობისა. აპელანტმა ასევე ვერ წარადგინა ინფორმაცია, თუ რა ბედი ეწია მის მიერ 2009 წლის 8 მაისს ნოტარიუსთან შეტანილ განცხადებას, რომლის თაობაზეც ნოტარიუსმა დ. ტ-ემ 2009 წლის 4 ნოემბერს გასცა ინფორმაცია, რომ მას სამკვიდრო მონაწილეობა არ გაუცია. აღნიშნული მოსაზრების საპირისპიროდ, პალატა განმარტავს, რომ კანონმდებლობა ზოგადი ხასიათის სამკვიდრო მონაწილეობის ცნებას არ ითვალისწინებს, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრემ კანონით გათვალისწინებული ორი ალტერნატივიდან ერთ-ერთი მაინც განახორციელა მის მისაღებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ნ. ბ-ეს სამკვიდრო მონაწილეობა არ მიუღია, იგი წარმოადგენს მამკვიდრებლის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეს და უფლება აქვს, შესაბამისი გარემოებების აცილების შემდგომ მიიღოს სამკვიდრო მონაწილეობა. საქმის მასალებისა და დადგენილი გარემოებების ანალიზის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ემ ნოტარიუსისათვის განცხადებით მიმართვით გამოხატა ნება გარდაცვლილი დედის – კ. ლ-ის სამკვიდროს მიღების თაობაზე, ამასთან, ვინაიდან იგი წარმოადგენს კანონისმიერ პირველი რიგის მემკვიდრეს, ნ. ბ-ე მიჩნეულ უნდა იქნას როგორც კ. ნ-ის მემკვიდრედ, ისე სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილ პირად.

რაც შეეხება კერძო საჩივარზე დართულ მტკიცებულებასა და საარბიტრაჟო გადაწყვეტილების თაობაზე წარდგენილ სარჩელზე მითითებას, საკასაციო პალატა თვლის, რომ აღნიშნულს განსახილველ კერძო საჩივართან რაიმე საერთო არ გააჩნია, შესაბამისად, ვერც სასამართლოს მსჯელობის საგანი გახდება,



ამასთან, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. აღნიშნული ნორმა ადგენს საკასაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების შეფასების პროცესულურ ფარგლებს და მისი შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება, შესაბამისად, ახალი მტკიცებულებები სასამართლოს მიერ ვერ იქნება მიღებული და გაზიარებული მიუხედავად იმისა, მხარეს ობიექტურად ჰქონდა თუ არა შესაძლებლობა სასამართლოსათვის მანამდე წარმოედგინა ისინი. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არ აქვთ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ბ-ეს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ კერძო საჩივარზე მტკიცებულების სახით დართული თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 6 მაისის განჩინება 5 ფურცლად.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. ბ-ის კერძო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.
3. ნ. ბ-ეს დაუბრუნდეს კერძო საჩივარზე დართული მტკიცებულება 5 (ხუთი) ფურცლად.
4. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება

## ბანჩინება

№ას-1778-1756-2011

29 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** საკომლო ჩანაწერების ბათილად ცნობა და საკომლო წიგნში სათანადო ჩანაწერის შეტანა

### აღწერილობითი ნაწილი:

მ. ლ-მ სარჩელი აღძრა სასამართლოში ვ. ბ-ის, ი. კ-ის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურისა და ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ და მოითხოვა ბათილად იქნეს ცნობილი 1986-1995 წლების საკომლო წიგნში 1994 წელს გაკეთებული ჩანაწერი, რომლითაც ნ. კ-ის კუთვნილი ქონება აღირიცხა გ. კ-ის სახელზე, 2001-2006 წლების საკომლო წიგნში გაკეთებული ჩანაწერი, რომლითაც გ. კ-ის ქონება აღირიცხა ი. კ-ზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2007 წლის 31 აგვისტოს გაცემული №483 ცნობა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურის 2007 წლის 5 სექტემბრის გადაწყვეტილება სადავო ქონების ი. კ-ის სახელზე რეგისტრაციის შესახებ შემდეგი საფუძვლებით:

1977 წლიდან მოსარჩელე ქორწინებაშია ნ. კ-თან (ნ. მ-თან), რომელიც გარდაიცვალა 2009 წლის 19 ივლისს. მის სახელზე ირიცხებოდა ხაშურის რაიონის სოფელ ა-ში მდებარე უძრავი ქონება.

მოსარჩელემ შეიტყო, რომ 1939 წელს აშენებული 85 კვ.მ საცხოვრებელი სახლი, 1940 წელს აშენებული ბოსელი და 0,25 ჰა მიწა (მათ შორის 0,02 შენობა-ნაგებობების ქვეშ) ა-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2007 წლის 31 აგვისტოს გაცემული №483 ცნობის საფუძველზე ჯერ დაირეგისტრირა მეუღლის მამამ ი. (ვ.) კ-მა, ხოლო შემდეგ ჩუქების ხელშეკ-

რულებით გადასცა თავის შვილიშვილ ვ. ბ-ს მაშინ, როდესაც 1971-1975 და 1980-1982, ასევე 1994 წლამდე საკომლო წიგნების მიხედვით, ზემოაღნიშნული ქონება მის მეუღლეს ეკუთვნოდა.

1994 წელს საკომლო წიგნში ნ. კ-ი გადახაზულია და პირადი განცხადებით მითითებულია კავშირგაწყვეტილად, ხოლო შემდგომ გრაფაში ჩანერილია მისი დედა გ. კ-ი, რაც უკანონოა, რადგან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილებით საკომლო მეურნეობები რეორგანიზებულ იქნა.

ამასთან, ა-ის მეურნეობა მიეკუთვნებოდა საბჭოთა მეურნეობებს და არა კოლმეურნეობებს, რის გამოც მასზე უნდა გავრცელებულიყო სამოქალაქო კოდექსი და არა საკოლმეურნეო კანონმდებლობა. შესაბამისად, 2001-2006 წლების საკომლო წიგნში ქონების გ. კ-დან ი. კ-ზე გადაწერა მოხდა უკანონოდ. შემდეგ გაიცა №483 ცნობა, რომლის საფუძველზეც საჯარო რეესტრში ქონება დარეგისტრირდა ი. კ-ის სახელზე, თუმცა სარეგისტრაციო სამსახურში არსებობდა ორი ურთიერთგამომრიცხავი დოკუმენტი – 2007 წლის 10 აგისტოს №782 საარქივო ცნობა, რომლის მიხედვითაც ქონება ეკუთვნოდა ნ. კ-ს და ზემოაღნიშნული №483 ცნობა. საჯარო რეესტრს არ გამოუყენებია „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული უფლება და არ გამოუთხოვია დამატებითი ინფორმაცია საკითხის სწორად გადასაწყვეტად.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სარეგისტრაციო სამსახურის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ რეგისტრაცია განხორციელდა კანონიერად, ა-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის 2007 წლის 31 აგვისტოს №483-ე ცნობის საფუძველზე, როგორც ქრონოლოგიურად მომდევნო დოკუმენტის და რეგისტრაციის ბათილობის საფუძველი არ არსებობს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენელმა სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მან №483 ცნობა გასცა 2001-2006 წლების საკომლო წიგნში არსებული ჩანაწერის საფუძველზე, კანონიერად და მისი ბათილობის საფუძველი არ არსებობს.

ი. კ-მა და ვ. ბ-მა სარჩელი არ ცნეს, ვინაიდან სადავო ქონება ნ. კ-ის კუთვნილებიდან გ. კ-ის სახელზე კანონიერად გადაეწერე. იგი გადაიტანეს კავშირგაწყვეტილთა სიაში, ხოლო გ. იყო კომლის მომდევნო წევრი, რომლის გარდაცვალების შემდეგ ქონება გადავიდა მის მეუღლე ი. კ-ის სახელზე, რომელმაც ჩუქე-

ბის ხელშეკრულებით გადასცა შვილიშვილ ვ. ბ-ს. ა-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ ცნობა სწორად არის გაცემული, ვინაიდან, იგი დაეყრდნო საკომლო წიგნის ჩანაწერს. სადავო ქონება, კერძოდ, შენობები აშენებულია 1939, 1940 და 1960 წლებში, ნ. კ-ი დაბადებულია 1947 წელს, შესაბამისად, იგი მათ ვერ ააშენებდა და ვერც დაირეგისტრირებდა, ამიტომ 2001-2006 წლების საკომლო წიგნში ქონება ი. კ-ის სახელზე აღირიცხა კანონიერად. საჯარო რეესტრმა რეგისტრაცია განახორციელა წარდგენილი დოკუმენტების მიხედვით, რის გამოც სარეგისტრაციო ჩანაწერის ბათილობის საფუძველი არ არსებობს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც ი. კ-მა და ვ. ბ-მა გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეზე ძირითად მოთხოვნებს წარმოადგენს 1986-1995 წლების ხაშურის რაიონის სოფელ ა-ის საკომლო წიგნში 1994 წელს შესრულებული ჩანაწერისა (რომლითაც ნ. კ-ის კუთვნილი ქონება აღირიცხა გ. კ-ის სახელზე) და 2001-2006 წლების საკომლო წიგნის ჩანაწერის ბათილად ცნობა, რომლითაც გ. კ-ის ქონება აღირიცხა ი. კ-ის სახელზე. რაც შეეხება ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა-ის ტერიტორიული ორგანოს 2007 წლის 31 აგვისტოს გაცემული ცნობისა და 2007 წლის 5 სექტემბრის საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნებს, აღნიშნული წარმოადგენს თანამდევ მოთხოვნებს.

სასამართლომ იხელმძღვანელა „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა სადაბო, სასოფლო საბჭოს შესახებ“ 1968 წლის 25 დეკემბრის კანონის 22-ე მუხლით, მიწის კოდექსის 72-ე მუხლით, საქართველოს რესპუბლიკის მიწისტრთა კაბინეტის 1993 წლის 5 მარტის №119 დადგენილებით, „სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ საქართველოს კანონის 4.4 მუხლითა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტში 2003 წლის 20 ივნისის კანონით შეტანილი ცვლილებით და მიიჩნია, რომ, კომლთან დაკავშირებული ადგილობრივი მმართველობის ორგანოს აქტი – 1986-1995 წლების ხაშურის რაიონის სოფელ ა-ის

საკომლო წიგნში 1994 წელს შესრულებული ჩანაწერი, რომლითაც ნ. კ-ის კუთვნილი ქონება აღირიცხა გ. კ-ის სახელზე და 2001-2006 წლების საკომლო წიგნის ჩანაწერი არ პასუხობენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის მოთხოვნებს. ამასთან, სადავო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის პერიოდში საკომლო დავთარში (საკომლო წიგნში) სათანადო ჩანაწერის შეტანა არ განეკუთვნებოდა ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის კომპეტენციის სფეროს.

სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა, თავისი არსით, ეხება კომლის ქონებაზე უფლებას, რაც, თავისი ბუნებით, წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, განხილულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პალატამ ჩათვალა რომ მოცემულ საქმეზე, მოპასუხის სახით ადმინისტრაციული ორგანოს – მუნიციპალიტეტის გამგეობის მონაწილეობა არ ცვლის განსახილველი საქმის სამართლებრივ ბუნებას.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება მ. ლ-მ გაასაჩივრა საკასაციო წესით და მოითხოვა მისი გაუქმება შემდეგი საფუძვლებით:

სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ დავის საგანს წარმოადგენდა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2007 წლის 31 აგვისტოს გაცემული №483 ცნობა, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, განხილული უნდა იქნეს სწორედ როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. იგი გამოცემულია ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა-ის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზუღდული წრის უფლებასა და მოვალეობას.

ამასთან, არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის ა-ის ტერიტორიული ორგანოს 2007 წლის 31 აგვისტოს გაცემული №483 ცნობისა და 2007 წლის 5 სექტემბრის საჯარო რეესტრის ჩანაწერის ბათილად ცნობის მოთხოვნები წარმოადგენს თანამდევ მოთ-

ხოვნებს იმ მიზეზით, რომ სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ასეთს არ იცნობს. შესაბამისად, მოცემული საქმის განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

ამდენად, საქმე უკანონოდ განიხილა სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, რაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, გაეცნო საკასაციო საჩივრის საფუძველებს და თვლის, რომ მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება უნდა დარჩეს უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ განსახილველი დავა შეაფასა სამოქალაქო სამართლებრივ დავად, რასაც იზიარებს საკასაციო სასამართლოც, მაგრამ პალატა მიიჩნევს, რომ განჩინების სამართლებრივი დასაბუთება არ არის სრული სახის.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელო მოთხოვნა, თავისი არსით, ეხება კომლის ქონებაზე უფლებას, რაც, თავისი ბუნებით, წარმოადგენს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავას.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მიერ გაკეთებული კატეგორიული დასკვნა დავის საგნის სამართლებრივ ბუნებასთან დაკავშირებით (კომლის ქონებასთან მიმართებაში) დავის განხილვის მითითებული ეტაპისათვის მიზანშეუწონელია. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი უფლება შეილახა 1994 წელს საკომლო ნიგნში გაკეთებული ჩანაწერის საფუძველზე. ასევე 2001-2006 წლების საკომლო ჩანაწერების საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გაცემული ცნობისა და საჯარო რეესტრის მიერ განხორციელებული ჩანაწერის შედეგად. მონინალმდევე მხარის განმარტებით, იმ პერიოდისათვის მისი ოჯახი არ წარმოადგენდა საკოლმეურნეო კომლს. იმის მიხედვით, თუ რა შეფასებას მისცემს სასამართლო საქმეში არსებულ მტკიცებულებებს – დადასტურებულად მიიჩნევს კომლის არსებობას თუ მუშა-მოსამსახურის კატეგორიის არსებობას, სრულიად განსხვავებული წესით გადაწყდება დავა.

საქართველოში საკოლმეურნეო კომლი 1993 წლამდე არსე-

ბობდა. საკოლმეურნეო კომლის ერთ-ერთი და ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იყო კომლის ყველა შრომისუნარიანი და სრულწლოვანი წევრის კოლმეურნეობის წევრობა, პირადი შრომით-საკოლმეურნეო წარმოებაში და კომლის დამხმარე მეურნეობაში მონაწილეობის სავალდებულო ხასიათი. საკოლმეურნეო კომლის წევრები დამხმარე მეურნეობას კომლისათვის განკუთვნილ საკარმიდამო მიწის ნაკვეთზე საერთო ძალებით აწარმოებდნენ და ამ კომლის ქონების თანამესაკუთრებად გვევლინებოდნენ. თუ ოჯახში კოლმეურნეობის არც ერთი წევრი არ რჩებოდა, საკოლმეურნეო კომლი ისპობოდა და მუშა-მოსამსახურის ოჯახი იქმნებოდა, ხოლო დამხმარე მეურნეობის ადგილს მუშა-მოსამსახურის მეურნეობა იკავებდა. საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის) 122-ე მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო კომლის ქონება კომლის წევრებს თანასაკუთრების უფლებით ეკუთვნოდა. აღნიშნული კოდექსის 125-ე მუხლის თანახმად კი, კომლის ყველა წევრს, მათ შორის არასრულწლოვანსა და შრომისუუნაროსაც, თანაბარი წილი ეკუთვნოდა. „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ“ მთავრობის 1992 წლის 22 სექტემბრის №949 დადგენილების, სახელმწიფო საბჭოს 1993 წლის 21 ოქტომბრის №29 დეკრეტის საფუძველზე 1993 წლიდან დადგინდა სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობების რეორგანიზაცია და ახალ ორგანიზაციულ სამართლებრივ ფორმაზე გადასვლა. კოლმეურნეობების გაუქმებით საკოლმეურნეო კომლის არსებობას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა და მან არსებობა შეწყვიტა. შესაბამისად, ქონება, რომელიც კომლის ქონებას და ამავე დროს კომლის წევრთა საერთო საკუთრებას წარმოადგენდა, აღარ წარმოადგენს კომლის ქონებას და არის იმ პირთა საერთო საკუთრება თანაბარ წილში, რომლებიც კომლის წევრებს წარმოადგენენ. აღნიშნულ ქონებაზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საკუთრების საერთო რეჟიმი.

განსხვავებით საკოლმეურნეო კომლში დასაქმებული პირებისაგან, საბჭოთა მეურნეობაში დასაქმებული პირების, ასევე კოლმეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეების მიმართ საკუთრების, თუ სამემკვიდრეო უფლებიდან გამომდინარე ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი იდენტური იყო ქალაქად მცხოვრები პირების სამართლებრივი რეგულირებისა. სამოქალაქო ურთიერთობანი ამ პირთა მონაწი-

ლებით სპეციალური რეგულირების საგანს არ წამოადგენდა საკოლმეურნეო კომლისაგან განსხვავებით. მასთან დაკავშირებული სამემკვიდრეო თუ საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა ურთიერთობები რეგულირდებოდა ისევე, როგორც ქალაქად მცხოვრებ პირთა მიმართ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს უპირველესი ამოცანა დავის გადასაწყვეტად იმ გარემოების დადგენაა სადავო ქონება განეკუთვნებოდა საკოლმეურნეო კომლის, საკოლმეურნეო კომლში დასაქმებული მუშა-მოსამასახურისა თუ საბჭოთა მერნეობის ქონებას. იმის მიხედვით, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნება სადავო ქონება აღნიშნული საკითხი სადავოდ იყო გამხდარი სააპელაციო სასამართლოშიც. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითება, რომ სადავო ქონება წარმოადგენს საკოლმეურნეო კომლის ქონებას, უნდა დადგინდეს მხოლოდ საქმის განხილვის დროს. რა თქმა უნდა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ქონების კუთვნილებისა არ იცვლება დავის ხასიათი.

პალატა მიიჩნევს, რომ სასამართლომ სწორი შეფასება უნდა მისცეს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს და გააკეთოს შესაბამისი დასკვნა მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის შესახებ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

მ. ლ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინება დარჩეს უცვლელად.

სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# მტკიცებაშუღბათა გამოკვლავა-შეფასება

## ბანჩინება

№ას-61-57-2013

7 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელება, სამკვიდრო მონმობისა და საჯარო რეესტრის ჩანანერის ნანილობრივ ბათილად ცნობა, სამკვიდრო ქონების მესაკუთრედ ცნობა

### აღწერილობითი ნანილი:

ნ. ლ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ო-ისა და მესამე პირის – ნოტარიუს ნ. თ-ის მიმართ ან გარდაცვლილი ბებუის, ნ.-ნ. ო-ის კუთვნილ დანაშთ ქონებაზე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელების, ნოტარიუს ნ. თ-ის მიერ 2010 წლის 5 ივლისს გ. ო-ის სახელზე გაცემული №100660367 სამკვიდრო მონმობის 1/4 ნანილში ბათილად ცნობის, მამკვიდრებელ ნ.-ნ. ო-ის სამკვიდროს 1/4 ნანილში გ. ო-ის სახელზე საკუთრების უფლების რეესტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ჩანანერის ბათილად ცნობისა და აღნიშნული სამკვიდროს 1/4 ნანილზე ნ. ლ-ის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში აღრიცხვის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

მოსარჩელე დაიბადა და ცხოვრობდა ქ.გურჯაანში, ... ქ. №1-ში. მისი მამა გ. ო-ე გარდაიცვალა 1984 წლის 10 ივნისს, ხოლო ბებია, მამის დედა – ნ.-ნ. ო-ე გარდაიცვალა 1984 წლის 25 ივნისს. ბებუის გარდაცვალებისთანავე მოსარჩელე დაუფლებული იყო ნ.-ნ. ო-ის დანაშთ ქონებასა და მოძრავ ნივთებს. ნ. ლ-ის ძმას – გ. ო-ეს გ. ო-ემ სიცოცხლეშივე აუშენა სახლი სოფელ გურჯაანში. გ. ო-ე მამისა და ბებუის გარდაცვალების შემდეგ მალევე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში ორწლიან სამსახურში. 1985 წლის 29 ოქტომბერს მოსარჩელემ იქორწინა ლ. ლ-ე. ერთად ცხოვრების პერიოდში შეეძინათ ორი შვილი, რომლებიც ქალაქ გურჯაანში, ... ქ. №1-ში ან გარდაცვლილი დედის, მ. ო-ის სახლში აღიზარდნენ. გ. ო-ემ 2010 წლის 11 ივნისს გასცა მინ-



დობილობა მეუღლე მ. ო-ის სახელზე ან გარდაცვლილი ბებიის, ნ.-ნ. ო-ის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით სამკვიდრო საქმის სანარმოებლად. 2010 წლის 5 ივლისს ნოტარიუსმა ნ. თ-მა გ. ო-ის სახელზე გასცა №100660367 სამკვიდრო მონაწილეობა, სადაც აღნიშნულია, რომ გ. ო-ე არის მამკვიდრებელ ნ. ო-ის პირველი რიგის მემკვიდრე – შვილიშვილი. თუმცა არ არის გათვალისწინებული მემკვიდრის მამის დაბადების მოწმობა, სადაც უ. ო-ის დედად მითითებულია ნ. ო-ე და არა ნ. ო-ე. სამკვიდრო მონაწილეობის საფუძველზე საჯარო რეესტრში სამკვიდრო ქონების 2/4-ის მესაკუთრედ აღრიცხულია გ. ო-ე. 2011 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა მოსარჩელის ძმა გ. ო-ე. მოსარჩელემ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ №482 ცნობაზე, რომლითაც დადასტურებულია ის ფაქტი, რომ მოსარჩელე ძმასთან ერთად დაუფლებულია ბებიის დანაშთ ქონებას.

მ. ო-ემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძველებით:

ნ. ლ-მა და ლ. ლ-მა იქორწინეს 1984 წლის ივნისში, მამის გარდაცვალებიდან ორიოდე კვირაში, ხოლო ქორწინება რეგისტრაციაში გატარდა 1985 წლის 29 ოქტომბერს, როდესაც შეეძინათ პირველი შვილი. ნ. ლ-ი ქ.გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლს არც ფაქტობრივი ფლობით და არც ნოტარიუსთან განცხადების წარდგენის გზით არ დაუფლებია. იგი ლ. ლ-ს ცოლად გაჰყვა მამის გარდაცვალებისთანავე, რაც ოჯახის შეურაცხყოფა იყო და მას ოჯახის წევრები წლების განმავლობაში არ შერიგებია. მოსარჩელე სამკვიდროს მიღების ვადის გაგრძელებას მოითხოვს 28 წლის შემდეგ, მაგრამ არ უთითებს, რა საპატიო მიზეზი გააჩნდა მას 28 წლის განმავლობაში, რომ ვერ მიიღო სამკვიდრო ქონება. მას თითქმის სამჯერ აქვს გაშვებული მოქმედი სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის მაქსიმალური 10-წლიანი ვადა. მოპასუხის მეუღლე გ. ო-ე სამხედრო სამსახურში გაინვიეს ბებიის, ნ. ო-ის გარდაცვალებიდან 10 თვის შემდეგ, 1985 წლის 22 აპრილს. გ. ო-ის სახელზე ირიცხება სოფელ გურჯაანში მდებარე სამი ოთახისაგან შემდგარი გაუმართავი, მინისპირა სათავსი და სამოსახლო მინის ნაკვეთი. აღნიშნული სათავსი არ არის საცხოვრებელი და ფარდულის მოვალეობას ასრულებდა. ერთადერთი საცხოვრებელი სახლი, რომელშიც გ. ო-ის ოჯახი ცხოვრობდა, არის ქალაქ გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე ბინა, რომელიც ირიცხებოდა ნ. ო-ის სახელზე. გ. ო-ეს ბებიის სამკვიდრო მიღებული აქვს კანონიერად და არ არსებობს სამკვიდ-

რო მონუმობის ბათილად ცნობის საფუძველი.

სარჩელი ასევე არ ცნო მესამე პირმა – ნოტარიუსმა ნ. თ-მა იმ საფუძველით, რომ სამკვიდრო მონუმობა კანონმდებლობის სრული დაცვითაა გაცემული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინებით ნ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 17 მაისის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს სხდომაზე დაკითხული მონმეების: შ. ო-ის, ვ. ბ-ის, ზ. ლ-ისა და თ. შ-ის ჩვენებებზე და დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ლ-ი გათხოვდა არა 1985 წლის 29 ოქტომბერს, როდესაც ქორწინება რეგისტრაციაში გაატარეს, არამედ 1984 წლის შემოდგომაზე, მამისა და ბების გარდაცვალების შემდეგ. გათხოვების შემდეგ მოსარჩელე პერიოდულად მიდიოდა დედასთან და ძმასთან, ქ. გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე ბების, ნ.-ნ. ო-ის დანაშთ საცხოვრებელ სახლში, მაგრამ, მან კანონით დადგენილი წესით ვერ დაადასტურა ძმასთან, გ. ო-ესთან ერთად ბების, ან გარდაცვლილი ნ.-ნ. ო-ის დანაშთი ქონების, ქ. გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ფაქტობრივი ფლობით მიღების ფაქტი. მ. ო-ის მეუღლე გ. ო-ე დაბადებიდან გარდაცვალებამდე ცხოვრობდა ქ. გურჯაანში, ... ქ. №1-ში, ბების, ნ.-ნ. ო-ის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში, ნ.-ნ. ო-ის გარდაცვალების შემდეგ მის დანაშთ ქონებას ფლობდა და განკარგავდა როგორც საკუთარს მისი შვილიშვილი, ან გარდაცვლილი გ. ო-ე, შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ გ. ო-ეს ბების, ნ.-ნ. ო-ის კუთვნილი დანაშთი ქონება მემკვიდრეობით მიღებული აქვს კანონით დადგენილი წესით. გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქ. გურჯაანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მიერ 2012 წლის 12 მარტს გაცემული №482 ცნობა (სადაც აღნიშნული იყო, რომ ნ. ლ-ი ძმასთან ერთად ნამდვილად დაეუფლა ნ.-ნ. ო-ის საცხოვრებელ სახლს) სადავო სამკვიდრო ქონების ფლობის ფაქტის დამადასტურებლად არ იქნა მიჩნეული იმ საფუძველით, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 25 აპრილის №395 ბრძანებით ბათილად იქნა ცნობილი ეს

მტკიცებულება, ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა ნ. ლ-ის განმარტება, რომ ძმასთან, გ. ო-ესთან ერთად დაუფლებული იყო ბებიის, ან გარდაცვლილი ნ.-ნ. ო-ის დანაშთ ქონებას, რადგან, ამ გარემოების დამადასტურებელი შესაბამისი მტკიცებულებები მხარეს არ წარუდგენია.

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 544-ე მუხლით, 556-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ სამკვიდროს ფლობაში ან მართვაში იგულისხმებოდა მემკვიდრის მიერ ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომლებიც მიუთითებდა სამკვიდროს მიღების სურვილზე, რომლითაც ვლინდებოდა მემკვიდრის ნება, გამხდარიყო სამკვიდრო ქონების მესაკუთრე. სასამართლოს მოსაზრებით, მემკვიდრე შეიძლება არ ფლობდეს მამკვიდრებლის ქონებას, მაგრამ მისი მოქმედებებიდან (მართავს ამ ქონებას, იხდის კომუნალურ გადასახადებს, განკარგავს ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს და ა.შ) უნდა ირკვეოდეს, რომ სამკვიდრო ქონებას იგი თავისად მიიჩნევს. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა ან გარდაცვლილი ბებიის – ნ.-ნ. ო-ის დანაშთი ქონების ფაქტობრივი ფლობის ფაქტი.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ლ-მა, მოითხოვა მოცემულ საქმეზე რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების, ასევე სააპელაციო პალატის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება, კერძოდ, ან გარდაცვლილი ბებიის დანაშთი სამკვიდრო ქონების 1/4-ის მესაკუთრედ ნ. ლ-ის ცნობა და შესაბამისი ცვლილების განხორციელება ნოტარიუს ნ. თ-ის მიერ გ. ო-ის სასარგებლოდ გაცემულ სამკვიდრო მონაშთასა და სამკვიდრო ქონების თაობაზე საჯარო რეესტრში არსებულ ჩანაწერებში შემდეგი საფუძვლებით:

რაიონულმა სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა დაამყარა 2010 წლის 18 ივნისს გაცემულ №456 ცნობას, სადაც აღნიშნულია, რომ ბებიის გარდაცვალების შემდეგ სამკვიდრო ქონებას ფლობდა და განკარგავდა მისი შვილი – უ. ო-ე, ხოლო მოგვიანებით, ამ მისამართზე ცხოვრობდა ნ. ო-ის შვილიშვილი გ. ო-ე, რაც არასწორია, რადგანაც უ. ო-ეს დედის სამკვიდრო არ მიუღია, ის დედაზე ადრე გარდაიცვალა, ხოლო გ. ო-ე ნ. ო-ის დანაშთ ქონებაზე სამკვიდრო მონაშთას ვერ მიიღებდა, რადგანაც უ. ო-ის დაბადების მონაშთაში დედად მითი-

თებუღია ნ. ო-ე და არა ნ. ო-ე. საყურადღებოა, რომ სარეგისტრაციო მონაცემებში სამკვიდრო ქონებაზე ნ. ი-ის ასული ო-ის საკუთრება არაა აღრიცხული, არამედ, ტექ.ინვენტარიზაციის ბიუროს მონაცემებით, ქ.გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე უძრავი ქონება რეგისტრირებულია ნ. ი-ის ასული ო-ის სახელზე. სასამართლოს არ გამოუკვლევია და არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ ნოტარიუსმა პირთა ნათესაური კავშირის ფაქტის დადგენის გარეშე გასცა სამკვიდრო მონაწილეობა. რაც შეეხება მონაწილეების: შ. ო-ისა და ვ. ბ-ის ჩვენებებს, მათ ვერ დაადასტურეს კასატორის დედის გარდაცვალების დრო, შესაბამისად, მათ არ შეეძლოთ 1984 წელს არსებული მდგომარეობა გადმოეცათ. სასამართლოს არ შეუფასებია ის ფაქტი, რომ კასატორის დედა – მ. ო-ე გარდაიცვალა 2003 წელს. ბებიის გარდაცვალების შემდეგ ნ. ლ-ი ცხოვრობდა ... ქ. №1-ში, რაც დაადასტურეს მოსარჩელის ინიციატივით დაკითხულმა მონაწილეებმა: ზ. ლ-მა და თ. შ-მა. ნ. ლ-ი ფლობს ბებიის დან.ვარ ნივთებს, მონაწილეობდა ადგილმამულების დამუშავებაში და ძმასთან ერთად ფაქტობრივად ფლობდა სამკვიდროს. ეს გარემოებები დადასტურებულია, როგორც მონაწილეთა ჩვენებებით, ისე საქმეში არსებული №482 ცნობით. მონაწილეთა ჩვენებებით დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ 1984 წლიდან 1992 წლამდე ნ. ლ-ი ცხოვრობდა ბებიის სახლში და აქვე გაზარდა შვილები. სასამართლომ არასწორად უთხრა უარი მოსარჩელეს 2010 წლის 5 ივლისს გაცემული სამკვიდრო მონაწილეობის თაობაზე სანოტარო ორგანოდან მასალების გამოთხოვაზე.

კასატორმა სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა ნოტარიუს ნ. თ-ის სანოტარო ბიუროდან №100660367 საქმის გამოთხოვის თაობაზე, ამასთან, საკასაციო საჩივარს დაურთო მტკიცებულებები 17 ფურცლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 15 აპრილი განჩინებით ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, ნ. ლ-

ის საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

საქმის მასალებით დადგენილია და მხარეს საკასაციო პრეტენზია არ წარმოუდგენია იმ ფაქტობრივი გარემოების თაობაზე, რომ ქალაქ გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და ეზოს 2/4 ან გარდაცვლილ ნ.-ნ. ო-ის საკუთრებას წარმოადგენდა.

ნ.-ნ. ო-ე გარდაიცვალა 1984 წლის 25 ივნისს.

ნ. ო-ის შვილი უ. ო-ე გარდაიცვალა 1984 წლის 10 ივნისს.

2012 წლის 5 ივლისს ნოტარიუსის ნ. თ-ის მიერ გაცემული №100660367 სამკვიდრო მოწმობით, ნ.-ნ. ო-ის დანაშთი ქონება – ქალაქ გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და ეზოს 2/4 ნაწილი, აგრეთვე, სამკვიდრო ქონებაში შემავალი აქტივები და პასივები, საკუთრებაში მიიღო მამკვიდრებლის შვილიშვილმა გ. ო-ემ.

მ. ო-ის მეუღლე, ან გარდაცვლილი გ. ო-ე სამხედრო სამსახურში გაიწვიეს 1985 წლის 22 აპრილს, საიდანაც გათავისუფლებულია თადარიგში 1987 წლის 28 მაისს. გ. ო-ე გარდაიცვალა 2011 წლის 14 სექტემბერს.

ქ.გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და ეზოს 2/4 საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღრიცხულია ან გარდაცვლილ გ. ო-ის სახელზე, ხოლო 2/4 ნაწილი რეგისტრირებულია ვ. ბ-ის სახელზე.

ქ.გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე საცხოვრებელ სახლში შვილთან ერთად ცხოვრობს მოპასუხე.

ნ. ღ-ი 1985 წლის 29 ოქტომბერიდან იმყოფება რეგისტრირებულ ქორწინებაში ლ. ღ-თან და 1985 წლის 13 აგვისტოს შეეძინათ შვილი, ლ. ღ-ი.

აღნიშნულ გარემოებებს საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მხარის მოსაზრებას, რომ სასამართლო ვალდებული იყო, დაედგინა უ. ო-ის დაბადების მოწმობაში მითითებული ნ. ო-ისა და ნ. ო-ის იდენტურობის ფაქტი და ამის შემდეგ განეხილა საქმე, რადგანაც დადგენი-

ლია და მხარეთა შორის სადავო არ არის ის ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელის ან გარდაცვლილმა ძმამ, გ. ო-ემ მემკვიდრეობით მიიღო ქ.გურჯაანში, ... ქ. №1-ში მდებარე ბებიის – ნ.-ნ. ო-ის კუთვნილი სამკვიდრო და სწორედ ამ ქონებაზე აცხადებს მოსარჩელე პრეტენზიას, შესაბამისად, ამ ნაწილში მხარეს დასაბუთებული შედავება არ წარმოუდგენია.

განსახილველი საკასაციო საჩივრის საგანს წარმოადგენს ნ. ღ-ის მიერ ბებიის – ნ.-ნ. ო-ის სამკვიდროს მიღება-არმიღების ფაქტი.

ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ნ. ღ-ის პრეტენზიაზე, რომ სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია მტკიცებულებები და არასწორად დაადგინა დავის ფაქტობრივი გარემოებები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი, ხოლო ამავე ნორმის მე-3 ნაწილით დადგენილია, რომ საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი.

ბებიის სამკვიდროს ძმასთან ერთად დაუფლების ფაქტს კასატორი ამყარებს იმ გარემოებას, რომ ნ. ღ-ი მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ ცხოვრობდა დანაშთ ქონებაში, ამასთანავე მიიღო და დღესაც მის მფლობელობაშია ბებიის კუთვნილი ნივთების ნაწილი. ეს გარემოებები მოსარჩელემ, ერთი მხრივ, დაამყარა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მიერ 2012 წლის 12 მარტს გაცემულ №482 ცნობას და, მეორე მხრივ, მიუთითა მონმეთა ჩვენებებზე.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემული ცნობის არასათანადო მტკიცებულებად მიჩნევის თაობაზე საკასაციო პალატა ეთანხმება გასაჩივრებული განჩინების იმ მსჯელობას, რომლის თანახმადაც №482 ცნობა სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი ფლობით მიღების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ იქნება განხილული, მიუხედავად მტკიცებულებაში არსებული მითითებისა, რომ ნ. ღ-ი ძმასთან ერთად ფაქტობრივად დაეუფლა სამკვიდროს, რადგანაც საქმის მასალებით დადგენილია და კასატორს ამ გარემოების თაობაზე პრეტენზია არ წარმოუდგენია, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2012 წლის 25 აპრილის №395-ე ბრძანებით მითითებული ცნობა

ბათილად იქნა ცნობილი.

რაც შეეხება მოწმეთა ჩვენებებს, საკასაციო პალატა საე-სებით ეთანხმება ნ.ლ-ის მოსაზრებას სასამართლოს მიერ ამ ჩვენებების, როგორც მტკიცებულებების, არასწორი შეფასე-ბის თაობაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქ-ლაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია მხარის ვალდებულება, მისი პოზიციის დასა-დასტურებლად სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები. მხარის დასაბუთებული პრეტენზიის არსებობა სასამართლოს წარმოუშობს ვალდებულებას, დადგინოს გარემოებების სის-წორე საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებთან ერთობლიო-ბაში შეაფასოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხ-ლით დადგენილი წესით, კერძოდ (სსსკ 105-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები), სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თა-ვისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყო-ველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემო-ებების არსებობის ან არარსებობის შესახებ, მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.

საყურადღებოა, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლო-ბა ადგენს რა სადავო გარემოებების დადასტურების მტკიცე-ბის ტვირთის მხარეთა შორის განაწილების პროცესუალურ წესს, კანონმდებელი განსაზღვრავს დასაშვები მტკიცებულე-ბების ნუსხას და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხ-ლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ სადავო გარემოებების დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. ისეთ ვითარებაში, როდესაც მხარე სა-დავოდ მიჩნეულ გარემოებებს ამყარებს რომელიმე დასაშვებ მტკიცებულებას, სასამართლოს როლი ამ მტკიცებულების სწო-რი და ყოველმხრივი შეფასების გზით საქმეზე ჭეშმარიტების დადგენით შემოიფარგლება.

განსახილველ შემთხვევაში, ნ.-ნ. ო-ის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის განმავლობაში ნ. ლ-ის სამკვიდრო სახლში ცხოვრების ფაქტს ადასტურებენ პირველი ინსტანციის სასა-მართლოში როგორც მოსარჩელის, ისე მოპასუხის ინიციატივით დაკითხული მოწმეები, რაც სასამართლოს სათანადოდ არ შე-უსწავლია. მოწმე შ. ო-ის განმარტებით, ნ. ლ-ი მამის გარდაცვა-



ლებიდან 4-5 თვის შემდეგ გათხოვდა, მონმე ვ. ბ-ის განმარტება ასევე მიანიშნებს ნ. ო-ის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ კასატორის გათხოვების ფაქტზე, მონმედ დაკითხულმა ზ. ლ-მა ნ. ლ-ის გათხოვების დროდ მიუთითა 1984 წლის დეკემბერი, არსებითად იმავე გარემოებაზე მიუთითებს მოსარჩელის შუამდგომლობით დაკითხული მონმე თ. შანშიაშვილი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მონმეთა ჩვენებების შეფასებისას, სასამართლო ვალდებულია, ისევე, როგორც სხვა სახის მტკიცებულება, მონმის ჩვენება შეაფასოს მისი შინაარსისა და იურიდიული დამაჯერებლობის კუთხით, იმ ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმების (მხარეებთან დამოკიდებულება, ფიზიკური მდგომარეობა, ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მონმის ჩვენებაზე და სხვა) გათვალისწინებით, რომელიც ამ მტკიცებულებისთვისაა დამახასიათებელი და სწორედ ამ გზით მიიღოს გადაწყვეტილება სადავო ფაქტობრივი გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ.

სამკვიდროს დაუფლების ფაქტის დადგენის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მნიშვნელოვანია პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოპასუხის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება, სადაც მხარე მიუთითებს გ. ო-ის უარყოფით დამოკიდებულებაზე ორმოცამდე დის გათხოვებისა და სახლიდან ნივთების წაღების ფაქტის გამო. სხდომის ოქმში მითითებული ეს მსჯელობა სასამართლოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენისას არ შეუფასებია მათ შორის არც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის კონტექსტში, რომლის თანახმადაც ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული განჩინებით დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ნ. ლ-ი 1984 წლის შემოდგომაზე გათხოვდა, თუმცა სამკვიდრების გარდაცვალების თარიღის გაუთვალისწინებლობით, სასამართლომ, დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოების საწინააღმდეგოდ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სამკვიდროს ძმასთან ერთად მიღების ფაქტი ვერ დაადას-



ტურა, რასაც საკასაციო პალატა ზემოაღნიშნული საფუძველ-  
ბის გამო ვერ დაეთანხმება და თვლის, რომ მოცემული საქმის  
სწორად გადაწყვეტის მიზნით საჭიროა საქმეში არსებული მტკი-  
ცებულებების დამატებითი გამოკვლევა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი  
ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო  
აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილვე-  
ლად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარე-  
მოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენი-  
ლი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყ-  
ვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა  
დამატებითი გამოკვლევა, ხოლო მე-2 ნაწილით დადგენილია,  
რომ ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყ-  
ვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძველად უნდა დაუ-  
დოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სა-  
აპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილვე-  
ლად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე  
ან სხვა შემადგენლობას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმეზე სადავო ფაქ-  
ტობრივი გარემოებების დადგენის მიზნით საჭიროა მტკიცე-  
ბულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო სასამართლო  
მოკლებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხ-  
ლით გათვალისწინებულ შესაძლებლობას, თავად მიიღოს გა-  
დაწყვეტილება წინამდებარე დავაზე, შესაბამისად, საქმე ხე-  
ლახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასა-  
მართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების  
ყოველმხრივი და სრულყოფილი გამოკვლევის გზით უნდა და-  
ადგინოს გარემოება იმის შესახებ, მამკვიდრებელ ნ.-ნ. ო-ის გარ-  
დაცვალებიდან კანონით დადგენილ ვადაში ფაქტობრივად და-  
ეუფლა თუ არა ნ. ღ-ი სამკვიდროს, სწორედ ამ საკითხის დად-  
გენის შემდეგ უნდა შეაფასოს სასამართლომ სამართლებრივი  
თვალსაზრისით მოსარჩელის მოთხოვნის მართებულობა.

რაც შეეხება კასატორის შუამდგომლობას მტკიცებულება-  
თა გამოთხოვის თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმე-  
ბა აღნიშნულს, ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებულია  
და თავად კასატორიც მიუთითებს, რომ ეს შუამდგომლობა მას  
ქვემდგომ სასამართლოშიც ჰქონდა დაყენებული, ირკვევა, რომ  
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 8 ნოემბრის  
საოქმო განჩინებით მტკიცებულებათა გამოთხოვის შესახებ შუ-  
ამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. საკასაციო საჩივრის შესწავ-

ლით უტყუარად დასტურდება, რომ მხარეს მტკიცებულებათა გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლი მე-2 ნაწილით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია, რაც საკასაციო პალატას მისცემდა შესაძლებლობას, შეეფასებინა ამ განჩინების მართებულობის საკითხი, ხოლო ამავე ნორმის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, საკუთარი ინიციატივით იმსჯელოს გარემოებებზე, რომელთა თაობაზეც საკასაციო საჩივარში არ არის მითითებული, ამასთანავე, პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენ სასამართლოს, ამ ინსტანციაში მტკიცებულებათა წარმოდგენა თუ მათი საქმისათვის დართვა მოქმედ კანონმდებლობას ეწინააღმდეგება (სსსკ 407.1), სწორედ ამ ფუძვლიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ ნ. ლ-ს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 17 ფურცლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით, შესაბამისად, საქმის ხელახლა განხილვისას სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ლ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 15 ნოემბრის განჩინება და საქმე დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

3. ნ. ლ-ის შუამდგომლობა მტკიცებულებათა გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

4. კასატორს დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე დართული მტკიცებულებები 17 ფურცლად.

5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

6. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება**

### **განჩინება**

№ას-479-455-2013

9 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** საზოგადოებისათვის დირექტორის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ბ.ც. ს. რ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. ლ-ის უფლებამონაცვლე ფ. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების სახით 27000 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

ფ. ა-ის მეუღლე, ან გარდაცვლილი მ. ლ-ი, 1999 წლიდან 2006 წლამდე შპს „ბ.ც. ს. რ-ის“ დირექტორი იყო. საზოგადოების დირექტორი მის ვალდებულებას არაჯეროვნად და არაკეთილსინდისიერად ასრულებდა, რაც საზოგადოების შემოსავლების ხელშეკრულებით იყო გამოიხატებოდა, კერძოდ, საიჯარო ფართებიდან მ. ლ-ი იღებდა იმაზე მეტ შემოსავალს, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. სასტუმროს პირველ სართულზე განთავსებული საუნა, ხელშეკრულების მიხედვით, გაქირავებული იყო თვეში 200 ლარად, რეალურად კი დირექტორი საიჯარო ქირის სახით 2000 ლარს იღებდა, რაც არ აღირიცხებოდა საზოგადოების ანგარიშებზე. ამ გზით მ. ლ-ს სულ მიღებული აქვს 27000 ლარი და ეს თანხა საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენს. საზოგადოებისადმი ზიანის მიყენების

ფაქტი დადასტურებულია 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი დასაბუთებით:

შპს „ბ.ც. ს. რ-ის“ მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლებით მოსარჩელის მოთხოვნა ერთხელ უკვე იქნა განხილული სასამართლოს მიერ და სასამართლოს გადაწყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. შპს „ბ.ც. ს. რ-ის“ მოთხოვნა დაუსაბუთებელია და არ არსებობს საკმარისი მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებენ მ. ლ-ის მხრიდან საზოგადოებისადმი ზიანის მიყენების ფაქტს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ დადგენილებაში მითითებული ფაქტები კი არ წარმოადგენს ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ გარემოებებს.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილებით შპს „ბ.ც. ს. რ-ის“ სარჩელი მოპასუხე ფ. ა-ის მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

აღნიშნული საქმე განხილულ იქნა ზემდგომი სასამართლოების მიერ და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინებით შპს „ბ.ც. ს. რ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტმა დააკონკრეტა სარჩელის საფუძვლების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე და ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილება და 2007 წლის 1 მაისის იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც საიჯარო თანხა განისაზღვრა 2000 ლარით.

სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებებითა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის №92061383 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით არ დასტურდებოდა მ. ლ-ის მიერ საზოგადოების გვერ-

დის ავლით იჯარის რეალური თანხების მიღებისა და აღნიშნულის გამო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. ამ კუთხით სასამართლომ მიუთითა ასევე იმ გარემოებაზე, რომ მ. ლ-ი 1999 წლიდან 2006 წლის 10 აპრილამდე დანიშნული იყო სს „ბ.ც. ს. რ-ის“ დირექტორად. მ. ლ-ი გარდაიცვალა 2007 წლის 9 ნოემბერს. შპს „ბ. ც. ს. რ-ი“ წარმოადგენს სს „ბ. ც. ს. რ-ის“ უფლებამონაცვლეს. მ. ლ-ის დირექტორად ყოფნის პერიოდში სს „ბ.ც. ს. რ-ი“ სასტუმროში არსებულ ფართებს გასცემდა იჯარით. საქმეზე წარმოდგენილია ორი საიჯარო ხელშეკრულება – 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის 1 იანვრამდე გაფორმებული ინდ.მენარმე ე. გ-ან და 2006 წლის 1 იანვრიდან 2007 წლის პირველ იანვრამდე. ხელშეკრულების მიხედვით, საიჯარო ქირად განსაზღვრულია 200 ლარი. 2006 წლის 15 ნოემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოში დაიწყო წინასწარი გამოძიება №92061383 სისხლის სამართლის საქმეზე სს „ბ.ც. ს. რ-ის“ ხელმძღვანელობის მიერ სხვისი ქონების მითვისების ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით, უარი ითქვა მ.ლ-ის მიმართ სისხლის-სამართლებრივი დევნის დაწყებაზე და შეწყდა წინასწარი გამოძიება. მ.ლ-ი საქმეზე ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი. სასამართლომ მიუთითა აპელანტის მოსაზრებაზე, რომლის თანახმადაც ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებაში მითითებული ფაქტი, რომ 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის აპრილის ჩათვლით მ.ლ-მა ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით, სააქციო საზოგადოების ინტერესის საწინააღმდეგოდ, ინდ.მენარმე ე. გ-ან უკანონოდ მიიღო 27000 ლარი, რაც არ შეიტანა სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში, წარმოადგენდა მოცემული საქმის მიმართ უდავოდ დადგენილ ფაქტს.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და ჩათვალა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და №92061383 სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებითა და მასში აღწერილი ფაქტებით, არ შეიძლება დადასტურებულიყო მ.ლ-ის მიერ ინდ.მენარმე ე. გ-ან

27000 ლარის უკანონოდ მიღების ფაქტი.

დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით, უარი ითქვა მ.ლ-ის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე და შეწყდა წინასწარი გამოძიება პირის გარდაცვალების გამო. მ.ლ-ი საქმეზე ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი. პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლზე, რომელიც უდანაშაულობის პრეზუმფციას განამტკიცებს და განმარტა, რომ მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედება, რაც დანაშაულის შემადგენლობას ქმნის, არ იყო დადასტურებული, რადგან არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული განაჩენი. სასამართლომ ასევე მიუთითა პროკურატურის დადგენილების შინაარსსა და მასში აღწერილ ფაქტებზე. კერძოდ, დადგენილების მეორე გვერდის ბოლო აბზაცის თანახმად, „მ. ლ-მა 2005 წლის 1 იანვარს, ინდ.მენარმე ე. გ-ს, სააქციო საზოგადოების ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, გააფორმა ხელშეკრულება, თვეში, ვითომდა, 200 ლარად სასტუმროს პირველ სართულზე არსებული საუნის იჯარით გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულება დაამოწმა პირადი ხელმოწერით და საზოგადოების ბეჭდით, სიტყვიერად კი ინდ.მენარმეს მოსთხოვა და აიძულა თვეში მისთვის 2000 ლარის გადახდა, საიდანაც დაიფარებოდა ხელშეკრულებაში მითითებული 200 ლარი. 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის აპრილის თვის ჩათვლით მ.ლ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით, სააქციო საზოგადოების ინტერესის საწინააღმდეგოდ, ინდ.მენარმე ე. გ-ს უკანონოდ მიიღო 27000 ლარი, რაც არ შეიტანა სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში“. სააკველაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემული დადგენილება, გარდა ზემოთ მოყვანილი ფაქტისა, შეიცავდა, აგრეთვე, სხვა გარემოებებს, თუმცა, ამავე დადგენილების მესამე გვერდზე გადმოცემული ფაქტები ეყრდნობოდა გარკვეულ გამოკვლევებს, მტკიცებულებებს, კერძოდ, მოწმეთა ჩვენებებს, ხოლო სადავოდ გამხდარი ფაქტი მტკიცებულებებზე დამყარებული არ ყოფილა. დადგენილება მ.ლ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ნაწილში არ ეყრდნობოდა არანაირი მტკიცებულების კვლევას, უფრო მეტიც, მითითებულიც კი არ ყოფილა არც ერთ მტკიცებულებაზე, რომელსაც დაეყრდნო დადგენილება. დადგენილებაში იჯარით გადაცემული ფართი მოხსენებული იყო „საუნად“, მაშინ, როდესაც

საქმეში წარმოდგენილი იჯარის არც ერთ ხელშეკრულებაში ნახსენებიც კი არ ყოფილა „საუნა“, ისევე როგორც მისი მდებარეობა – პირველი სართული, როგორც იჯარით გადაცემული ფართი. ამავე დროს, დადგენილების მიხედვით, მ.ლ-მა ე.გ-ა აიძულა, თვეში მისთვის გადაეხადა 2000 ლარი, თუმცა არ იყო დადასტურებული, რას ეყრდნობოდა ამგვარი იძულების ფაქტი. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, გაურკვეველია, საერთოდ რას ეფუძნებოდა პროკურატურის დადგენილება ზემოთ ხსენებულ ნაწილში. სხვა დოკუმენტაცია, სისხლის სამართლის საქმიდან, მოცემულ საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა. მ.ლ-ის მართლსაწინააღმდეგო ქმედების დადასტურებას აპელანტი შეეცადა ასევე, საქმეში წარმოდგენილი 2005-2006 წლისა და 2007 წლის 1 მაისის იჯარის ხელშეკრულებებით. საქმის მასალებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 2005 წლის 1 იანვარს ე. გ-სა და მ.ლ-ს, როგორც ს. რ-ის დირექტორს შორის, გაფორმდა იჯარის ხელშეკრულება. იჯარის საგნად ხელშეკრულებაში მითითებული იყო ფართი, კონკრეტული მაიდენტიფიცირებელი ნიშნების გარეშე, იჯარის თანხად კი განსაზღვრული იყო 200 ლარი. 2006 წლის 1 იანვარს იმავე მხარეებს შორის კვლავ გაფორმდა ზუსტად იმავე შინაარსის ხელშეკრულება, იმავე პირობებით, რომლის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2007 წლის 1 იანვრამდე პერიოდი. 2007 წლის 1 მაისს ცვლილება შევიდა 2007 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებაში იმავე მხარეებს შორის, საზოგადოების სხვა დირექტორის მონაწილეობით და იჯარის ქირად დღგ-ს გარეშე განისაზღვრა 2000 ლარი. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ, რომ მ.ლ-ი დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლდა 2006 წლის მარტიდან. აპელანტის განმარტებით, ახალი დირექტორის დანიშვნიდან, ანუ, 2006 წლის აპრილიდან უმოკლეს დროში საზოგადოებამ იგივე ფართი იჯარით გასცა ათჯერ მეტ თანხად. პალატამ საქმეში წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ 2000 ლარის ოდენობით იჯარის თანხა მხარეთა შორის შეთანხმდა მ.ლ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლებიდან ერთ წელზე მეტი ვადის გასვლის შემდეგ. რაც შეეხება 2007 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებას, რომელშიც შევიდა ცვლილება 2007 წლის 1 მაისის ხელშეკრულებით, საქმეში წარმოდგენილი ყოფილა. ასეთ პირობებში პალატამ 2006 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების შეფასებით, რომელიც გრძელდებოდა 2007 წლის 1 იანვრამდე, სასამართლომ ჩათვალა, რომ 2006 წლის 1 იანვრის ხელშეკრულება მის დასრულებამდე გრძელ-



დებოდა იმავე პირობებით, როგორც დაიდო მ.ლ-ის დირექტორად ყოფნის პერიოდში, ანუ, საიჯარო თანხად – 200 ლარის ოდენობის განსაზღვრით, რაც იმ გარემოებაზე მეტყველებდა, რომ საზოგადოებას მ. ლ-ის გათავისუფლების შემდეგ 2006 წლის 1 იანვრის ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე არ შეუტყველია საიჯარო თანხის ოდენობა, ხოლო 2007 წლის 1 იანვრის ხელშეკრულება რა თანხაზე იყო დადებული, არ დგინდებოდა, ამ ხელშეკრულების საქმეში არარსებობის გამო. იმ ვარაუდის დამტკიცების შემთხვევაში, რომ მ.ლ-ი, რეალურად, იჯარის ფართში იღებდა 2000 ლარს, წინააღმდეგობრივად იქნა მიჩნეული მოსარჩელის მოსაზრება, მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებთან მიმართებით, რადგან საქმეში არსებული საიჯარო ხელშეკრულებებით დგინდებოდა, რომ საზოგადოება მ.ლ-ის გათავისუფლებიდან 9 თვის განმავლობაში თანხმდებოდა 200 ლარად თავისი ქონების იჯარით გაცემას. აღნიშნული ფაქტი, სასამართლოს მოსაზრებით, ქმნიდა ვარაუდის საფუძველს, რომ ახალ თანხაზე მხარეთა შეთანხმება განპირობებული შესაძლოა ყოფილიყო ბაზარზე არსებული ფასთა ცვლილებით ან თავად 2007 წლის 1 მაისის ხელშეკრულებაში შეტანილი დამატებითი პირობით, რომლის მიხედვითაც, 2007 წლის 1 იანვრის ხელშეკრულებას დაემატა 2.1.1. პუნქტი: მეიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს საიჯარო ფართი მოიჯარის საქმიანობისთვის აუცილებელი პირობებით (მ.შ. კომუნალური პირობებით).

სასამართლოს მითითებით, არ დგინდებოდა 2005-2006 წლების იჯარის ხელშეკრულებებითა და 2007 წლის 1 მაისის ხელშეკრულებით იჯარით გადაცემული ფართების იდენტიურობა, რისი მტკიცების ტვირთიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, მოსარჩელეს ეკისრებოდა. ამდენად, სასამართლომ ჩათვალა, რომ მ.ლ-ის მიერ 2005-2006 წლებში იჯარით გადაცემული ქონების 2000 ლარად გაქირავებისა და საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ დგინდებოდა.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის პირველი ნაწილით, 992-ე მუხლით და განმარტა, რომ დელიქტიდან გამომდინარე საფუძვლით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, პირს დაეკისრებოდა ერთდროულად შემდეგი პირობების არსებობის შემთხვევაში: 1) უნდა არსებობდეს მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, 2) სახეზე უნდა იყოს ზიანი, 3) უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი დამდგარ შედეგსა (ზიანს)



და მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას შორის, 4) ზიანის მიმყენებელს უნდა მიუძღვოდეს ბრალი, მსგავს დათქმას ითვალისწინებდა „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის (ძველი რედაქციით) 9.7. და 56.4 მუხლები. მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ანუ, მოვალის მოქმედება უნდა იყოს არა მარტო ბრალეული, არამედ ზიანის გამომწვევიც, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელმა უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა. პირველ რიგში სახეზე უნდა იყოს ზიანი ე.ი. დადგენილი უნდა იყოს ზიანის მიყენების ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ვერ დაადასტურა. საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარე არ დასტურდებოდა, მოპასუხის მხრიდან რაიმე „მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელ ქმედების“ არსებობა, რაც გათვალისწინებული იყო სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლით, ხოლო ამავე კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირის დამნაშავედ მიჩნევის უფლება მხოლოდ სასამართლოს ჰქონდა.

სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, დაუშვებელი იყო უფლებამონაცვლის მიმართ თანხის დაკისრება. მართალია, მოპასუხე შესაგებელში დაეთანხმა გარემოებას, რომ მ. ლ-ის უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა ფ. ა-ი, მაგრამ მან სააპელაციო სასამართლოში სადავოდ გახადა უფლებამონაცვლის მიმართ თანხის დაკისრება. სასამართლომ მხარის ეს მოსაზრება სამართლებრივ შეფასებად და არა ფაქტად მიიჩნია, რომლის მიმართაც არ ვრცელდებოდა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლით დადგენილი შეზღუდვები.

მოცემულ შემთხვევაში სარჩელით მოთხოვნილი იყო მ.ლ-ის უფლებამონაცვლის მიმართ ზიანის ანაზღაურების დაკისრება. დელიქტიდან გამომდინარე საფუძვლით სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, სასამართლოს განმარტებით, პირს დაეკისრებოდა ზიანის შემადგენლობის ყველა ელემენტის არსებობისას და თუნდაც ერთ-ერთი მათგანის არარსებობა გამოორიცხავდა ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესაძლებლობას. მოსარჩელე ვალდებული იყო, ზიანის არსებობა და მისი მოცულობა დაემტკიცებინა, ასევე მიზეზობრივი კავშირი ქმედე-

ბასა და დამდგარ შედეგს შორის, შესაბამისად, ზიანის მიმყენებელს უნდა დაემტკიცებინა მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა. განსახილველ შემთხვევაში, მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და ბრალის არარსებობის მტკიცება უხდებოდა უფლებამონაცვლეს (ფ. ა-ს) და არა პირს, ვის მიმართაც გააჩნდა მოსარჩელეს პრეტენზია მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის გამო (მ. ლ-ს). პალატამ მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლიდან გამომდინარე, დაუშვებელია, ამგვარი ვალდებულების მემკვიდრეობით გადასვლა. მტკიცების კანონიერ და ლოგიკურ სტანდარტს სცილდებოდა მემკვიდრისათვის იმგვარი მტკიცების დავალდებულება, რომ მამკვიდრებლის ქმედებას არ გააჩნდა მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და რომ იგი არ იყო ბრალეული პირი. სასამართლოს მტკიცებით, აღნიშნული დასკვნა ემყარება იმ მოსაზრებას, რომ ზოგიერთ სამოქალაქო ობიექტის ბრუნვა, მაგალითად, პირადი უფლების, არამატერიალური სიკეთის, მართლსაწინააღმდეგო ქმედების, გამორიცხულია ამ ობიექტის ბუნების გამო, რადგან უფლებამონაცვლეობა დასაშვებია იმგვარი სამოქალაქო ბრუნვის ობიექტისა, რისი გასხვისებაც გარიგების ან კანონის მეშვეობით არის დასაშვები, რაც იწვევს ამ ობიექტის სხვა პირთა საკუთრებაში გადასვლას. ზიანის მიმყენებელი ქმედების გამო პასუხისმგებლობა ეკუთვნის მხოლოდ ამგვარი ქმედების განმახორციელებელ პირს. მისი გარიგებით გადასვლა დაუშვებელია, ხოლო კანონი ამგვარი პასუხისმგებლობის გადაცემას არ ითვალისწინებს. სამოქალაქო სამართალში, დელიქტიდან გამომდინარე, დასაშვებია პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით პირდაპირ განსაზღვრულ შეთხვევებში, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლიდან გამომდინარე კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიყენებულ ზიანს, კანონმდებელი პასუხისმგებლობას სხვა პირისათვის არ ითვალისწინებს. აღნიშნულით პალატამ დაასკვნა, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მემკვიდრისათვის დაკისრება დაუშვებელი იყო.

სასამართლომ მოსარჩელის მოთხოვნის დასაბუთებისათვის სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის გამოყენება ასევე დაუსაბუთებლად მიიჩნია, იმ საფუძვლით, რომ დელიქტური რესტიტუციის წინაპირობებისგან განსხვავებით, მოცემული ნორმით ქონებრივი წონასწორობის აღდგენისათვის საკმარისი მხოლოდ სხვისი ქონების შეძენის, „მოხვეჭის“ ფაქტის არსებობა იყო, ხოლო მესაკუთრის ქონების ბრალეულად დაუფლებისას

ზემოაღნიშნული ნორმით სამართალურთიერთობის რეგულირება არასწორად იქნა მიჩნეული. პალატის განმარტებით, ამ მსჯელობას განაპირობებდა დელიქტური ვალდებულებისა და უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს შორის არსებული ის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი, რომ დელიქტური რესტიტუციით საკითხის კვალიფიკაციისათვის აუცილებელი იყო ქონების მიმღების ბრალეული მოქმედება, რასაც შედეგად მოსდევდა ზიანის ანაზღაურების მოვალეობა, ხოლო არაბრალეული მოქმედებით ქონების მიმოქცევა ინვევდა არა ზიანის ანაზღაურებას, არამედ ქონების უკან დაბრუნების ვალდებულებას. სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი გულისხმობდა იმ შემთხვევებს, როდესაც ქონების გამრავლება მიმღების მხარეს არა გამიზნულად, არამედ სხვა გზით ხდება.

სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასების გზით, პალატამ მოცემული დავა დელიქტურ ვალდებულებად შეაფასა, ამასთან, განმარტა, რომ სამართლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე, მოცემული ფაქტების უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივ კონტექსტში განხილვის შემთხვევაშიც კი, ნ. ა-ის ჩარევის შედეგად ამ უკანასკნელის სასარგებლოდ ქონების მიმოქცევის ფაქტი დაუსაბუთებლად იქნა მიჩნეული, რადგანაც, თუკი მოსარჩელეს პრეტენზია გააჩნდა სამართლებრივი წონასწორობის აღდგენაზე, სხვის მიერ მიღებული უპირატესობის უკან დაბრუნებაზე, მასვე უნდა დაედასტურებინა ის გარემოება, თუ რაში მდგომარეობდა ეს უპირატესობა და რა ფაქტით დაირღვა ეს სამართლებრივი წონასწორობა.

სააპელაციო პალატის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ. ც. ს. რ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი დასაბუთებით:

გასაჩივრებული განჩინება გამოტანილია მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით, რასაც შესაძლოა ემოქმედა საქმის განხილვის შედეგზე, კერძოდ, სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი, 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 412-ე მუხლის მე-2 ნაწილი და არ გაითვალისწინა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მითითებანი, სასამართლომ უგულვებელყო „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ნორმები. სააპელაციო პალატამ, ნაცვლად მოპასუხედ მითითებული პირისა, თავად მიუთითა სარჩელის სანინააღმდეგო ფაქტობრივ გარემოებებზე და გასაჩივრებული განჩინებით

იდენტურად მიუთითა ფაქტობრივ გარემოებებზე, რაც მითითებული ჰქონდა უზენაესი სასამართლოს მიერ გაუქმებულ განჩინებაში. სასამართლომ მხარისა და უზენაესი სასამართლოს მითითების საწინააღმდეგოდ კვლავ დელიქტურ ვალდებულებაზე იმსჯელა და არასწორად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით შეაფასა პროკურატურის დადგენილება, ასევე არასწორად განმარტა ამავე კოდექსის 106-ე მუხლი. ზემოაღნიშნული საპროცესო ნორმების დარღვევით სასამართლომ პროკურატურის დადგენილების შინაარსობრივი ანალიზითა და საქმეში წარმოდგენილი ხელშეკრულებების არასწორი შეფასებით არასწორად დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს შესაგებლით სადავოდ არ გაუხდია ზემოაღნიშნული გარემოებები, არამედ საქმის წარმოების შეწყვეტასა და სამეთავალმყოფო საბჭოს პასიურ როლზე მითითებით შემოიფარგლა. აღნიშნულით სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 248-ე მუხლისა და 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნები, ხოლო მტკიცების ტვირთის განაწილებისას, სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013 წლის 29 იანვრის განჩინების მითითებებზე.

გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებისას, სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლისა და „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.7 და 56.4 მუხლებზე მითითებით გაიმეორა ზემდგომი სასამართლოს მიერ უკვე გაუქმებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, რაც არ შეესაბამება ზემდგომი სასამართლოს მიერ განჩინებაში მითითებულ საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან პრაქტიკას.

სააპელაციო პალატამ საკუთარი ინიციატივით იმსჯელა და შეფასება მისცა უფლებამონაცვლეობის საკითხს, მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილია ამ საკითხზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებები, გარდა იმისა, რომ სადავო გარემოების თაობაზე მიღებულია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, უფლებამონაცვლეობის საკითხი სადავოდ არ გაუხდია თავად მოპასუხესაც, ამასთან, ფ.ა-ის მ.ლ-ის უფლებამონაცვლედ ჩაბმა განპირობებული იყო საჯარო რეესტრში ქონების გადაფორმებით, სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის დისპოზიციით. ზემოაღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები დართულია წინამდებარე საქმეში წარ-

მოდგენილ სასარჩელო განცხადებაზეც. გარდა ზემოაღნიშნულისა, სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის მოთხოვნები და არასწორად არ გამოიკვლია ფაქტობრივი გარემოება, ჰქონდა თუ არა ადგილი მოსარჩელის ხარჯზე მოპასუხის გამდიდრებას.

ზემოაღნიშნული საფუძვლებით კასატორი არ დაეთანხმა სასამართლოს მსჯელობას მტკიცებულებათა შეფასების ნაწილში, კერძოდ, არასწორად იქნა დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ პროკურატურის დადგენილებით ზიანის მიყენების ფაქტი არ დასტურდებოდა, ასევე არასწორად შეფასდა საქმეში წარმოდგენილი საიჯარო ხელშეკრულებები.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 ივლისის განჩინებით შპს „ბ. ც. ს. რის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შპს „ბ.ც. ს. რის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“<sup>1</sup> ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების უპირობოდ გაუქმება, თუ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება საქმის ზემდგომი წესით განხილვისას შეუძლებელია, თავის მხრივ, ასეთ ვითარებაში, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი, გადაწყვიტოს დავა, რის გამოც საქმე განსახილველად დაუბრუნდება სააპელაციო სასამართლოს (სსსკ 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი).

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით არასწორად დაადგინა სადავო გარემოებები, რომელთა თაობაზეც კასატორმა დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარადგინა. ამ თვალსაზრისით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 29 იანვრის განჩინებით ნაწილობრივ

დაკმაყოფილდა რა შპს „ბ.ც. ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი, სააპელაციო პალატას წინამდებარე საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა რათა მას გამოეკვლია იჯარის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ 2007 წლის 1 მაისის შეთანხმება; ასევე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილება, როგორც მტკიცებულება. ამასთანავე, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ დავაზე არასწორად იყო განაწილებული მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და როგორც მატერიალური კანონმდებლობის („მენამეთა შესახებ“), ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ამ კანონმდებლობის საფუძველზე დადგენილი ერთგვაროვანი პრაქტიკის (სუსგ №ას-764-715-2010, 18 აპრილი, 2011 წელი) გათვალისწინებით, საქმის ხელახლა განმხილველ სასამართლოს განემარტა შემდეგი: საწარმოს მოგების ხარჯვის კანონიერების მტკიცების ტვირთი ეკისრება საზოგადოების დირექტორს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში სადავო საკითხი ეხება საზოგადოების წინაშე ყოფილი დირექტორის პასუხისმგებლობას, კერძოდ, ამ უკანასკნელის მიერ საწარმოს მოგების დაუსაბუთებელ ხარჯვას და ამით საზოგადოებისათვის ზიანის მიყენებას. სამწინარემო გადაწყვეტილებათა მიღებისას საზოგადოების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობის საკითხებს აწესრიგებს „მწინარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების საქმეების გაძღოლისას შპს-ს დირექტორთა გულმოდგინე ხელმძღვანელობისა და ერთგულების მოვალეობას, ასევე ამ მოვალეობათა დარღვევის შემთხვევაში საზოგადოების წინაშე მათ პასუხისმგებლობას (მე-9 მუხლი). კორპორაციის დირექტორებს სამართავად გადაცემული აქვთ რა სხვისი (საზოგადოების) ქონება, მათი უპირველესი ვალდებულება სწორედ ამ ქონების დაცვა და ზიანის თავიდან აცილებაა. ამ ვალდებულების დარღვევა დირექტორებისათვის წარმოშობს შიდაკორპორაციულ პასუხისმგებლობას ანუ საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობას. საზოგადოების წინაშე დირექტორების პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას საზოგადოების მიერ სარჩელის საფუძვლიანობის დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებების გაქარწყლების ვალდებულება ეკისრება დირექტორს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ მას არ მიუძღვის ბრალი იმ ზიანის წარმოშობაში, რომელიც

მიადგა საზოგადოებას და, რომ ის მოქმედებდა გულმოდგინე ხელმძღვანელის კეთილსინდისიერებით.

სააპელაციო პალატამ საქმის განხილვისას არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს მითითებანი და 2013 წლის 7 მარტის განჩინება დაამყარა იმავე მოტივებს, რაც საკასაციო პალატამ ზემოაღნიშნული მსჯელობისას უსაფუძვლოდ ჩათვალა, კერძოდ, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი იჯარის ხელშეკრულებებითა და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის №92061383 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით არ დასტურდებოდა მ. ლ-ის მიერ საზოგადოების გვერდის ავლით იჯარის რეალური თანხების მიღებისა და აღნიშნულის გამო საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. პალატამ მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დოკუმენტით მ.ლ-ი საქმეზე ეჭვმიტანილად ან/და ბრალდებულად არ ყოფილა ცნობილი და აღნიშნა, რომ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებაზე უარის თქმისა და სისხლის სამართლის №92061383 საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის თაობაზე ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურის 2008 წლის 26 მარტის დადგენილებით და მასში აღწერილი ფაქტებით, არ შეიძლებოდა დადასტურებულიყო მ. ლ-ის მიერ ინდ.მენარმე ე. გ-ან 27 000 ლარის უკანონოდ მიღების ფაქტი. პალატის ეს დასკვნა ემყარება საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლით აღიარებულ უდანაშაულობის პრეზუმფციას. გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მიუთითა წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დადგენილების შინაარსზე და მ.ლ-ის მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ნაწილში ჩათვალა, რომ პროკურორის მსჯელობა არ ემყარებოდა კონკრეტულ ფაქტებსა და მტკიცებულებებს.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს ამ მსჯელობას და თვლის, რომ სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და თვლის, რომ სააპელაციო პალატამ მართლაც მცდარი შეფასება მისცა ზემოაღნიშნულ დოკუმენტს. დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მოცემულ შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით წარდგენილი მტკიცებუ-



ლებათ, რომელიც ადასტურებს ან უარყოფს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარკვეულ ფაქტებს. უდავოა, რომ მას სამოქალაქო საქმესთან მიმართებაში სავალდებულო ძალა არ გააჩნია, თუმცა მოცემული ვითარებიდან გამომდინარე (დირექტორის მიერ საზოგადოების საქმიანობის კეთილსინდისიერად გაძღოლის შესახებ სარჩელის განხილვისას, როდესაც მტკიცების ტვირთი დირექტორის მხარეზეა), სასამართლოს იმგვარი კრიტიკა, რაც მოპასუხეს შესაგებელში არ მიუთითებია, მტკიცებულების გამოკვლევისათვის დადგენილ წესს ეწინააღმდეგება, ამასთანავე, საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ დადგენილება წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე მიღებულ დოკუმენტს, რომელსაც გარკვეული სამართლებრივი შედეგები მოჰყვება, მასში მითითებული ფაქტები გარკვეულ, წინასწარი გამოძიების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებს ემყარება, ამასთანავე, მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ამ დადგენილებაში მითითებული გარემოებების უმართებულობის შემთხვევაში, სასამართლო წესით მისი გასაჩივრების შესაძლებლობას. საყურადღებოა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა დადგენილებაში ასახული ფაქტების კანონშესაბამობას. თავად ამ დოკუმენტით კი დადგენილია შემდეგი: „მ. ლ-მა 2005 წლის 1 იანვარს, ინდ.მენარმე ე. გ-ს, სააქციო საზოგადოების ინტერესის სანინაალმდეგოდ, თავისთვის გამორჩენის მიღების მიზნით, გააფორმა ხელშეკრულება, თვეში, ვითომდა, 200 ლარად სასტუმროს პირველ სართულზე არსებული საუნის იჯარით გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულება დაამოწმა პირადი ხელმოწერით და საზოგადოების ბეჭდით, სიტყვიერად კი ინდ.მენარმეს მოსთხოვა და აიძულა თვეში მისთვის 2000 ლარის გადახდა, საიდანაც დაიფარებოდა ხელშეკრულებაში მითითებული 200 ლარი. 2005 წლის 1 იანვრიდან 2006 წლის აპრილის თვის ჩათვლით მ.ლ-ის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გამოყენებით, სააქციო საზოგადოების ინტერესის სანინაალმდეგოდ, ინდ.მენარმე ე. გ-ს უკანონოდ მიიღო 27000 ლარი, რაც არ შეიტანა სააქციო საზოგადოების ბუღალტერიაში“. დოკუმენტში მითითებული ფაქტებისა და წინამდებარე დავაში მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მტკიცებულების სწორი სამართლებრივი ანალიზი საქმის გადაწყვეტისათვის ერთ-ერთი სავალდებულო წი-



ნაპირობაა.

ანალოგიური შეიძლება ითქვას სასამართლოს მსჯელობაზე, რომელიც შეეხება საქმეში წარმოდგენილ 2005-2006 წლისა და 2007 წლის 1 მაისის იჯარის ხელშეკრულებების შეფასებას და მტკიცებულებების უარყოფას „გონივრული ვარაუდის დაშვების“ პრინციპით, ამდენად, სადავო გარემოებებთან მიმართებით სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად 2013 წლის 29 იანვრის განჩინებაში ასახული ამომწურავი განმარტებისა, სააპელაციო სასამართლომ კვლავ ვერ უზრუნველყო მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად განაწილება, რადგანაც ჩათვალა, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მ.ლ-ის მიერ საზოგადოებისათვის ზიანის მიყენების ფაქტი. სასამართლომ საკითხის კვლევისას არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის ნორმებით და არასწორადვე განმარტა „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ის ნორმები, რომლებიც დირექტორის პასუხისმგებლობას არეგულირებენ. ასევე ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული გასაჩივრებული განჩინების მსჯელობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილზე.

საზოგადოების ყოფილი დირექტორის უფლებამონაცვლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველად სააპელაციო პალატამ მიიჩნია ის გარემოებაც, რომ სადავო სამართალურთიერთობის გათვალისწინებით, დაუშვებელი იყო უფლებამონაცვლისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1328-ე მუხლისა. სასამართლო თავადვე უთითებს, რომ უფლებამონაცვლეობის საკითხი მოპასუხემ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე გახადა სადავოდ.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო პალატის ამ მსჯელობას და თვლის, რომ არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა.

კასატორის ამ პრეტენზიის მართებულობის შემოწმების მიზნით პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ფ.ა-ის შესაგებელზე, რომელიც ძირითადად შემოიფარგლება მხოლოდ სარჩელში მითითებული ფაქტების უარყოფითა და საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველებზე მითითებით, უდავოა, რომ მო-

პასუხეს მისი, როგორც უფლებამონაცვლის სათანადოობა სადავოდ არ გაუხდია, ამდენად, სააპელაციო პალატის ზემოაღნიშნული მსჯელობა არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 201-ე მუხლის მოთხოვნას, ამასთანავე, საყურადღებოა, რომ წინამდებარე საქმეზე დართული კანონიერ ძალაში შესული რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით მ. ლ-ის უფლებამონაცვლედ მიჩნეულია ფ. ა-ი და ამ საქმეზე მოსარჩელე მხარეს სწორედ „ბ.ც. ს. რ-ი“ წარმოადგენდა. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, უფლებამონაცვლეობის ფაქტი წინამდებარე დავაზე პრეიუდიციულადაა დადგენილი და ამ ეტაპზე მისი სადავოდ მიჩნევის შესაძლებლობას მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატისათვის საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო წესით საქმის განმხილველმა სასამართლო შემადგენლობამ საკასაციო პალატის მითითებების შესაბამისად, თავი ვერ გაართვა საქმის სწორად გადაწყვეტას, რის გამოც საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს სააპელაციო პალატის სხვა შემადგენლობას, რომელმაც, პირველ ყოვლისა: ა) სწორად უნდა გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცებების ტვირთი, კერძოდ, მოპასუხემ უნდა გააქარწყლოს დირექტორის მიერ ვალდებულების კანონშეუსაბამოდ შესრულება, თუმცა ეს არ გამორიცხავს მოსარჩელის ვალდებულებას, ადასტუროს მოთხოვნის მართებულობა, ამასთანავე, ბ) სასამართლომ მტკიცებულებათა სწორი შეფასების გზით უნდა დაადგინოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები სარჩელისა და შესაგებლის ფარგლების გათვალისწინებით. სწორედ ამ გარემოებათა დადგენის შემდეგ იქნება შესაძლებელი დავის სამართლებრივად სწორად შე-

ფასება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „ბ. ც. ს. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მარტის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება  
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები**

**ბანჩინება**

№ას-717-672-2010

21 სექტემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე**

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა შპს „ბ. ს. ნ-მა“ მოპასუხეების: შპს „გ.+“-ისა და შპს „ს-ოს“ მიმართ და მოითხოვა:

1. მოსარჩელის მფლობელობაში არსებული №10 ნავმისადგომის 200 კვ.მ ფართით სარგებლობისათვის მოპასუხეებს სოლიდარულად დაეკისროთ ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა 2006 წლის 1 მაისიდან სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე;

2. სამომავლოდ, იგივე ფართით სარგებლობის შემთხვევაში, მოპასუხეებს წინასწარ, კალენდარული წლის დადგომამდე სოლიდარულად დაეკისროთ ყოველწლიური კომპენსაციის – 12000 ლარის გადახდა.

სარჩელის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის 2006 წლის 11 აპრილს დადებული უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელე ფლობს რამდენიმე ნავმისადგომს, მათ შორის, სადავო №10 ნავმისადგომს, მისი არსებობის ვადით. მოსარჩელეს, როგორც უზუფრუქტუარს, გააჩნია კანონიერი უფლება ისარგებლოს სადავო ნავმისადგომით, მაგრამ ამას ვერ ახერხებს ნავმისადგომის გაგრძელებაზე არსებული მოპასუხის კუთვნილი შენობა-ნაგებობების გამო, კერძოდ, მოპასუხე შპს „გ.+“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს სადავო ნავმისადგომის მეზობლად მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთს. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია რესტო-

რანი „ს-ო“, რომელიც მოპასუხე შპს „გ.+“-ის საკუთრებას წარმოადგენს. ხსენებულ რესტორანს მოპასუხემ გაუყეთა რეკონსტრუქცია, რა დროსაც იგი გასცდა მეზობელი მიწის ნაკვეთის საზღვრებს და ამ რესტორნის შენობის ნაწილი აღმოჩნდა სადავო ნავმისადგომის ტერიტორიაზე. №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე განთავსებულია ასევე მოპასუხის რესტორნის კუთვნილი მოძრავი ნივთები (მაგიდები და სკამები). მოსარჩელის მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის შესაბამისად, მოპასუხემ მას უნდა გადაუხადოს ფულადი კომპენსაცია საზღვრის დარღვევის გამო, რაც ყოველწლიურად წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი. ფულადი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მოპასუხის მიერ დაკავებულია სადავო ნავსადგურის მთელი ტერიტორია, რაც შეადგენს 200 კვ.მ-ს. შპს „კ. და ა-ის“ საექსპერტო დასკვნის მიხედვით, სადავო ნავმისადგომის თვიური საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს ერთ კვ.მ-ზე, შესაბამისად, მთლიანი დაკავებული ფართისათვის კომპენსაცია იქნება თვეში 1000 ლარი. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული თანხა მოპასუხემ მას უნდა გადაუხადოს ყოველთვიურად 2006 წლის 1 მაისიდან (იმ მომენტიდან, როდესაც მოხდა უზუფრუქტის რეგისტრაცია კანონის შესაბამისად) სასამართლოს განწყვეტილების მიღებამდე. მოსარჩელე მიიჩნევს ასევე, რომ იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ყოველწლიური კომპენსაცია 12000 ლარის ოდენობით, რომელიც მოპასუხის მიერ წინასწარ უნდა იქნეს გადახდილი კალენდარული წლის დადგომამდე.

მოპასუხე შპს „გ.+“-მა სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დადასტურებდა მოსარჩელის მიერ მითითებულ გარემოებას სამეზობლო საზღვრის დარღვევის თაობაზე. უფრო მეტიც, 2006 წლის 30 ნოემბრის აზომვითი ნახაზით და საკადასტრო რუკით დასტურდება, რომ ე.წ. სადავო ნავმისადგომი მოქცეულია შპს „გ.+“-ისათვის იჯარით გადაცემულ 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის წითელ ხაზებში და შესაბამისად, მოპასუხე ამ ფართის მართლობიერი მფლობელია.

ბათუმის საქალაქო სასამართლო 2009 წლის 29 მაისის განწყვეტილებით:

1. შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;
2. შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური ფულადი კომპენსაცია 1000 ლარის ოდენობით, 2006 წლის 1 მაისიდან სასამართლო განწყვეტილების გამო-

ტანამდე ანუ 2009 წლის 29 მაისამდე პერიოდისათვის, რაც შეადგენს 37000 ლარს;

3. შპს „გ.+“-ს დაეკისრა ვალდებულება, რომ სამომავლოდ შპს „ბ. ს. ნ-ს“ გადაუხადოს წლიური კომპენსაცია 12000 ლარის ოდენობით წინასწარ, ყოველი წლის დასაწყისში;

4. შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარჩელი შპს „ს-ს“ მიმართ ფულადი კომპენსაციის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა;

5. შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1080 ლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლომ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ბ. ს. ნ-ი“ ეწევა სანავსადგურო საქმიანობას, კერძოდ, ახორციელებს საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლებში შემოსული გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას, მომსახურებას, ტვირთის სატრანსპორტო-საექსპედიტორო, საწყობში მოთავსების ოპერაციებს, ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორე სახეობის ტრანსპორტზე ტვირთის გადაცლას, აგრეთვე მგზავრთა მომსახურების, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადატანის ოპერაციებს;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის 2006 წლის 11 აპრილს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ნავსადგური მისი არსებობის ვადით ფლობს №1, №2, №3, №6, №7, №8, №9, №10 და №11 ნავმისადგომებს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით;

№10 ნავმისადგომის მეზობლად მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის 2004 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენს შპს „გ.+“. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია რესტორანი „ს-ო“ საერთო ფართობით 1585.6 კვ.მ, რომელიც ასევე შპს „გ.+“-ის საკუთრებას წარმოადგენს;

რესტორნის ნაწილი, ასევე ამ რესტორნის კუთვნილი მოძრავი ქონება (მაგიდა, სკამები) განთავსებული იყო ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილზე, 200 კვ.მ ფართზე, რის თაობაზეც მოპასუხეს შპს „ბ. ს. ნ-ისაგან“ თანხმობა არ მიუღია. საქალაქო სასამართლომ მიუთითა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2008 წლის 21 აპრილის ექსპერტის დასკვნაზე, რომლის თანახმად, შპს „ბ. ს. ნ-ის“ №10 ნავმისად-

გომის ტერიტორიის ნაწილი, 200 კვ.მ ფართი, სხვადასხვა ფორმით დაკავებული და გამოყენებული აქვს შპს „გ.+“-ის კუთვნილ რესტორან „ს-ს“. დასკვნით ასევე დადგენილია, რომ რესტორან „ს-ს“ შენობაზე განხორციელებული რეკონსტრუქციის დროს ნაგებობის ზღვის ფასადის კოლონებიდან სამი კოლონა და შესასვლელი კიბის ნაწილი შეჭრილია №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე, ხოლო რესტორნის მოძრავი ინვენტარი – მაგიდები, სკამები და საჩრდილო ქოლგები განლაგებულია №10 ნავმისადგომის საექსპლუატაციო ფართზე 4X50 მეტრიან ზონაში. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს ზემოთ დასახელებული გარემოების უარყოფელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია. ამასთან, მოპასუხის მიერ მითითებულ საკადასტრო რუკას არ გააჩნდა მეზობელ ნაკვეთებს შორის მიჯნის დადგენის დანიშნულება, რამდენადაც რუკა არ იყო მოქცეული კოორდინატთა სისტემაში, იგი არ წარმოადგენდა საკადასტრო მონაცემებს;

შპს „ბ. ს. ნ-მა“ მოპასუხეების მხრიდან სასაზღვრო მიჯნის დარღვევის გამო 2007 წლის 15 ივნისის №0579-08/23 და 2007 წლის 25 ივნისის №0632-08/35 წერილებით მიმართა შპს „ს-ს“, რომელიც ახორციელებდა რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს და შესთავაზა ნავსადგურთან ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის განხილვა სათანადო საბაზრო ანაზღაურების გათვალისწინებით; 2007 წლის 22 აგვისტოს შპს „ბ. ს. ნ-მა“ №0897-08/23 წერილით მიმართა შპს „გ.+“-ს და მოითხოვა 2006 წლის 1 მაისიდან 2007 წლის 1 აგვისტომდე პერიოდისათვის ნავსადგურის მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ფართით სარგებლობისათვის მოპასუხის მიერ კომპენსაციის სახით 15 000 ლარის გადახდა, თუმცა ამაზე პასუხი არ მიუღია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „ბ. ს. ნ-ს“, როგორც უზუფრუქტუარს, გააჩნდა კანონიერი უფლება ესარგებლა №10 ნავმისადგომის მთლიანი ტერიტორიით და ამ სარგებლობიდან გამომდინარე მიეღო შემოსავალი. ამასთან, შპს „გ.+“-ს, როგორც საზღვრის დამრღვევ მეზობელი მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, ნავსადგურისათვის, როგორც მართლზომიერი უზუფრუქტუარისათვის, უნდა გადაეხადა შესაბამისი ფულადი კომპენსაცია. მითითებული დასკვნის გამოტანისას საქალაქო სასამართლომ მხედველობაში მიიღო სამოქალაქო კოდექსის 242-ე, 179-ე მუხლების დანაწესი.

საქალაქო სასამართლომ ფულადი კომპენსაციის ოდენობის

განსაზღვრისას გაიზიარა მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი ექსპერტის – შპს „კ. და ა-ის“ 2007 წლის 16 აგვისტოს №02/06-69 საექსპერტო დასკვნით დადგენილი ქირის გამოთვლის წესი. ამ დასკვნის მიხედვით, ბათუმში მოქმედი საბაზრო ფასებისა და სეზონურობის გათვალისწინებით სრულიად შესაძლებელია შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარგებლობაში არსებული №10 ნავმისადგომის 1 კვ.მ ფართის თვიური საიჯარო ქირა განისაზღვროს აღნიშნული ფართით სარგებლობისათვის საბაზრო ფასის შესაბამისად 5 ლარის ოდენობით. შესაბამისად, მთლიანი დაკავებული ფართისათვის ამ ანგარიშით ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1000 ლარს, რამდენადაც მოპასუხის მიერ დაკავებული იყო ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის მთლიანი გაგრძელება 200 კვ.მ ფართით.

საქალაქო სასამართლომ საფუძვლიანად მიიჩნია მოსარჩელის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ შპს „ბ. ს. ნ-ი“ უფლებამოსილი იყო მიედო ანაზღაურება უზუფრუქტის უფლების კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრაციის პერიოდიდან, ანუ 2006 წლის 1 მაისიდან სასამართლოს მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების გამოტანამდე. ამასთან, მოსარჩელე ასევე უფლებამოსილი იყო სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლით დადგენილი წესის საფუძველზე მოეთხოვა მოპასუხე შპს „გ.+“-გან მომავალი პერიოდის ყოველწლიური კომპენსაციის, 12 000 ლარის გადახდა წინასწარ, კალენდარული წლის დადგომამდე.

საქალაქო სასამართლომ მეორე მოპასუხის (შპს „ს-ს“) მიმართ სარჩელის დაუკმაყოფილებლობა იმით დაასაბუთა, რომ მოცემულ შემთხვევაში კომპენსაციის გადახდის ვალდებულება შპს „ბ. ს. ნ-ის“ მიმართ წარმოიშვა კანონის საფუძველზე და იგი ეკისრებოდა მხოლოდ საზღვრის დამრღვევი მეზობელი ნაკვეთის მესაკუთრეს (შპს „გ.+“-ს) და იგი არ ვრცელდებოდა მესამე პირებზე. სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 464-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ შპს „ს-ო“, რომელიც ახორციელებდა მოპასუხის კუთვნილი რესტორნის მენეჯმენტს, შპს „ბ. ს. ნ-ის“ მიმართ შპს „გ.+“-თან ერთად სოლიდარულ მოპასუხეს არ წარმოადგენდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „გ.+“-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილებით:



1. შპს „გ.+“-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

2. გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 29 მაისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

4. შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 29000 ლარის ანაზღაურება გასული პერიოდისათვის, კერძოდ, 2006 წლის 28 დეკემბრიდან 2009 წლის 29 მაისამდე პერიოდისათვის;

5. 2009 წლის 29 მაისიდან შემდგომი პერიოდისათვის, №10 ნავმისადგომის ფართით სარგებლობის შემთხვევაში, შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ბ. ს. ნ-ი“ ეწევა სანავსადგურო საქმიანობას, კერძოდ, ახორციელებს საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლებში შემოსული გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას, მომსახურებას, ტვირთის სატრანსპორტო-საექსპედიტორო, საწყობში მოთავსების ოპერაციებს, ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორე სახეობის ტრანსპორტზე ტვირთის გადაცლას, აგრეთვე მგზავრთა მომსახურების, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადატანის ოპერაციებს;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის 2006 წლის 11 აპრილს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ნავსადგური მისი არსებობის ვადით ფლობს №1, №2, №3, №6, №7, №8, №9, №10 და №11 ნავმისადგომებს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით;

№10 ნავმისადგომის მეზობლად მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის 2004 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენს შპს „გ.+“. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული რესტორანი „ს-ო“, საერთო ფართით 1585.6 კვ.მ, შპს „გ.+“-ის საკუთრებას წარმოადგენს. რესტორანი ექსპლოატაციაში იქნა მიღებული 2006 წლის 28 დეკემბერს;

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2008 წლის 21 აპრილის ექსპერტის დასკვნით, შპს „ბ. ს. ნ-ის“ №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილი, 200 კვ.მ ფართი, სხვადასხვა ფორმით დაკა-

ვებულის და გამოყენებული აქვს შპს „გ.+“-ის კუთვნილ რესტორან „ს-ს“. ამავე დასკვნის მიხედვით, რესტორან „ს-ს“ შენობაზე განხორციელებული რეკონსტრუქციის დროს ნაგებობის ზღვის ფასადის კოლონებიდან სამი კოლონა და შესასვლელი კიბის ნაწილი შეჭრილია №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე, ხოლო რესტორნის მოძრავი ინვენტარი – მაგიდები, სკამები და საჩრდილო ქოლგები განლაგებულია №10 ნავმისადგომის საექსპლუატაციო ფართზე 4X50 მეტრიან ზონაში;

№10 ნავმისადგომის 200 კვ.მ ფართით სარგებლობაზე მოპასუხეს შპს „ბ. ს. ნ-ისაგან“ თანხმობა არ მიუღია;

შპს „ბ. ს. ნ-მა“ მოპასუხეების მხრიდან სასაზღვრო მიჯნის დარღვევის გამო 2007 წლის 15 ივნისის №0579-08/23 და 2007 წლის 25 ივნისის №0632-08/35 წერილებით მიმართა შპს „ს-ს“, რომელიც ახორციელებდა რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს და შესთავაზა ნავსადგურთან ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის განხილვა სათანადო საბაზრო ანაზღაურების გათვალისწინებით;

2007 წლის 22 აგვისტოს შპს „ბ. ს. ნ-მა“ №0897-08/23 წერილით მიმართა შპს „გ.+“-ს და მოითხოვა 2006 წლის 1 მაისიდან 2007 წლის 1 აგვისტომდე პერიოდისათვის ნავსადგურის მართლობიერ სარგებლობაში არსებული ფართით სარგებლობისათვის მოპასუხის მიერ კომპენსაციის სახით 15 000 ლარის გადახდა, რაზეც პასუხი არ მიუღია;

დამოუკიდებელი ექსპერტის – შპს „კ. და ა-ის“ 2007 წლის 16 აგვისტოს №02/06-69 საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ქ.ბათუმში მოქმედი საბაზრო ფასებისა და სეზონურობის გათვალისწინებით, შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარგებლობაში არსებული №10 ნავმისადგომის 1 კვ.მ ფართის თვითური საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს, შესაბამისად, მთლიანი დაკავებული ფართისათვის (200 კვ.მ) ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1000 ლარს;

სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქ.ბათუმში, შპს „გ.+“-ის კუთვნილ რესტორან „ს-ს“ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული და გამოყენებული ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ფართი, როგორც მინის ნაკვეთზე მყარად განთავსებული ნაწილებით, ისე სივრცობრივად (კოლონებზე დაშენებული აივანი) შეადგენდა 12.4 კვ.მ-ს. ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის გამოყენება სატვირთო გემების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის შე-

უძღვებელი იყო. აღნიშნული ნავმისადგომის სიგრძის გათვალის-  
წინებით, შესაძლებელი იყო სამგზავრო გემების მიღება სიგ-  
რძით 35 მეტრამდე. რესტორან „ს-ს“ შენობა-ნაგებობის ნაწი-  
ლის ნავსადგურის მიწის ნაკვეთზე გადასვლის არარსებობის  
შემთხვევაში, ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის გა-  
მოყენება სატივროთო გემების დატივრთვა-გადმოტივრთვისათ-  
ვის შეუძლებელი იყო. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდო-  
მაზე დაკითხული ექსპერტის განმარტებით ირკვეოდა, რომ ნავ-  
მისადგომზე გაკეთებული იყო მოაჯირი, რაც ხელს უშლიდა გე-  
მების დადგომას, მგზავრების გადაყვანას. სანაპიროს ტერიტო-  
რიაზე მაგიდების (სკამების) და მოაჯირის არარსებობის შემ-  
თხვევაში, შესაძლებელი იყო გემების დადგომა და მგზავრების  
მიღება.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლზე და გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამარ-  
თლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ, ვინაიდან საქართველოს  
ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან 2006 წლის 11 აპ-  
რილს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მოსარჩელე  
წარმოადგენს უზუფრუქტუარს, მას უფლება აქვს ისარგებლოს  
სადავო ნავმისადგომის მთელი ტერიტორიით და ნებისმიერი პი-  
რი, მათ შორის, მოპასუხეც ვალდებულია ხელი არ შეუშალოს  
მოსარჩელეს ამ უფლების რეალიზაციაში.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა ასევე სამოქალაქო კო-  
დექსის 982.1 და 245.3 მუხლებზე და მართებულად მიიჩნია პირ-  
ველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ  
მოპასუხე შპს „გ.+“-მა, ისარგებლა რა მოსარჩელის მართლზო-  
მიერ მფლობელობაში არსებული ნავმისადგომის 200 კვ.მ ფარ-  
თით, ნავმისადგომის ჩვეულებრივი სამეურნეო გამოყენებისა-  
გან განსხვავებული საქმიანობით მიიღო სარგებელი, რაც მოსარ-  
ჩელისათვის ფულადი კომპენსაციის გადახდის საფუძველია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცე-  
სო კოდექსის 131-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ პირველი ინსტან-  
ციის სასამართლოში მოპასუხის მიერ წარდგენილი ახსნა-გან-  
მარტებით, ასევე სააპელაციო საჩივრით დასტურდებოდა ის  
ფაქტი, რომ შპს „ს-ო“ ახორციელებდა მოპასუხის კუთვნილი  
რესტორნის მენეჯმენტს. აქედან გამომდინარე, პალატამ მი-  
იჩნია, რომ შპს „ს-ო“, როგორც ფაქტობრივი მენეჯმენტის გან-  
მახორციელებელი სუბიექტი, რეალურად წარმოადგენდა შპს  
„გ.+“-ის მხოლოდ დავალების შემსრულებელს. სააპელაციო სა-  
სამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლზე და

მიიჩნია, რომ, ვინაიდან შპს „ს-ო“ წარმოადგენდა შპს „გ.+“-ის დავალების შემსრულებელ პირს, ამიტომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრებოდა სხვისი ქონებით მოსარგებლე შპს „გ.+“-ს და არა მესამე პირს – შპს „ს-ს“, შესაბამისად, სარჩელის მოთხოვნა შპს „გ.+“-თან ერთად, შპს „ს-სათვის“, როგორც სოლიდარული მოპასუხისათვის, თანხის დაკისრების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ შპს „ბ. ს. ნ-ი“ უფლებამოსილი იყო მიეღო ანაზღაურება უზუფრუქტის უფლების რეგისტრაციის პერიოდიდან, კერძოდ, 2006 წლის 1 მაისიდან. პალატამ მიუთითა საჯარო რეესტრის ამონაწერზე, რომლის თანახმად, შპს „გ.+“-ის საკუთრებაში არსებული რესტორანი „ს-ო“ ექსპლოატაციაში მიღებულ იქნა 2006 წლის 28 დეკემბრიდან. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მითითებულ დრომდე ქონებით სარგებლობისათვის თანხის დაკისრება არასწორად ჩათვალა და მიიჩნია, რომ შპს „გ.+“-ს ზიანის ასანაზღაურებლად უნდა დაკისრებოდა 2006 წლის 28 დეკემბრიდან საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოტანამდე, ანუ 2009 წლის 29 მაისამდე პერიოდისათვის ყოველთვიურად 1000 ლარი, რაც მთლიანობაში შეადგენდა 29000 ლარს. გარდა ამისა, სამომავლოდ შპს „გ.+“-ს უნდა დაკისრებოდა 2009 წლის 29 მაისიდან შემდგომი პერიოდისათვის, №10 ნავმისადგომის ფართით სარგებლობის შემთხვევაში, შპს „ბ. ს. ნ-ისათვის“ გადაეხადა ყოველთვიურად 1000 ლარი.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა როგორც შპს „ბ. ს. ნ-მა“, ასევე შპს „გ.+“-მა.

შპს „ბ. ს. ნ-ი“ ითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას, რომლითაც შპს „გ.+“-ს დამატებით დაეკისრება 2006 წლის 1 მაისიდან 2009 წლის 28 დეკემბრამდე პერიოდისათვის 8000 ლარი, ხოლო 2009 წლის 29 მაისიდან შემდგომი პერიოდისათვის ყოველთვიურად 1000 ლარი სამომავლოდ, წლიურად წინასწარ გადახდის პირობით.

კასატორის განმარტებით, როგორც პირველი, ასევე სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას დადგინდა, რომ შპს „გ.+“ სარგებლობდა №10 ნავმისადგომით 2006 წლის მაისის თვეშიც, რა დროსაც ნავმისადგომის ტერიტორია შპს „ბ. ს. ნ-ის“ მფლობელობაში იმყოფებოდა. მიუხედავად ამი-

სა, სააპელაციო სასამართლომ შპს „გ.+“-ს ზიანის თანხა დააკისრა არა იმ დროიდან, საიდანაც იგი ფაქტობრივად სარგებლობდა №10 ნავმისადგომით, არამედ იმ პერიოდიდან, როდესაც შპს „გ.+“-ის საკუთრებაში არსებული რესტორანი ექსპლოატაციაში შევიდა, კერძოდ, 2006 წლის 28 დეკემბრიდან. კასატორის მოსაზრებით, საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არასწორია. კასატორი ყურადღებას მიაქცევს ასევე შემდეგ გარემოებაზე: სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვისას (რაც მოიცავდა 2009 წლის 29 მაისიდან 2010 წლის 20 აპრილამდე პერიოდს) დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა შპს „გ.+“-ის მიერ №10 ნავმისადგომის ფართით სარგებლობას. მიუხედავად ამისა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი შეიცავს შემდეგ მითითებას: 2009 წლის 29 მაისიდან შემდგომი პერიოდისათვის №10 ნავმისადგომის ფართით სარგებლობის შემთხვევაში, შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ყოველთვიურად 1000 ლარის გადახდა. კასატორის მოსაზრებით, არსებულ ვითარებაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა ჩამოყალიბებულიყო იმგვარად, რომ შპს „გ.+“-ს შპს „ბ. ს. ნ-ის“ სასარგებლოდ ასევე უნდა დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება 2006 წლის 01 მაისიდან სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებამდე (2010 წლის 20 აპრილი) დროის მონაკვეთში.

შპს „გ.+“-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნაა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივრის მიხედვით, სასამართლომ არასწორად გამოიყენა სკ-ის 981.1 მუხლი, რადგან სადაო 200 კვ.მ ფართი (ნავმისადგომის ტერიტორია) მოპასუხეს გადაცემული ჰქონდა 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ანუ იმ დრომდე (2006 წლის 1 მაისი), სანამ იგივე ფართი მოსარჩელეს უზუფრუქტით გადაეცემოდა. იჯარის ხელშეკრულება დღესაც ძალაშია და შესაბამისად, მოპასუხე არის სადავო ფართის მართლზომიერი მფლობელი და მას არ შეიძლება რაიმე პასუხისმგებლობა დაეკისროს ამ ფართის ფლობის გამო მოსარჩელის წინაშე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სსკ-ის 380-ე მუხლი. კასატორი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებაზე, რომ საქმეზე მოსარჩელის მიერ წარდგენილია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დასტურდება ის, რომ შპს „გ.+“ მართლზომიერად

ფლობდა 2500კვ.მ მიწის ნაკვეთს. ხელშეკრულების 3.2 პუნქტში აღნიშნულია იჯარით გადაცემული მიწის ნაკვეთის მდებარეობა, ხოლო ზომები და საზღვრები ასახულია ხელშეკრულებაზე თანდართულ გეგმაში. შპს „გ.+“-მა სასამართლოს წარუდგინა საკადასტრო გეგმა იმის დასადასტურებლად, რომ შპს „გ.+“-ის მფლობელობაში არსებული 2500კვ.მ ფართი მოიცავდა №10 ნავ-მისადგომის 200კვ.მ ფართს. საკასაციო საჩივრის თანახმად, საქმეზე წარდგენილია შპს „გ.+“-ისა და შპს „ბ. ს. ნ-ის“ ამონაწერები საჯარო რეესტრიდან, რომელთა შეფასების შედეგად დგინდება, რომ შპს „ბ. ს. ნ-ის“ უზუფრუქტის უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ იქნა 2007 წლის 22 სექტემბერს, ხოლო შპს „გ.+“-ის ამონაწერი გაცემულია 2007 წლის 05 ოქტომბერს. მათ შესაბამისად, შპს „გ.+“ შპს „ბ. ს. ნ-ის“ უზუფრუქტის უფლების რეგისტრაციის შემდგომაც არის 2500კვ.მ ფართის მოსარგებლე 95 წლიანი იჯარის უფლებით და დღემდე ყოველწლიურად იხდის იჯარის გადასახადს.

კასატორის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ ვითარებაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნდა იმის გარკვევას, თუ რამდენად მოიცავდა შპს „გ.+“-ის მფლობელობაში არსებული 2500კვ.მ ფართი სადავო ფართს, ხდებოდა თუ არა მოსარჩელის, როგორც უზუფრუქტუარის უფლების დარღვევა შპს „გ.+“-ის უძრავი და შპს „ს-ს“ მოძრავი ნივთებით. ამ და კიდევ რამდენიმე სხვა არსებითი საკითხის გადასაწყვეტად დანიშნულ ექსპერტიზის დასკვნაში ექსპერტმა განმარტა, რომ 2500კვ.მ ფართი მოიცავდა სადავო 200კვ.მ ფართს. იგივე განმარტება გააკეთა ექსპერტმა სასამართლო სხდომაზეც. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ ეს ფაქტი მხედველობაში არ მიიღო, ვინაიდან იგი ახალ ფაქტად მიიჩნია. კასატორის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია, თუ რატომ ჩათვალა სააპელაციო სასამართლომ ახალ ფაქტად და გარემოებად ის, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში თავად მოსარჩელის მიერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულებად და რაზეც მოპასუხეც მიუთითებდა თავის ახსნა-განმარტებებში და რომელზეც იმსჯელა კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ.

კასატორი სადავოდ ხდის სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას იმ ნაწილშიც, რომლითაც შპს „ს-ო“ სარჩელის მოთხოვნაზე ვალდებულ სუბიექტად არ იქნა მიჩნეული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, სა-

კასაციო საჩივრების საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „გ.+“-ისა და შპს „ბ. ს. ნ-ის“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

შპს „ბ. ს. ნ-ი“ ეწევა სანავსადგურო საქმიანობას, კერძოდ, ახორციელებს საზღვაო ნავსადგურის ტერიტორიისა და აკვატორიის ფარგლებში შემოსული გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას, მომსახურებას, ტვირთის სატრანსპორტო-საექსპედიტორო, საწყობში მოთავსების ოპერაციებს, ერთი სახეობის ტრანსპორტიდან მეორე სახეობის ტრანსპორტზე ტვირთის გადაცლას, აგრეთვე მგზავრთა მომსახურების, ტვირთის, ბარგისა და ფოსტის გადატანის ოპერაციებს;

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს „ბ. ს. ნ-ს“ შორის 2006 წლის 11 აპრილს დადებული ხელშეკრულების თანახმად, ნავსადგური მისი არსებობის ვადით ფლობს №1, №2, №3, №6, №7, №8, №9, №10 და №11 ნავმისადგომებს უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით;

№10 ნავმისადგომის მეზობლად მდებარე 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის მფლობელს, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის იჯარის 2004 წლის 03 სექტემბრის ხელშეკრულების თანახმად, წარმოადგენს შპს „გ.+“. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული რესტორანი „ს-ო“, საერთო ფართობით 1585.6 კვ.მ, შპს „გ.+“-ის საკუთრებას წარმოადგენს. რესტორანი ექსპლოატაციაში იქნა მიღებული 2006 წლის 28 დეკემბერს;

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს აჭარის რეგიონალური ექსპერტიზის სამსახურის 2008 წლის 21 აპრილის ექსპერტის დასკვნით, შპს „ბ. ს. ნ-ის“ №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილი, 200 კვ.მ ფართი, სხვადასხვა ფორმით დაკავებული და გამოყენებული აქვს შპს „გ.+“-ის კუთვნილ რესტორან „ს-ს“. ამავე დასკვნის მიხედვით, რესტორან „ს-ს“ შენობაზე განხორციელებული რეკონსტრუქციის დროს ნაგებობის ზღვის ფასადის კოლონებიდან სამი კოლონა და შესასვლელი კიბის ნაწილი შეჭრილია №10 ნავმისადგომის ტერიტორიაზე, ხოლო რესტორნის მოძრავი ინვენტარი – მაგიდები, სკამები და საჩრდილო ქოლგები განლაგებულია №10 ნავმისადგომის საექსპლუატაციო ფართზე 4X50 მეტრიან ზონაში. ამ ფართით სარ-



გებლობაზე მოპასუხეს მოსარჩელისაგან თანხმობა არ მიუღია; შპს „ბ. ს. ნ-მა“ მოპასუხეების მხრიდან სასაზღვრო მიჯნის დარღვევის გამო 2007 წლის 15 ივნისის №0579-08/23 და 2007 წლის 25 ივნისის №0632-08/35 წერილებით მიმართა შპს „ს-ს“, რომელიც ახორციელებდა რესტორნის ფაქტობრივ მენეჯმენტს და შესთავაზა ნავსადგურთან ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხის განხილვა სათანადო საბაზრო ანაზღაურების გათვალისწინებით;

2007 წლის 22 აგვისტოს შპს „ბ. ს. ნ-მა“ №0897-08/23 წერილით მიმართა შპს „გ.+“-ს და მოითხოვა 2006 წლის 1 მაისიდან 2007 წლის 1 აგვისტომდე პერიოდისათვის ნავსადგურის მართლობიერ სარგებლობაში არსებული ფართით სარგებლობისათვის მოპასუხის მიერ კომპენსაციის სახით 15000 ლარის გადახდა, რაზეც პასუხი არ მიუღია;

დამოუკიდებელი ექსპერტის – შპს „კ. და ა-ის“ 2007 წლის 16 აგვისტოს №02/06-69 საექსპერტო დასკვნის მიხედვით, ქ.ბათუმში მოქმედი საბაზრო ფასებისა და სეზონურობის გათვალისწინებით, შპს „ბ. ს. ნ-ის“ სარგებლობაში არსებული №10 ნავმისადგომის 1 კვ.მ ფართის თვიური საიჯარო ქირა შეადგენს 5 ლარს, შესაბამისად, მთლიანი დაკავებული ფართისათვის (200 კვ.მ) ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1000 ლარს;

სააპელაციო სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ქ.ბათუმში, შპს „გ.+“-ის კუთვნილ რესტორან „ს-ს“ შენობა-ნაგებობის მიერ დაკავებული და გამოყენებული ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის ტერიტორიის ფართი, როგორც მიწის ნაკვეთზე მყარად განთავსებული ნაწილებით, ისე სივრცობრივად (კოლონებზე დაშენებული აივანი) შეადგენს 12.4 კვ.მ-ს. ფაქტობრივად არსებული მდგომარეობით, ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის გამოყენება სატვირთო გემების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის შეუძლებელია. აღნიშნული ნავმისადგომის სიგრძის გათვალისწინებით, შესაძლებელია სამგზავრო გემების მიღება სიგრძით 35 მეტრამდე. რესტორან „ს-ს“ შენობა-ნაგებობის ნაწილის ნავსადგურის მიწის ნაკვეთზე გადასვლის არარსებობის შემთხვევაში, ბათუმის ნავსადგურის №10 ნავმისადგომის გამოყენება სატვირთო გემების დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის შეუძლებელია. სააპელაციო სასამართლოს მთავარ სხდომაზე დაკითხული ექსპერტის განმარტებით, ნავმისადგომზე გაკეთებულია მოაჯირი, რაც ხელს უშლის გემების დადგომას, მგზავრების გადაყვანას. სანაპიროს ტერიტორიაზე მაგიდების (სკამების) და



მოაჯირის არარსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია გემების დადგომა და მგზავრების მიღება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორ შპს „გ.+“-ის ერთ-ერთი პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლოს შპს „ს-ო“ უნდა მიეჩნია სათანადო მოპასუხედ მოსარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილში, რომელიც ეხება ზიანის ანაზღაურებას მოძრავი ნივთებით (მაგიდები, სკამები) სადავო ფართის უკანონოდ სარგებლობის გამო, კერძოდ, კასატორი მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მას შპს „ს-სთან“ დადებული აქვს იჯარის ხელშეკრულება და მისთვის სარგებლობაში აქვს გადაცემული რესტორანი „ს-ო“, ამიტომ რესტორნის ინვენტარის სადავო ფართზე განლაგების გამო პასუხი შპს „ს-მ“ უნდა აგოს.

საკასაციო სასამართლო კასატორის აღნიშნულ პრეტენზიას არ იზიარებს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „ს-ო“ რესტორანს მართავს დავალების და არა იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ამ ფაქტთან მიმართებით დასაბუთებულ პრეტენზიად არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს კასატორის ზემოაღნიშნული განმარტება, ვინაიდან მას იჯარის ხელშეკრულება არც ერთი ინსტანციის სასამართლოსათვის არ წარუდგენია. მართალია, საკასაციო საჩივარს ერთვის ხსენებული იჯარის ხელშეკრულების ასლი, მაგრამ საკასაციო სასამართლო მასზე ვერ იმსჯელებს, ვინაიდან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა არ დაიშვება.

კასატორ შპს „გ.+“-ს წამოყენებული აქვს ასევე პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ იმ-

სჯელა ექსპერტის დასკვნით დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ შპს „გ.+“-სათვის 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი მოიცავს ასევე სადავო 200 კვ.მ ფართს (№10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილს) და, შესაბამისად, მოპასუხე ამ ფართის მართლობიერი მფლობელია, რაც გამორიცხავს მის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 982.1 მუხლის გამოყენების და სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოება სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლზე მითითებით, რაც არასწორია, ვინაიდან ამ გარემოებაზე მოპასუხე თავიდანვე უთითებდა თავის ახსნა-განმარტებებში და იგი ახალ ფაქტს არ წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის ზემოაღნიშნულ პრეტენზიას და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვით, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ახალ ფაქტზე მითითებად მიიჩნია აპელანტის განმარტება, რომ შპს „გ.+“-სათვის 2004 წლის 3 სექტემბრის იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი მოიცავდა ასევე სადავო 200 კვ.მ ფართს (№10 ნავმისადგომის ტერიტორიის ნაწილს). საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის ხსენებულ მსჯელობას, ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხე თავის ახსნა-განმარტებაში უთითებდა, რომ 2006 წლის 30 ნოემბრის აზომვითი ნახაზით და საკადასტრო რუკით დასტურდებოდა, რომ ე.წ. სადავო ნავმისადგომი მოქცეული იყო შპს „გ.+“-ისათვის იჯარით გადაცემულ 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთის წითელ ხაზებში. ამასთან, საყურადღებოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ იმსჯელა მოპასუხის მიერ მითითებულ ზემოხსენებულ გარემოებაზე და აღნიშნა, რომ საკადასტრო რუკით არ შეიძლებოდა მეზობელ მიწის ნაკვეთებს შორის საზღვრის დადგენა. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სწორედ ზემოხსენებული სადავო საკითხის გამოსარკვევად, სააპელაციო სასამართლომ თავისი ინციატივით დანიშნა დამატებითი ექსპერტიზა, მოისმინა ექსპერტის მოსაზრება წარმოდ-

გენილი დასკვნის განმარტების მიზნით, თუმცა, მიუხედავად ამისა, არ გაიზიარა დასკვნისა და ექსპერტის განმარტების ის ნაწილი, რომელიც მოპასუხის მიერ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სადავო 200 კვ.მ ფართის მფლობელობას ადასტურებდა. ამდენად, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ, ვინაიდან აპელანტმა (მოპასუხემ) სააპელაციო სასამართლოში ახალ ფაქტზე მიუთითა, ამიტომ მას შეფასებას ვერ მისცემდა.

სარჩელის თანახმად, მოსარჩელე თავის მოთხოვნას ფულადი კომპენსაციის შესახებ აფუძნებს იმ გარემოებაზე, რომ რესტორან „ს-ს“ რეკონსტრუქციის დროს მოპასუხე ნაწილობრივ გადასცდა მოსარჩელისათვის უზუფრუქტით გადაცემული მიწის ნაკვეთის (ნავმისადგომის სადავო ტერიტორიის) საზღვარს და ამ მიწის ნაკვეთზე განახორციელა რესტორნის მიშენება, ასევე, ამავე რესტორნის ფუნქციონირებისათვის, კერძოდ, მაგიდებისა და სკამების განსათავსებლად, მოპასუხემ მოსარჩელის თანხმობის გარეშე, უკანონოდ დაიკავა სადავო ფართის დარჩენილი ნაწილიც. მოსარჩელის განმარტებით, სადავო ფართის ერთი კვ.მ-ის საიჯარო ქირა საბაზრო ფასით შეადგენს თვეში 5 ლარს. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ საზღვრის დარღვევით, ასევე სადავო ფართის უკანონო მფლობელობით მას ადგება ზიანი, რაც გამოანგარიშებულ უნდა იქნეს მითითებული თანხის მიხედვით და გადახდეს მოპასუხეს.

მოსარჩელის ზემოხსენებული მოთხოვნის საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს სამოქალაქო კოდექსის 242-ე, 179-ე და 164-ე მუხლები.

სამოქალაქო კოდექსის 242-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით, უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ, მესაკუთრისგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, დაგირავების ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი). ამავე კოდექსის 164-ე მუხლის მიხედვით, არაკეთილსინდისიერმა მფლობელმა უფლებამოსილ პირს უნდა დაუბრუნოს როგორც ნივთი, ასევე მიღებული სარგებელი, ნივთის ან უფლების ნაყოფი. მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ნაყოფი, რომელიც მან ბრალეულად არ მიიღო.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მოპასუხის არამართლობიერი მოქმედებით მას ადგება ზიანი. მოპა-

სუხის განმარტებით, იგი სადავო ფართს ფლობს მართლზომიერად, იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, ამიტომ მას არ შეიძლება დაეკისროს ზიანის ანაზღაურება. აქედან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული დავის სწორად გადაწყვეტისათვის არსებითია იმ საკითხის გარკვევა, მოიცავს თუ არა მოპასუხე შპს „გ.+“-ისათვის იჯარით გადაცემული 2500 კვ.მ მიწის ნაკვეთი №10 ნავმისადგომის ტერიტორიის სადავო ნაწილს (200 კვ.მ-ს) ანუ წარმოადგენს თუ არა მოპასუხე ამ ფართის მართლზომიერ მფლობელს. ამ საკითხის გარკვევა მნიშვნელოვანია ასევე სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის შეფარდებისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება იურიდიულად დაუსაბუთებელია, რაც მისი გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებელი ფაქტობრივი გარემოებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „გ.+“-ისა და შპს „ბ. ს. ნ-ის“ საკასაციო საჩივრები ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება**

### **განჩინება**

№ას-1635-1534-2012

2 მაისი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეცი**

**დავის საგანი:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2012 წლის 1 დეკემბერს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სარჩელით მიმართა ტ. ლ-მა მოპასუხე რ.ც,ს-ოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხისათვის 100000 ლარის დაკისრება მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ტ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

2012 წლის 1 ნოემბერს ტ. ლ-მა განცხადებით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება, კერძოდ, ქ.რ.ც,ს-ოს საბანკო ანგარიშებზე ყადაღის დადება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინებით ტ. ლ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, განმცხადებლის მოთხოვნა ატარებდა ზოგად ხასიათს და მოკლებული იყო კონკრეტულობას. განმცხადებელი არ უთითებდა კონკრეტულად რომელი საბანკო ანგარიშის დაყვადებას ითხოვდა იგი. აქედან გამომდინარე, განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაუსაბუთებელი იყო, რის გამოც სააპელაციო სასამართლომ, არსებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საფუძველი და განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

დასახელებული განჩინება საჩივრით გაასაჩივრა ტ. ლ-მა და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით ტ. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა რუსთავის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

ამავე სასამართლოს 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით ტ. ლ-ის საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინებაზე დაუსაბუთებლობის გამო საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონმდებლობაში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისათვის, როდესაც იგი გამართლებულია. სასამართლო, სარჩელის უზრუნველყოფისას ითვალისწინებს სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ პერსპექტიულობას, თუმცა თავისთავად უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება სასამართლოს სადავო

მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით რაიმე შეზღუდვას არ აწესებს.

ზემომოთხრობული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ არ არსებობდა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული წინაპირობა და ამიტომ საჩივრის ავტორის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის საფუძვლების გამოკვლევის შედეგად მიიჩნევს, რომ ტ. ლ-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უცვლელად უნდა დარჩეს გასაჩივრებული განჩინება, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვევა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილებით ტ. ლ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ. ამავე კოდექსის 369-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივრის შეტანის ვადაა 14 დღე. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია და იგი იწყება მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტად ითვლება დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის მხარისათვის ჩაბარება ამ კოდექსის 70-78-ე მუხლების ან 259<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, ასევე 259<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილით დადგენი-

ლი ვადის გასვლის შემდეგ.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინების ასლი ტ. ლ-ს გაეგზავნა კანონით დადგენილი წესით და ჩაბარდა 2012 წლის 18 დეკემბერს. კანონით დადგენილ ვადაში მას საკასაციო საჩივარი სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

აქედან გამომდინარე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით დამდგარი საპროცესო შედეგი თავისთავად გამორიცხავს უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას, ვინაიდან იმ სარჩელის იურიდიული ბედი, რომლის უზრუნველყოფასაც განმცხადებელი (საჩივრის ავტორი) მოითხოვს – გადაწყვეტილია, კერძოდ, ტ. ლ-ს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე და ეს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია შესული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს წარმოდგენილ საჩივარს და უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1971 მუხლის მე-4 ნაწილით, ამავე კოდექსის 419-420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ტ. ლ-ის საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 1 ნოემბრის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



# სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

## ბანრინება

№ას-80-76-2013

18 ივლისი, 2014 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**განმცხადებლის მოთხოვნა:** სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...+“-მა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოში სს „ს-ს“ მიმართ 50 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელის განმარტებით, 1995 წლის 8 დეკემბერს სს „ს-ს“ და შპს „...-ს“ შორის გაფორმდა №2/95ს ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „...-მ“ განახორციელა ქ. თბილისში, ... №15-ში მდებარე უძრავი ქონების აღდგენა-რეკონსტრუქცია. მოსარჩელემ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, შპს „ს-ს“ გადაურიცხა საგარანტიო თანხა 50 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ სს „ს-ი“ ვალდებული იყო შპს „...-სათვის“ დაებრუნებინა საგარანტიო თანხა. 2005 წლის 20 ივნისს, შპს „...-სა“ და სს „ს-ს“ შორის გაფორმდა აქტი ვალდებულების შესრულების თაობაზე. აღნიშნული აქტით მოპასუხემ დადასტურა, რომ არ გააჩნდა რაიმე სახის მოთხოვნები ან პრეტენზიები შპს „...-ს“ მიერ განხორციელებულ სამუშაოებთან დაკავშირებით. 2007 წლის 4 მაისს შპს „...-მ“ სს „ს-ს“ მიმართ არსებული მოთხოვნა შეიტანა შპს „...+-ის“ საწესდებო კაპიტალში. 2010 წლის 9 ნოემბერს შპს „...+-მა“ წერილობით მიმართა სს „ს-ს“ და მოითხოვა საგარანტიო თანხის უკან დაბრუნება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „...+“-ის სარჩელი დაკმაყოფილდა. მოპასუხე სს „თბი-

ლისი სიტის“ მოსარჩელე შპს „...+-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2011 წლის 31 მაისს ზემოაღნიშნული დაუსრულებელი გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს საჩივრით მიმართა სს „ს-ს“ წარმომადგენელმა ქ. ქ-მ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 აგვისტოს განჩინებით სს „ს-ს“ განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის დაუსრულებელი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა, რაზეც კერძო საჩივარი შეიტანა სს „ს-მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ოქტომბრის განჩინებით სს „ს-ს“ კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 აგვისტოს განჩინება და საქმე სს „ს-ს“ განცხადების ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 1 დეკემბრის საოქმო განჩინებით სს „ს-ს“ განცხადება დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის კანონიერ ძალაში შესული დაუსრულებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

ზემოაღნიშნულ საოქმო განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანა შპს „...+-მა“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 იანვრის განჩინებით შპს „...+-ის“ კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 1 დეკემბრის საოქმო განჩინება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და საქმის წარმოების განახლების თაობაზე.

სს „ს-მ“ შეგებებული სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „...+-სათვის“ 92337 ლარის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელის განმარტებით, 2011 წლის 31 მარტის დაუსრულებელი გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი შპს „...+-მა“ კერძო აღმასრულებელთან წარადგინა. იძულებით აღსრულების ხარჯების დამატებით გადახდისა და სს „ს-ს“ აქტივების დაყადალების თავიდან აცილების მიზნით, აღნიშ-

ნული საზოგადოების ადმინისტრაციამ გადაიხადა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხა; ამასთან, დაუსწრებელი გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრა. ვინაიდან დაუსწრებელი გადაწყვეტილება ბათილად იქნა ცნობილი, აღნიშნული თანხა მხარემ კანონიერი საფუძვლის გარეშე გადაიხადა და მას უნდა დაუბრუნდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით შპს „...+-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ხოლო სს „ს-ს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, შპს „...+-ს“ სს „ს-ს“ სასარგებლოდ დაექისრა 92 337 ლარისა და წლიური 10%-ის გადახდა, 2011 წლის 24 ივნისიდან 92 337 ლარის დაბრუნებამდე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება შპს „...+“-მა სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 22 ნოემბრის განჩინებით შპს „...+“-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 29 მარტის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები:

1. 1995 წლის 8 დეკემბერს სს „ს-სა“ და შპს „...-ს“ შორის გაფორმდა №2/95ს ხელშეკრულება. ხელშეკრულების 1.2 და 1.3 პუნქტების თანახმად, შპს „...-ს“ ვალდებულებას წარმოადგენდა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №15-ში მდებარე შენობის აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოების სრული დაფინანსება, მშენებლობის წარმოება და ობიექტის შესაბამის კონდიციებამდე მიყვანა. ხელშეკრულების 2.1 პუნქტის თანახმად, ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემთხვევაში, შპს „...-ს“ საკუთრებაში გადაეცემოდა მომსახურების ობიექტის პირველი სართული, მეორე სართული და პირველი სართულის ქვეშეგებული სარდაფის და მეორე დამხმარე სართულები, ხოლო იჯარით გადაეცემოდა მესამე სართული, რომლის კოეფიციენტი და პირობები განისაზღვრებოდა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე;

2. ხელშეკრულების 4.2. პუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან ხუთი საბანკო დღის განმავლობაში ინვესტორი ურიცხავს მენაშენეს 50 000 აშშ დო-

ლარის ეკვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების გარანტიის სახით. აღნიშნული თანხა შედის მომსახურების საბოლოო ღირებულებაში. ამ ვადის დარღვევისას ხელშეკრულება ჩაითვლება ბათილად. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება განყვეტილი იქნება მენაშენის მიერ დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით ეს თანხა დაუბრუნდება ინვესტორს სრული ოდენობით 8.3. გათვალისწინებული საურავის ოდენობის ჩათვლით;

3. ხელშეკრულების 4.3. პუნქტის თანახმად, 4.2 მუხლში აღნიშნული თანხა მენაშენს მიერ გამოიყენება საკუთარი შეხედულებისამებრ და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემდგომი დოკუმენტაციის დამტკიცებამდე წარმოადგენს ხელშეკრულების განმსაზღვრელ თანხას. ყოველი შემდგომი დოკუმენტაციის დამტკიცებით განსაზღვრული თანხა არის მხარეების მიერ სახელმძღვანელო, ხოლო დამტკიცებული სამუშაო პროექტით დადგენილი თანხა საბოლოო;

4. შპს „...“-მ 1995 წლის 13 დეკემბერს სს „ს-ს“ გადაურიცხა ხელშეკრულების 4.3. პუნქტით განსაზღვრული 50 000 აშშ დოლარი;

5. შპს „...“-მ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ კი, განახორციელა ქ. თბილისში, რუსთაველის გამზირი №15-ში მდებარე შენობის აღდგენა-რეკონსტრუქცია. 2005 წლის 20 ივნისს, შპს „...“-ს და სს „ს-ს“ შორის გაფორმდა აქტი ვალდებულების შესრულების თაობაზე. აღნიშნული აქტით სს „ს-მ“ დაადასტურა, რომ შპს „...“-ს მიერ განხორციელებული სამუშაოების მიმართ რაიმე მოთხოვნები ან პრეტენზია არ გააჩნია;

6. შპს „...“-მ სს „ს-ს“ მიმართ 50 000 აშშ დოლარის მოთხოვნა შეიტანა შპს „...“-ის“ სანესდებო კაპიტალში;

7. 2010 წლის 8 დეკემბერს შპს „...“-მა“ სარჩელით მიმართა სასამართლოს სს „თბილისის სიტის“ მიმართ თანხის გადახდის დაკისრების მოთხოვნით;

8. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.03.2011წ. დაუსწრებელი გადაწყვეტილებით შპს „...“-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა და სს „ს-ს“ შპს „...“-ის“ სასარგებლოდ გადასახდელად დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის, სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 2074,45 ლარის და წარმომადგენლის დახმარებისათვის განუული 2078,45 ლარის გადახდა. გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში და გაიცა სა-

აღსრულებო ფურცელი

9. კერძო აღმასრულებლის ზ. გ-ის მიერ სს „ს-ს“ მიეცა წინადადება გადაწყვეტილების ნებაყოფლობით აღსრულების თაობაზე.

10. სს „ს-ს“ მითითებით, Computron Industries Establishment-ის მიერ 2011 წლის 22 და 23 ივნისს კერძო აღმასრულებლის ზ. გ-ის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული იქნა ჯამში 92 337 ლარი, რომელიც მოიცავდა სასამართლოს მიერ სს „თბილისი სიტისათვის“ შპს „...+“-ის სასარგებლოდ დაკისრებული თანხასა და აღსრულების ხარჯებს.

11. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 01.12.2011 წლის საოქმო განჩინებით სს „ს-ს“ განცხადება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 31 მარტის დაუსწრებელი გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის მიერ დადგენილი გარემოება მასზედ, რომ შპს „...+“-ის სარჩელი სს „ს-ს“ მიმართ 50 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე აღძრულია კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდგომ.

სააპელაციო პალატის განმარტებით, მოსარჩელის მოთხოვნაზე უნდა გავრცელდეს სახელშეკრულებო მოთხოვნისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. სასამართლოს აზრით, მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა ხელშეკრულების არსებით პირობად განსაზღვრეს, რომ შპს „...“-ს უნდა უზრუნველყო სს „ს-სათვის“ 50 000 აშშ დოლარის წინასწარ გადახდა. მოსარჩელის წარმომადგენლის განმარტებით, შპს „...“-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ სს „ს-ი“ ვალდებული იყო დაებრუნებინა საგარანტიო თანხა 50 000 აშშ დოლარი; ამდენად, თავად მოსარჩელე მხარის მითითებით, შპს „...“-ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე სს „ს-სათვის“ 50 000 აშშ დოლარის გადახდის, ხოლო ვალდებულების შესრულების შემდეგ აღნიშნული თანხის სს „ს-ს“ მიერ დაბრუნების ვალდებულება ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. აღნიშნულიდან გამომდინარე, უდავოა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება ხელშეკრულებას, ხოლო სახელშეკრულებო მოთხოვნაზე კი, ვრცელდება სამ წლიანი ხანდაზმულობის ვადა. დადგენილია, რომ 2005

წლის 20 ივნისს შპს „...-ს“ და სს „ს-ს“ შორის გაფორმდა აქტი ვალდებულების შერულების თაობაზე. აღნიშნული აქტი დადასტურებული იქნა შპს „...“-ს მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულების ფაქტი. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხეს თანხის დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობოდა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ, უნდა მივიჩნიოთ, რომ მოთხოვნის უფლება წარმოიშვა იმ მომენტიდან, რაც სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ სს „ს-მ“ თანხა არ დაუბრუნა. შპს „...+მ“-ს თანხის დაბრუნების მოთხოვნით სასამართლოში სარჩელი აღძრა 2010 წლის 8 დეკემბერს, ანუ მოთხოვნის წარმოშობიდან სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ.

სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია იმის თაობაზე, რომ როდესაც სს „ს-მ“ თანხა აღმასრულებლის ანგარიშზე ჩარიცხა, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს საოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. მოცემულ შემთხვევაში, სს „ს-მ“ აღმასრულებლის წინადადების საფუძველზე, სასამართლო გადაწყვეტილების ნებაყოფლობით შესრულების მიზნით, თანხა აღმასრულებლის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებული ღონისძიებების და დამატებითი ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, რაც ვერ მიიჩნევა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის საფუძვლად.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრება და განმარტა, რომ შპს „...-ს“ მიერ წინასწარ გადახდილი თანხა წარმოადგენდა არა მის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის საშუალებას, არამედ თანხას, რომელიც მას გასაწევ მომსახურებასთან ერთად უნდა გაეღო სანაცვლოდ მისაღები ფართის ანგარიშში. ხელშეკრულების 4.2 პუნქტის დათქმა გამოხატავს მხარეთა ნამდვილ ნებას და მიუთითებს იმაზე, რომ გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება სს „ს-ს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოეშობოდა, თუ ხელშეკრულება შეწყდებოდა მისი ბრალეულობით და შესაბამისად, შპს „...“ ვერ მიიღებდა იმ ფართს, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე უნდა მიეღო.

არ არსებობს შპს „...+“-ს მოპასუხისათვის 50 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს სა- მოქალაქო კოდექსის 981-ე მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზ- ლაურების ვალდებულებას, ანუ ადგენს პასუხისმგებლობის ზო- მას მიმღების ბრალის არსებობისას. განსახილველ შემთხვევა- ში არსებობდა ყველა ის სამართლებრივი წინაპირობა, რომე- ლიც აუცილებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 981- ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებისათვის. სააპელაციო პა- ლატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელო- ბა და მიიჩნია, რომ უსაფუძვლოდ მიღებული თანხის დაბრუნე- ბის დაყოვნებისათვის შპს „...+-ის“ მიერ სს „თბილისი სიტისათ- ვის“ გადასახდელი პროცენტის ოდენობა უნდა განისაზღვროს საბანკო ანაზრისათვის განსაზღვრული წლიური საშუალო საპ- როცენტო განაკვეთით, კერძოდ, წლიური 10%-ით.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება შპს „...+“-მა საკასა- ციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გა- დაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით: სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა იმ გარემოებებზე, თუ რატომ გამოვიდა მოპასუხის მიმართ დაუსწრებელი გადაწყვე- ტილება და რატომ შევიდა იგი კანონიერ ძალაში. არასწორია სა- სამართლოს შეფასებები იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსე- ბობდა შპს „...+-ის“ სარჩელის დაკმაყოფილების ფაქტობრივ- სამართლებრივი საფუძველი, რადგანაც საგარანტიო თანხის სა- ხით გადახდილი 50 000 აშშ დოლარის დაბრუნების შესახებ ხელ- შეკრულებაში არსებობს მხოლოდ ერთი ჩანაწერი ხელშეკრუ- ლების 8.3 მუხლში, რომელიც ეხება ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტას. ის გარემოება, რომ ხელშეკრულებაში საგარანტიო თანხის დაბრუნების წესი ზუსტად არ არის განერილი ვალდე- ბულების შესრულების ნაწილში, არ ნიშნავს, რომ 50 000 აშშ დოლარი ხელშეკრულების ღირებულებაში შემავალი თანხაა. სა- სამართლოს ხელშეკრულებასთან ერთად, მხარეთა შორის არ- სებული მიმონერაც უნდა შეეფასებინა. სასამართლომ არასწო- რად მიიჩნია სარჩელი ხანდაზმულად, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხემ, არ წარადგინა რა შესაგებელი სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში, აღიარა ვალდებულების არსებობა, რადგა- ნაც მისთვის ცნობილი იყო, რომ გამოვიდოდა დაუსწრებელი გადაწყვეტილება. სასამართლომ არასწორად გაავრცელა შპს „...+-ის“ სარჩელზე 3-წლიანი ხანდაზმულობის ვადა. სასამარ- თლომ სს „ს-ს“ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას უსა-



ფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმები დაუდო საფუძვლად. უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ მოთხოვნებზე კი, 10-წლიანი ხანდაზმულობის ვადა ვრცელდება. გარდა ამისა, თუნდაც სასამართლოს სახელშეკრულებო მოთხოვნებისათვის დადგენილი ვადით ეხელმძღვანელა, მოცემულ სარჩელზე 6-წლიანი ხანდაზმულობა ვრცელდება, როგორც უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მოთხოვნაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 5 თებერვლის განჩინებით შპს „...+“-ის საკასაციო საჩივარი მიღებული იქნა წარმოებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით სს „ს-ს“ წარმომადგენელ მ. ჯ-ს შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „...+“-ს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ... №15, საკადასტრო კოდი №01.15.04.017.003, შენობა-ნაგებობები – II სართული; – I სართული; I სართული; II სართული; III სართული; მიშენების – III სართული და – IV სართულები საერთო ფართობით 1697,6 კვ.მ., გასხვივება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით შპს „...+“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი ...) საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

2014 წლის 25 ივნისს შპს „...+“-ის დირექტორმა პ. ჯ-მა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს და მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, განცხადების საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების თანახმად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით სს „თ. ს-ს“ წარმომადგენელ მ. ჯ-ს შუამ-



დგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და შპს „...+“-ს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ... №15, საკადასტრო კოდი №01.15.04.017.003, შენობა-ნაგებობები – II სართული; – I სართული; I სართული; II სართული; III სართული; მიწების – III სართული და – IV სართულები საერთო ფართობით 1697,6 კვ.მ., გასხვისება.

ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 12 აპრილის განჩინებით შპს „...+“-ის (საიდენტიფიკაციო კოდი ...) საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას. მხარეთა მორიგების შემთხვევაში სასამართლო აუქმებს უზრუნველყოფის ღონისძიებას, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან.

განმცხადებელი მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმებას იმ საფუძველით, რომ შპს „...+“-ის მიერ აღნიშნული საქმის ფარგლებში დაკისრებული ვალდებულება სრულად იქნა შესრულებული, რის დასადასტურებლადაც წარმოადგინა კერძო აღმასრულებელ რ. ს-ის მომართვა. აღნიშნული მომართვის მიხედვით, მოცემულ საქმეზე შპს „...+“-ის მიმართ სააღსრულებო წარმოება დასრულდა 2013 წლის 27 ივნისს, რადგან განმცხადებელმა სრულად შეასრულა დაკისრებული ვალდებულება. ასევე, სს „ს-ის“ წარმომადგენელმა მ. ჯ-მაც დაადასტურა, რომ შპს „...+“-მა მოცემული საქმის ფარგლებში დაკისრებული ფინანსური ვალდებულება ნამდვილად შეასრულა, რის თაობაზეც საქმეში წარმოდგენილია სასამართლო მოხელის მიერ 2014 წლის 16 ივლისს შედგენილი აქტი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის მიზანია სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფა. განსახილველ შემთხვევაში, გადაწყვეტილება, რომლის აღსრულების უზრუნველსაყოფადაც მხარის ქონების მიმართ გამოყენებული იყო გასხვისების აკრძალვა, აღსრულებულია. შესაბამისად, დასაბუთებულია განმცხადებლის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძი-

ების გაუქმების თაობაზე.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>, 399-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...+“-ის დირექტორ პ. ჯ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების თაობაზე დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „...+“-ს აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი №15, საკადასტრო კოდი №01.15.04.017.003, შენობა-ნაგებობები – II სართული; – I სართული; I სართული; II სართული; III სართული; მიშენების – III სართული და – IV სართულები საერთო ფართობით 1697,6 კვ.მ., გასხვისება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# მოქრავი ქონების ყადაღისგან გათავისუფლება

## გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-262-253-2012

25 ივნისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება

### აღწერილობითი ნაწილი:

ლ. და ფ. ქ-ებმა სარჩელით მიმართეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ა. ქ-ისა და საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ და მოითხოვეს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება შემდეგი დასაბუთებით: 2011 წლის 8 ივნისს, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებელმა მოსარჩევეების კუთვნილი ნივთები დააყადაღა, საფუძვლად კი მიუთითა თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცელი №1ბ/283-10, რომლის თანახმად ა. ქ-ს დამატებით სასჯელად დაეკისრა 6000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბუჯეტის სასარგებლოდ. მოსარჩევე მხარის განცხადებით, ა. ქ-ე არის ლ. ქ-ის მამა და ფ. ქ-ის ძმა, რომელსაც რეგისტრაციის მისამართად მითითებული აქვს მოსარჩელის სახელზე რიცხული საცხოვრებელი სახლის მისამართი. წარმომადგენლის განმარტებით, ქ. ქუთაისში, ხ-ის ქ. №54, ბ. №21-ში არსებული ქონება, რომელიც აღმასრულებელმა დააყადაღა, არ წარმოადგენს ა. ქ-ის საკუთრებას. აღმასრულებელმა დააყადაღა შემდეგი ნივთები: ტელევიზორი „პრიმა“, გაზქურა „ცენიტასი“, მაცივარი „ბეკო“ სამზარეულოს კარადა, საძინებლის კარადა და რბილი ავეჯი კუთხის მაგიდით. ლ. ქ-ე უკვე რამდენიმე წელია იმყოფება საზღვარგარეთ, რომლის გამოგზავნილი ფულით 2007 წლის 24 დეკემბერს ფ. ქ-მ ტელევიზორი „პრიმა“ 600 ლარად შეიძინა. გაზქურაც და მაცივარიც მისივე შეძენილია 350 და 450 ლარად. რაც შეეხება სამზარეულოს კარადასა და რბილ ავეჯს მაგიდითურთ, მხარის განმარტებით, ის დაამზადა მეზობლად მცხოვრებმა დ. ლ-მა, რომელშიც სა-

ერთო ჯამში 450 ლარი ეტაპობრივად გადაიხადა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოსარჩელემ მოითხოვა, ლ. და ფ. ნ. ქ-ების თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთების, კერძოდ: ტელევიზორი „პრიმას“, გაზქურა „ცენიტასის“, მაცივარი „ბეკოს“, სამზარეულოს კარადის, საძინებლის კარადისა და რბილი კუთხის ავეჯის თავისი მაგიდით ყადაღისაგან განთავისუფლება.

მოპასუხე საქართველოს მთავარმა პროკურატურამ წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო შემდეგი დასაბუთებით: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ კანონის 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხორციელდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია, აღძრას სარჩელი ქონების ყადაღისაგან განთავისუფლების მოთხოვნით. მოპასუხე მხარეს მიაჩნია, რომ წარმოდგენილ აქტში არ არის აღნიშნული იმის თაობაზე, რომ კონკრეტული ქონება მესამე პირის, ამ შემთხვევაში მოსარჩელეთა საკუთრებას წარმოადგენდა. მისივე მტკიცებით, მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია იმასთან დაკავშირებით, რომ აღწერილი ქონება ნამდვილად მის საკუთრებას წარმოადგენს.

რაც შეეხება მოპასუხე ა. ქ-ს, იგი დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ნივთებს, კერძოდ: ტელევიზორ „პრიმას“, გაზქურა „ცენიტასის“, მაცივარ „ბეკოს“, სამზარეულოს კარადას, რბილ ავეჯს კუთხის მაგიდითა და საძინებლის კარადას, ნამდვილად დაედო ყადაღა მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით დაკისრებული თანხის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ რეგისტრაციის დროს მას მითითებული აქვს ქ.ქუთაისი, ხ-ის ქ. №54, ბინა №21, მითითებულ მისამართზე, არასოდეს უცხოვრია და, შესაბამისად, ამ მისამართზე არსებული ნივთების შექენაში მონაწილეობა არ მიუღია. მანვე დამატებით განმარტა, რომ აღნიშნული ნივთების შექენისას ის სასჯელს იხდიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2011 წლის 4 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. და ფ. ქ-ების სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მოსარჩელებმა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინებით უცვლელი დარჩა გასაჩივრებული განჩინება. პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ

დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: თბილისის სა-აპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებლო ფურცლის №1/ბ-283-10 თანახმად, ა. ქ-ს დამატებით სასჯელად დაეკისრა 6000 ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. ამავე სააღსრულებლო ფურცლის საფუძველზე აღმასრულებელმა დააყადაღა: ტელევიზორი „პრიმა“, გაზქურა „ცენიტასი“, მაცივარი „ბეკო“, სამზარეულოს კარადა, საძინებლის კარადა და რბილი ავეჯი კუთხის მაგიდით. მოპასუხე მთავარი პროკურატურის წარმომადგენელ ნ. გ-ის განმარტებით, წარმოდგენილ აქტში არაფერია მითითებული იმის თაობაზე, რომ კონკრეტული ქონება მესამე პირის, ამ შემთხვევაში, მოსარჩელეთა საკუთრებას წარმოადგენს.

სააპელაციო სასამართლომ დამატებით მიუთითა შემდეგი: საქმეში განთავსებული მტკიცებულებით, ნახევრად ღია და დახურული ტიპის №16 დაწესებულების დირექტორის წერილით ირკვევა, რომ 1971 წლის 15 მარტს დაბადებული ა. ქ-ე, 2004-2008 წლებში იხდიდა სასჯელს ქ.რუსთავის №16 დაწესებულებაში. პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა პირმა დ. ლ-მა აჩვენა, რომ ყადაღის აქტში დაფიქსირებული ნივთებიდან სამზარეულო, კუთხის მაგიდა და კედელი მისი გაკეთებულია. აღნიშნული სამუშაო შეასრულა ფ. ქ-ის დაკვეთით და თანხაც მანვე გადაუხადა. დამზადებული ნივთები ადგილზე ააწყო, საცხოვრებელ სახლში და ამ ნივთების აწყობისას ფ. ქ-მ მოიტანა გაზი და მაცივარი, თუმცა მისი თანდასწრებით არ შეუძენია. საქმეში განთავსებული მტკიცებულება, ე.წ „ბეკოს“ საგარანტიო ტალონი, წარმოადგენს ქსეროასლს და მასზე ფირმა „ბეკოს“ მიერ ამ დოკუმენტის შედგენის დამადასტურებელი რაიმე სახის ჩანაწერი არ არსებობს, კერძოდ, არ გააჩნია ცნობის გამცემი ორგანოს შტამპი, ბეჭედი, უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და სხვა, ასევე არ შეიცავს დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირის თაობაზე არანაირ ჩანაწერს (ცნობის გამცემ ორგანოს შტამპს, ბეჭედს, უფლებამოსილი პირის ხელმოწერას და სხვა). ტელევიზორის კუთვნილების დასადასტურებლად მოსარჩელის მიერ წარმოდგენილია ქვითარი და გაზქურის ტექნიკური პასპორტი. მზარეთა მიერ დადასტურებულია, რომ ლ. ქ-ე 2004 წლიდან იმყოფება საზღვარგარეთ, ხოლო ფ. ქ-ე – 2009 წლიდან. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში განთავსებული წერილობითი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები წარ-

მოადგენს საკმარისს ყადაღის აქტში დაფიქსირებულ ნივთებზე მოსარჩელეთა კუთვნილების ფაქტის დასადასტურებლად. „ბეკოს“ საგარანტიო ტალონი, ასევე ტელევიზორის კუთვნილების დასადასტურებლად მხარის მიერ წარმოდგენილი ქვითარი და გაზქურის ტექნიკური პასპორტი არ შეიცავს დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირის თაობაზე რაიმე ჩანაწერს და მხოლოდ ფ. ქ-ის ხელმოწერა არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს საკმარისად, ამ ნივთებზე მისი კუთვნილების დასადასტურებლად.

რაც შეეხება მოწმის ჩვენებას, პალატამ განმარტა, რომ, მართალია, სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმე დ. ლ-მა აჩვენა, რომ ყადაღის აქტში დაფიქსირებული ნივთებიდან სამზარეულო, კუთხის მაგიდა და კედელი მისი გაკეთებულია და აღნიშნული სამუშაო შეასრულა ფ. ქ-ის დაკვეთით და თანხაც მანვე გადაუხადა, ასევე დამზადებული ნივთების აწყობისას მან ნახა, რომ ფ. ქ-მ მოიტანა გაზქურა და მაცივარი, მაგრამ, რადგანაც მოპასუხე მხარემ სადავო გახადა ამ ნივთებზე მოსარჩელეთა კუთვნილება, ხოლო საქმეში ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა, პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ მოწმის ჩვენება არ არის საკმარისი სადავო ფაქტის დასადასტურებლად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლ. და ფ. ქ-ებმა შემდეგი დასაბუთებით: სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 158-ე და 186-ე მუხლის მოთხოვნები, ასევე 151-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნები, რაც ეწინააღმდეგება ანალოგიურ საქმეებზე დადგენილ სასამართლო პრაქტიკას. სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რომელიც ავალდებულებს მოსამართლეს, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მიუთითოს ის სამართლებრივი, ნორმები, რომლითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. ქუთაისის საქალაქო სასამართლომ თავის გადანყვეტილებაში საერთოდ არ აღნიშნა, ხოლო სააპელაციო სასამართლომ კი მიუთითა, მაგრამ ვერ დაასაბუთა, თუ რომელი სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით არ გამოდგებოდა მოწმის ჩვენება სადავო ავეჯის მესაკუთრის დასადგენად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შე-

მონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ. ქ-ისა და ფ. ქ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სამართლებრივად არასწორად შეაფასა, რამაც განაპირობა საქმეზე არასწორი სამართლებრივი შედეგი.

განსახილველი სამოქალაქო საქმე დაშვებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით. სახელდობრ, გასაჩივრებული განჩინება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებულ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას (იხ.: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებები საქმე №ას-305-293-2012; №ას-1522-1529-2011 და №ას-1777-1755-2011).

სააპელაციო პალატამ მოცემულ საქმესთან დაკავშირებით, ყადაღადადებული ნივთების კასატორებისადმი კუთვნილების ფაქტის დასადასტურებლად არ გაიზიარა მონმე – დ.ლ-ის ჩვენება, ამასთან მიუთითა, რომ საქმეში აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულება წარმოდგენილი არ ყოფილა, პალატამ მიიჩნია, რომ მხოლოდ მონმის ჩვენება არ არის საკმარისი სადავო ფაქტის დასადასტურებლად და სარჩელის დასაკმაყოფილებლად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ლ. და ფ. ქ-ების საკუთრებაში არსებულ ქონებაზე (მოდრავ ნივთებზე) ყადაღის დადება საფუძვლიანია შემდეგ გარემოებათა გამო: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-40 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ქონებაზე ყადაღის დადება ნიშნავს მოვალის ქონების აღწერას, მესაკუთრისათვის ქონების განკარგვის – ნებისმიერი ფორმით გასხვისების, დაგირავების, მასზე ქირავნობისა და

იჯარის ხელშეკრულებების დადების – აკრძალვის გამოცხადებას ან და ქონების შესანახავად გადაცემას. აღმასრულებელი ყადაღადადებულ ნივთებს აღნუსხავს ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტში. აღნიშნული ნორმის ანალიზი ცხადყოფს, რომ ყადაღა შეიძლება, დაედოს მხოლოდ მოვალის კუთვნილ მოძრავ ქონებას.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, თუ მესამე პირი ამტკიცებს, რომ მას აღსრულების საგანზე გააჩნია უფლება, მაშინ იმ სასამართლოში, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც ხდება აღსრულება, მესამე პირს შეუძლია, აღძრას სარჩელი. ასეთ სარჩელს სასამართლო განიხილავს სასარჩელო წარმოების წესით (სარჩელი ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ). სარჩელი ყადაღისაგან ქონების განთავისუფლების შესახებ წარედგინება მოვალესა და კრედიტორს. აღნიშნული დანაწესი იცავს იმ პირთა უფლებებს, რომელთა საკუთრების ობიექტი გარკვეული ცდომილების შედეგად მიიჩნევა მოვალის ქონებად, (აღსრულების საგნად). ასეთ ვითარებაში აღსრულების საგანზე უფლების მქონე მესამე პირი სარგებლობს უფლებამოსილებით, აღძრას სასამართლოში სარჩელი მოვალისა და კრედიტორის წინააღმდეგ და მოითხოვოს ქონების ყადაღისაგან განთავისუფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ საქმეში განთავსებული წერილობითი მტკიცებულებები და მოწმეთა ჩვენებები წარმოადგენს საკმარისს ყადაღის აქტში დაფიქსირებულ ნივთებზე მოსარჩელეთა კუთვნილების ფაქტის დასადასტურებლად. „ბეკოს“ საგარანტიო ტალონი, ასევე ტელევიზორის კუთვნილების დასადასტურებლად მხარის მიერ წარმოდგენილი ქვითარი და გაზქურის ტექნიკური პასპორტი არ შეიცავს დოკუმენტის გამცემი უფლებამოსილი პირის თაობაზე რაიმე ჩანაწერს და მხოლოდ ფ.ქათამაძის ხელმოწერა არ შეიძლება, მიჩნეულ იქნეს საკმარისად, ამ ნივთებზე მისი კუთვნილების დასადასტურებლად.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს სააპელაციო პალატის დასკვნას, რომ ყადაღადადებული ქონება კასატორების საკუთრებას არ წარმოადგენს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ივარაუდება, რომ ნივთის მფლობელი არის მისი მესაკუთრე. ეს წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნივთზე სა-



კუთრებითი ურთიერთობის ხასიათი ვლინდება საჯარო რეესტრიდან. საკუთრების პრეზუმფცია არ გამოიყენება არც ძველი მფლობელის მიმართ, თუ მან ეს ნივთი დაკარგა, მოპარეს ან სხვაგვარად გავიდა იგი მისი მფლობელობიდან. საკუთრების პრეზუმფცია მოქმედებს ძველი მფლობელის სასარგებლოდ მხოლოდ მისი მფლობელობის პერიოდში. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ვარაუდი (პრეზუმფცია) ასახავს იმ შემთხვევებს, როდესაც ბრუნვის მონაწილეთათვის უცნობია მფლობელობის უკან არსებული უფლება, ხშირ შემთხვევაში უცნობია მფლობელის უფლებები, მაგრამ სამართლებრივი წესრიგი მოითხოვს, დავეყრდნოთ მფლობელის კეთილსინდისიერებას და იგი, სანინალმდეგოს დამტკიცებამდე, ნივთის მესაკუთრედ მივიჩნიოთ.

სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც, იგი სივრცობრივად მთავარ ნივთს უკავშირდება და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად. საკუთვნებლის თვისებას შეადგენს ის, რომ იგი მთავარ ნივთთან დაკავშირებულია საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ საკუთვნებელი განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის. საკუთვნებელი სივრცობრივად უკავშირდება მთავარ ნივთს სანინალმდეგოს დამტკიცებამდე. მთავარი ნივთის მესაკუთრე იმავდროულად საკუთვნებლის მესაკუთრედ მიიჩნევა. საცხოვრებელ ბინაში არსებული ავეჯი განკუთვნილია მისი სამსახურისათვის და დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით. საქმის მასალებით დასტურდება და სადავოს არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ საცხოვრებელი ბინა რეგისტრირებულია ლ. ქ-ის სახელზე, შესაბამისად, ივარაუდება, რომ ამ ბინაში განთავსებული ნივთების მესაკუთრე და კეთილსინდისიერი მფლობელი ლ. ქ-ა.

სამოქალაქო კოდექსის 158-ე მუხლის 1-ლი ნაწილით ცალსახად დადგენილია, რომ ნივთზე მფლობელის უფლებამოსილების არამართლზომიერების მტკიცების ტვირთი უფლების შემცირებელს აწევს. მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მთავარ პროკურატურას უნდა დაემტკიცებინა, ლ. ქ-ის მფლობელობაში არსებულ ნივთებზე მფლობელის არაუფლებამოსილე-

ბის და ამ ნივთების ა. ქ-სათვის კუთვნილების ფაქტი, რაც არ განხორციელებულა. აღნიშნული კი ლ. და ფ. ქ-ების კუთვნილი ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

ლ. და ფ. ქ-ების საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

ლ. და ფ. ქ-ების სარჩელი დაკმაყოფილდეს.

2011 წლის 8 ივნისის მოვალის ქონების აღწერისა და დაყადაღების შესახებ აქტში მითითებული ლ. და ფ. ქ-ების კუთვნილი ქ.ქუთაისში, ხ-ის ქ. №54-ში, ბ 21-ში მდებარე მოძრავი ნივთები: ა) ტელევიზორი „პრიმა“; ბ) გაზქურა „ცენიტასი“; გ) მაცივარი „ბეკო“; დ) სამზარეულოს კარადა; ე) საძინებლის კარადა; ვ) რბილი ავეჯი კუთხის მაგიდით ყადაღისაგან გათავისუფლდეს.

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი

## ბანკინება

№ას-1323-1343-2011

8 ოქტომბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: პ. ქათამაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას სარჩელით მიმართა ი. კ. ი-მ მოპასუხე შპს „მ. კ. კ-ის“ მიმართ და მოითხოვა, რომ მოპასუხეს დაეკისროს:

1. 750000 აშშ დოლარის დაბრუნება (ხელშეკრულების საგნის ნასყიდობისათვის გადახდილი თანხა);

2. 145584 აშშ დოლარის გადახდა (ხელშეკრულების საგნის გადაუცემლობით და გამოუყენებლობით გამონვეული ზიანი 2009 წლის 05 თებერვლიდან 2010 წლის 17 მაისამდე)

3. 328 აშშ დოლარის გადახდა ყოველდღიურად 2010 წლის 17 მაისიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე (ხელშეკრულების საგნის გადაუცემლობით და გამოუყენებლობით გამონვეული ზიანი);

4. 45000 აშშ დოლარის გადახდა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო);

5. 120000 აშშ დოლარის გადახდა (მშენებლობისათვის გადახდილი თანხის – 750000 აშშ დოლარის უმოძრაობით გამონვეული ზიანი);

6. 200000 აშშ დოლარის გადახდა (ხელშეკრულების საგნის უფლებრივი ნაკლით და მისი ღირებულების შემცირებით გამონვეული ზიანი);

7. 39750 აშშ დოლარის გადახდა (ადვოკატის მომსახურებაზე განეული ხარჯი).

სარჩელის თანახმად, 2007 წლის 21 დეკემბერს ი. კ. ი-ისა და შპს „მ. კ. კ-ის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მშენებარე

საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხე კომპანიამ იკისრა ვალდებულება, რომ 2009 წლის 5 თებერვალს მყიდველისათვის გადაეცა ქ.თბილისში, თ-ის და გ.წ-ის ქუჩის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობის ორი სართული დასრულებული რემონტით, აგრეთვე შენობის ქვეშ მდებარე დახურული ავტოსადგომი ოთხი ავტომანქანის პარკირებისათვის. ხელშეკრულებით გაინერა ნასყიდობის ფასი, მისი გადახდის წესი და გრაფიკი. მოსარჩელემ მოპასუხესთან შეთანხმებით თანხები გადაუხადა შპს „ა-ს“, რომელიც ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებდა მშენებლობას. ხელშეკრულების შესაბამისად, ნასყიდობის ფასი შეადგენდა 900000 აშშ დოლარს, რომელიც გაინერა ოთხ ეტაპად. 2008 წლის 14 მაისისათვის მოპასუხის და შპს „ა-ის“ მოთხოვნის შესაბამისად, ამ უკანასკნელს მოსარჩელემ გადაურიცხა 750000 აშშ დოლარი. მოპასუხემ ვერ უზრუნველყო აღებული ვალდებულების შესრულება, მან დაარღვია ხელშეკრულების პირობები, ხელშეკრულების შესრულების ვადას გადააცილა 1 წელი. აქედან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიჩნია, რომ მოპასუხე ვალდებული იყო დაებრუნებინა მიღებული თანხა და აენახლაურებინა მიყენებული ზიანი.

მოპასუხე შპს „მ. კ. კ-მ“ სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, საქმეში არ მოიპოვებოდა სათანადო მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მოსარჩელის მიერ 750000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს. რაც შეეხებოდა საქმეში წარმოდგენილ შპს „მ. კ. კ-ის“ წერილებს, მათი გაცემისას მოპასუხე ეყრდნობოდა შპს „ა-ის“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, რაც როგორც შემდგომ გამოირკვა არასწორი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 2 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. კ. ი-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლომ საქმეზე დადგინებულად მიიჩნია, რომ 2007 წლის 21 დეკემბერს ი. კ. ი-ისა და შპს „მ. კ. კ-ის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მშენებარე საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. ხსენებული ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, რომ 2009 წლის 5 თებერვალს მყიდველისათვის გადაეცა ქ.თბილისში, თ-ის და გ.წ-ის ქუჩის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობის ზემოდან ოთხი სართულის ქვემოთ მთლიანი ორი სართული დასრულებული რემონტით, აგრეთვე შენობის ქვეშ მდებარე დახურული ავტოსადგომი ოთხი ავტომანქანის პარ-

კირებისათვის.

მოცემულ შემთხვევაში სადავოს წარმოადგენდა ზემომითითებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული 750000 აშშ დოლარის მყიდველის მიერ შპს „ა-ისათვის“ (ხელშეკრულებით გათვალისწინებული მესამე პირი) გადახდის ფაქტი.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ შპს „ა-ისათვის“ თანხის გადაცემას ადასტურებს შპს „ა-ის“ დირექტორ ო. ა-ს და შპს „მ. კ. კ-ის“ წერილები, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მე-3 მუხლში აღნიშნული თანხები (900000 აშშ დოლარი) გამყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება მყიდველმა ჩარიცხოს მესამე პირის საბანკო ანგარიშზე. ასეთ შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია გამყიდველს წარუდგინოს საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. წინააღმდეგ შემთხვევაში თანხა გადახდილად არ ჩაითვლება და მყიდველს დაერიცხება პირგასამტეხლო.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარუდგინა სადავო თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი ვერც ერთი მტკიცებულება. სასამართლომ დამატებით ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ შპს „ა-ისათვის“ თანხების გადარიცხვა განხორციელდა სს „კ. ს. ბ-ის“ და სს „ლ. ბ-ის“ მეშვეობით. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე აღნიშნული ბანკებიდან გამოთხოვილი ინფორმაციით კი, არ დადასტურდა ი. კ. ი-ის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოება – შპს „ა-ისათვის“ თანხის გადარიცხვა.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ი. კ. ი-მ გაასაჩივრა სააპელაციო წესით. აპელანტმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის განჩინებით ი. კ. ი-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სააპელაციო სა-ჩივარი ეფუძნება იმას, რომ ი. კ. ი-ის შპს „ა-ისათვის“ გადახდილი აქვს 2007 წლის 21 დეკემბრის „მშენებარე საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასიდან 750000 აშშ დოლარი. ამ გარემოების დადასტურების მიზნით აქვს აღნაგობა მუთითა შპს „ა-ის“ დირექტორ ო. ა-ს 2009 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებით ბარათზე და შპს „მ. კ. კ-ის“ 2008 წლის 29 მაისის საქმიან წერილზე.

სააპელაციო სასამართლომ შპს „ა-ის“ დირექტორ ო. ა-ს მოხსენებითი ბარათი არ მიიჩნია თანხის მიღების ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებად იმ საფუძველით, რომ აღნიშნული დოკუმენტის შინაარსი ბუნდოვანი იყო, კერძოდ, იგი არ შეიცავდა მითითებას იმის თაობაზე, თუ ვისგან მიიღო შპს „ა-მა“ 750000 აშშ დოლარი, ხოლო წერილის ბოლო აბზაცში შპს „ა-ი“ ადასტურებდა არა თანხის მიღებას კონკრეტული ფიზიკური პირისაგან, არამედ მხოლოდ ამ თანხის სინამდვილეს, ისე, რომ პასუხს არ სცემდა კითხვას, თუ ვინ მოახდინა მასთან ანგარიშსწორება. წერილით არ ირკვეოდა, რა ფორმით მოხდა ანგარიშსწორება მხარეთა შორის. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „ა-ის“ დირექტორ ო. ა-ს 2009 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი არ შეიძლებოდა მიჩნეულიყო სადავო თანხის გადახდის ფაქტის დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად.

შპს „მ. კ. კ-ის“ დირექტორ მ. რ-ის 2008 წლის 29 მაისის წერილის შეფასების შედეგად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ვერც ამ წერილით ვერ დადასტურდებოდა სადავო თანხის გადახდის შესახებ ფაქტობრივი გარემოება. ამ წერილში მხოლოდ აღნიშნულია, რომ 300000 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხის პირველი ჩარიცხვა განხორციელდა შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე. 2008 წლის 14 მაისის წერილის საფუძველზე კი, განხორციელდა მეორე ჩარიცხვა კომპანია „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოთ დასახელებული წერილით შპს „მ. კ. კ-ი“ არ ადასტურებდა ი. კ. ი-ის მიერ 2007 წლის 21 დეკემბრის „მშენებარე საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას შპს „მ. კ. კ-ის“ მიმართ. სააპელაციო სასამართლომ ყურდაღება მიაქცია ამავე წერილის ბოლო აბზაცზე, სადაც შპს „მ. კ. კ-ი“ სთხოვდა ი. კ. ი-ის შპს „ა-ის“

საბანკო ანგარიშზე მესამე გადარიცხვის შესახებ საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის ის მოსაზრება, რომ სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი და თანხების გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება მოსარჩელეს გადააკისრა. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, მხარე, რომელიც სასამართლოში წარმოადგენს მოთხოვნას, ვალდებულია, დაასაბუთოს მისი საფუძვლიანობა. განსახილველ შემთხვევაში, ამგვარი მტკიცების ტვირთი ეკისრებოდა მოსარჩელეს. შესაბამისად, მოპასუხეს 750000 აშშ დოლარის გადახდის შესახებ გარემოება არ უნდა ემტკიცებინა. ამასთან, გადახდის დამადასტურებელი ქვითრები, ბუნებრივია უნდა ჰქონოდა იმ მხარეს, რომელმაც გადახდა განახორციელა და არა მოწინააღმდეგე მხარეს. მით უმეტეს, როცა აპელანტს ასეთ ვალდებულებას 2007 წლის 21 დეკემბრის „მშენებარე საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველი ნაწილი აკისრებდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთის განაწილების წესი ჩამოყალიბებულია მატერიალურ-სამართლებრივ ნორმებში და გამოხატულია იმპერატიული ფორმით. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ცალკეული კატეგორიის საქმეებზე მატერიალური კანონმდებლობა მოითხოვს კონკრეტული სახის მტკიცებულებას და ზღუდავს მას მტკიცების სტანდარტით. ასეთ ნორმებს წარმოადგენენ ისეთი სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმები, რომლებიც შინაარსობრივად მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე მიუთითებენ. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ფაქტობრივი გარემოების დამტკიცების სტანდარტი არ იყო განსაზღვრული მატერიალური კანონმდებლობით. მტკიცების განსაზღვრული სტანდარტი

უშუალოდ მხარეებმა დაადგინეს და შეათანხმეს, რადგან, როგორც საქმის მასალებით ირკვეოდა 2007 წლის 21 დეკემბრის „მშენებარე საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხების გადარიცხვა უნდა დადასტურებულიყო მყიდველის მიერ საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის გამყიდველისათვის წარდგენის გზით, რისი წარდგენაც სასამართლოში მოსარჩელემ ვერ შესძლო.

აპელანტმა თავის სააპელაციო საჩივარში განმარტა, რომ შპს „მ. კ. კ-იმ“ 2007 წლის დეკემბრის წერილით კ. ი-ის თანხმობა მისცა პირველი ეტაპის თანხა 300000 აშშ დოლარი ჩაერიცხა სს „ს. ბ-ის“ ანგარიშზე. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, შეჯიბრებითობის პრინციპის მოქმედების ფარგლებში სასამართლოს როლი მტკიცებულებათა შეგროვებაში საკამაოდ შეზღუდულია და იგი შემოიფარგლება მხოლოდ, მხარის დასაბუთებული განცხადების შემთხვევაში, მტკიცებულებათა გამოთხოვით. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით ირკვეოდა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 15 დეკემბრის საოქმო განჩინებით ი. კ. ი-ის წარმომადგენლის – ლ. ბ-ის შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლომ გამოითხოვა სს „ლ. ბ-დან“ და სს „კ. ს. ბ-დან“ დოკუმენტაცია იმის შესახებ, არის თუ არა გადარიცხული ი. კ. ი-ის ან მისი სახელით უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ თანხები, რა პერიოდში და რა ფორმით. საქმეში წარმოდგენილი სს „ლ. ბ-ის“ 2011 წლის 14 იანვრის პასუხით ირკვევა, რომ ბანკის საინფორმაციო ბაზაში ი. კ. ი-ის ან მისი სახელით უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ შპს „ა-ის“ სასარგებლოდ თანხების გადარიცხვა ვერ იქნა მოძიებული. სს „კ. ს. ბ-ის“ 2011 წლის 14 იანვრის პასუხით ბანკი იტყობინება, რომ ი. კ. ი-ი არ არის ბანკის კლიენტი და არც მის სასარგებლოდ არ არის განხორციელებული რაიმე ტიპის გადარიცხვა. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მართალია, სასამართლოს არ უთხოვია კ. ი-ის სასარგებლოდ განხორციელებული გადარიცხვების შესახებ ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, ბანკის მიერ წარდგენილ იქნა შპს „ა-ის“ ამონაწერები საბანკო ანგარიშიდან, რომლითაც შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების დადგენა, რომ შპს „ა-ს“ არ მიუღია რაიმე თანხა აპელანტისაგან მოცემულ ბანკში არსებულ შპს „ა-ის“ ანგარიშზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოე-



ბების გათვალისწინებით აშკარა იყო, რომ მოცემულ დავაში, მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი წილი მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება. ამდენად, მისი მოთხოვნა გადახდილი თანხის უკან დაბრუნების თაობაზე უსაფუძვლო იყო.

რაც შეეხებოდა მოსარჩელის მოთხოვნას, ხელშეკრულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრების შესახებ, სააპელაციო სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებაზე, რომ პირგასამტეხლო სამოქალაქო კოდექსის 153-ე მუხლის თანახმად, აქცესორულ უფლებას წარმოადგენს, და ვინაიდან ამ შემთხვევაში არ არსებობდა ძირითადი თანხის დაკისრების საფუძველი, შესაბამისად არ არსებობდა არც პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძველი.

სააპელაციო სასამართლომ განჩინებაზე ი. კ. ი-იმ შეიტანა საკასაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არასწორი შეფასება მისცეს როგორც სარჩელის შინაარსს, ისე საქმეზე წარდგენილ მტკიცებულებებს. მათ არ გაითვალისწინეს ის გარემოება, რომ მოპასუხეს არ წარუდგენია ამ მტკიცებულებების გამაქარწყლებელი მტკიცებულებები;

სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ სარჩელის ერთი მოთხოვნაზე და უგულებელყო სხვა მოთხოვნები, კერძოდ: მოთხოვნა მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს სახით 45000 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ, ასევე, მოთხოვნა შპს „მ. კ. კ-ისათვის“ 200000 აშშ დოლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურებაზე, ხელშეკრულების საგნის უფლებრივი ნაკლის და ნასყიდობის საგნის ღირებულების შემცირების გამო;

სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ ბანკის წერილებს და არ გაიზიარა ის გარემოება, რომ მოწინააღმდეგე მხარის მიერ მოსარჩელისათვის მითითებული საბანკო ანგარიშის სს „ს. ბ-ში“ არსებობა-არარსებობის გამო მტკიცების ტვირთის გადატანა მოსარჩელეზე, არასწორი იყო, რადგან უცხო ქვეყნის მოქალაქე ისმაილ კ. ი-ი ხელშეკრულების მე-5 მუხლის შესაბამისად იღებს წერილობით ნებართვას თანხის მესამე პირზე ჩარიცხვის შესახებ, სადაც მითითებულია ბანკი და ანგარიში, რომელზეც უნდა მოახდინოს მან თანხის პირველი ეტაპის გადარიცხვა. მოსარჩელემ კეთილსინდისიერად მოახდინა ამ მოქმედების განხორციელება, გადარიცხვის ქვითრები წარუდგინა მოპასუხეს, რის დასა-

დასტურებლადაც საქმეში წარდგენილია 2008 წლის 14 და 29 მაისის წერილები. საქმის სასამართლოში განხილვის დროს მოსარჩელე გეზულობს, რომ ასეთი ანგარიში მშენებელს საერთოდ არ ჰქონია მოპასუხის მიერ მითითებულ ბანკში. გაურკვეველია სასამართლოს მხრიდან მითითებული გარემოებების შეფასების დროს მტკიცების ტვირთის მოსარჩელეზე გადატანა. რაც შეეხება სს „ბ-ის“ პასუხს, სასამართლომ არც ის შეაფასა რეალურად, რადგან მოძიებულ პასუხში მითითებული შპს „ა-ის“ ანგარიში და მოპასუხის წერილში მითითებული მშენებლის ანგარიში არც აქ არ არის იდენტიური;

მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებითი პირობა იყო თანხის გადახდა. თანხის გადახდის ფაქტი დადასტურდა მოპასუხის წერილებით, ასევე მესამე პირის (მშენებლის) წერილით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ი. კ. ი-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 21 დეკემბერს ი. კ. ი-ისა და შპს „მ. კ. კ-ის“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება მშენებარე საოფისე ფართზე საკუთრების უფლების გადაცემის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, შპს „მ. კ. კ-ის“ 2009 წლის 5 თებერვლამდე ი. კ. ი-ისათვის უნდა გადაეცა ქ.თბილისში, თ-ისა და გ.წ-ის ქუჩის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე აშენებული შენობის ორი სართული დასრულებული რემონტით, აგრეთვე, შენობის ქვეშ მდებარე დახურული ავტოსადგომი ოთხი ავტომანქანის პარკირებისათვის. მითითებული ფართის საკუთრებაში გადაცემის საწესდოდ, ი. კ. ი-ის შპს „მ. კ. კ-ისათვის“ უნდა გადაეხადა 900000 აშშ დოლარი ხელშეკრულებით განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად. ხელშეკრულების 5.1 პუნქტით, ასევე მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მყიდველს შეეძლო, ნასყიდობის ფასი ჩაერიცხა მესამე პირის საბანკო ანგარიშზე;

ი. კ. ი-ის შპს „მ. კ. კ-ისათვის“ ხელშეკრულებით გათვალის-

წინებული თანხა არ გადაუხდია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს დაუშვა, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება და მატერიალური სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

განსახილველ შემთხვევაში, კასატორის პრეტენზია მდგომარეობს იმაში, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა მოსარჩელის მიერ სასამართლოსათვის წარდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ მოპასუხისათვის 750000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტს. კასატორის მოსაზრებით, თანხის გადახდის ფაქტი დასტურდებოდა მოპასუხის 2008 წლის 29 მაისის წერილით, ასევე მესამე პირის – შპს „ა-ის“ დირექტორის 2009 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ შპს „მ. კ. კ-ის“ დირექტორი მ.რ-ი 2008 წლის 29 მაისის წერილით ი. კ. ი-ის უდასტურებს, რომ მათ შორის 2007 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული №1-5137 ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მიხედვით, შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე პირველად ჩაირიცხა 300000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. ამავე წერილით შპს „მ. კ. კ-ს“ დირექტორი ადასტურებს ასევე, რომ საზოგადოების 2008 წლის 14 მაისის წერილის საფუძველზე, შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე მეორედ ჩაირიცხა 200000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

ზემოხსენებული წერილი სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია მოსარჩელის მიერ თანხის გადახდის დამადასტურებელ მტკიცებულებად იმ საფუძველით, რომ დასახელებული წერილით მოპასუხე არ ადასტურებდა მოსარჩელის მიერ მოპასუხის წინაშე არსებული ვალდებულების შესრულებას. აღნიშნულ მოსაზრებას საკასაციო სასამართლო არ იზიარებს და მიიჩნევს, რომ შპს „მ. კ. კ-ის“ დირექტორის 2008 წლის 29 მაისის წერილი წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შესრულების მიღების დამადასტურე-

ბელ დოკუმენტს, რომელიც მოვალის – ი. კ. ი-ის მოთხოვნით გასცა კრედიტორმა – შპს „მ. კ. კ-იმ“. ამ დოკუმენტით მოპასუხე ნათლად და გარკვევით ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მოსარჩელემ შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხა 500000 აშშ დოლარი. ამდენად, ი. კ. ი-იმ, შპს „მ. კ. კ-ის“ მოთხოვნის საფუძველზე, შეასრულა ამ უკანასკნელის ვალდებულება შპს „ა-ის“ წინაშე, რაც შეესაბამება სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის დანაწესს, რომლის მიხედვით, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. ზემოხსენებული თანხა, 2007 წლის 21 დეკემბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მშენებარე ფართის ღირებულებას, რომელიც მოსარჩელეს უნდა გადაეხადა მოპასუხისათვის ან მისივე დავალებით ჩაერიცხა მესამე პირის საბანკო ანგარიშზე, რაც მიიჩნეოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებად. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე თავისი 2008 წლის 29 მაისის წერილით ადასტურებს მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტს. ეს წერილი, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სათანადო მტკიცებულებას წარმოადგენს მოსარჩელის მიერ მითითებული იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული 500000 აშშ დოლარი, მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ჩარიცხა შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე. აქედან გამომდინარე, ვინაიდან მითითებული წერილი წარმოადგენს კრედიტორის მიერ გაცემულ შესრულების მიღების დამადასტურებელ დოკუმენტს, ამიტომ მოსარჩელე არაა ვალდებული, დამატებით წარმოადგინოს 500000 აშშ დოლარის საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

მოპასუხის შესაგებელი 2008 წლის 29 მაისის წერილთან დაკავშირებით ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ასეთი შინაარსის დოკუმენტი შეცდომით გაიცა, კერძოდ, შპს „ა-ის“ მიერ მონო-დებული არასწორი ინფორმაციის საფუძველზე, რაც მოპასუხემ მოგვიანებით შეიტყო. სინამდვილეში, მოსარჩელეს არ ჩაურიცხავს 500000 აშშ დოლარი შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითებული გარე-

მოების დამტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, რომლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზეც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან მოპასუხე თავის შესაგებელს ამყარებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო წერილი შეცდომით გასცა, სინამდვილეში კი, მოსარჩელეს შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე 500000 აშშ დოლარი არ ჩაურიცხავს, ცხადია, რომ ეს გარემოება სწორედ მან უნდა ამტკიცოს. ამ გარემოების დასადასტურებლად, მოპასუხე უთითებს საბანკო დაწესებულებებიდან სასამართლოს მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაზე, რომლითაც, მისი მოსაზრებით, დასტურდება, რომ მოსარჩელეს შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე 500000 აშშ დოლარი არ ჩაურიცხავს. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოპასუხის მიერ მითითებული მტკიცებულებით (ბანკის ინფორმაციით), შეიძლება დადასტურდეს ზემოხსენებული სადავო გარემოება, მაგრამ თავად ეს მტკიცებულება სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა, ამიტომ საჭიროა სადავო გარემოების დამატებით გამოკვლევა, რაზედაც საკასაციო სასამართლოს ქვემოთ ექნება მსჯელობა.

სადავო თანხიდან (750000 აშშ დოლარიდან) დარჩენილი 250000 აშშ დოლარის შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელე უთითებს მოპასუხის 2008 წლის 29 მაისის წერილზე და შპს „ა-ის“ დირექტორის 2009 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათზე. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოხსენებული გარემოება არ დასტურდება მოპასუხის 2008 წლის 29 მაისის წერილით, ვინაიდან ამ წერილში 250000 აშშ დოლარის გადახდაზე არაფერია ნათქვამი, პირიქით, მითითებული წერილით მოპასუხე მოსარჩელეს თხოვს, რომ 200000 აშშ დოლარი 2008 წლის 16 ივნისამდე ჩარიცხოს შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე და წარმოადგინოს საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი. სადავო გარემოების დამადასტურებელ საკმარის მტკიცებულებად ვერ იქნება მიჩნეული ასევე შპს „ა-ის“ დირექტორის 2009 წლის 6 ოქტომბრის მოხსენებითი ბარათი, ვინაიდან მხარეთა შორის 2007 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული ხელშეკრულების 5.1 პუნქტის მიხედვით, გამყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, მყიდველის მიერ მესამე პირის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია, გამყიდველს წარუდგინოს საბანკო გადარიცხვის დამადასტურე-

ბელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, თანხა გადახდილად არ მიიჩნევა. ამდენად, სადავო 250000 აშშ დოლარის შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი.

სასამართლომ, მოსარჩელის შუამდგომლობის საფუძველზე, სს „კ. ს. ბ-დან“ და სს „ლ. ბ-დან“ გამოითხოვა ინფორმაცია სადავო თანხის გადარიცხვის თაობაზე. საქმეში წარმოდგენილია ხსენებული ბანკების წერილები, რომელთა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო თანხა (750000 აშშ დოლარი) მოსარჩელეს შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშზე არ ჩაურიცხავს. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ზემოხსენებული წერილები შეიცავს მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციას და ამომწურავად არ პასუხობს კითხვას, ჩარიცხა თუ არა მოსარჩელემ მოპასუხის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშებზე სადავო თანხა. საქმეში წარმოდგენილია შპს „მ. კ. კ-ის“ დირექტორის 2007 წლის 25 დეკემბრის, 2008 წლის 14 და 29 მაისის წერილები, რომლებითაც მოპასუხე, ხელშეკრულების შესაბამისად, წერილობით მითითებებს აძლევს მოსარჩელეს შპს „ა-ის“ საბანკო ანგარიშებზე სადავო თანხის ჩარიცხვის თაობაზე. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სწორედ ზემოხსენებულ წერილებში მითითებული საბანკო რეკვიზიტების გათვალისწინებით უნდა გამოეთხოვა ინფორმაცია სასამართლოს. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ საბანკო დაწესებულებებიდან გამოითხოვა მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია და თავის განჩინებაში არ დააზუსტა ის საბანკო რეკვიზიტები, რომლებიც ზემოხსენებულ წერილებშია მითითებული. საყურადღებოა, რომ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელე ვალდებული იყო, თანხა ჩაერიცხა მოპასუხის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე, ამ უკანასკნელის მიერ მითითებული მესამე პირის საბანკო ანგარიშებზე. აქედან გამომდინარე, სადავო საკითხის სწორად გადასაწყვეტად, მნიშვნელოვანია სწორედ იმ საკითხის გარკვევა, ჩარიცხა თუ არა მოსარჩელემ სადავო თანხა მოპასუხის მიერ მითითებული მესამე პირის საბანკო ანგარიშებზე. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შეუძლებელია ბანკიდან მიღებული ინფორმაციით, სააპელაციო სასამართლომ, ზემოხსენებულ გარემოებათა გათვალისწინებით, უნდა უზრუნველყოს ბანკიდან დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავე კოდექსის 394-ე მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა.

აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სამოტივაციო ნაწილი წარმოადგენს გადაწყვეტილების იურიდიულ დასაბუთებას. სასამართლოს გადაწყვეტილება სამართლებრივ საფუძველს უნდა დაემყაროს. სასამართლომ უნდა მიუთითოს იმ მატერიალურ სამართლებრივ ნორმებზე, რომლებითაც დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები იურიდიულად ფასდება.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ არც პირველი და არც სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს სადავო ურთიერთობა სამართლებრივად არ შეუფასებია, კერძოდ, გააჩივრებულ გადაწყვეტილებაში არაა მოცემული მხარეთა შორის არსებული დავის იურიდიული შეფასება (გადაწყვეტილება არ შეიცავს მითითებას იმ კანონებზე, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა). ეს გარემოება გამორიცხავს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიერ გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აბსოლუტური საფუძველი. საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ კანონის მოთხოვნათა დაცვით



უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოებები და სადავო ურთიერთობა იურიდიულად შეაფასოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას უნდა გადანყვეტიოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ი. კ. ი-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 5 ივლისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# საქმის წარმოების შეწყვეტა

## ბანჩინება

№ას-202-195-2013

17 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ნ. ზ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 16100 აშშ დოლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ. ზ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ნ. ზ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ზ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

2013 წლის 4 აპრილს მ. კ-მა, რომელიც ამ საქმეში არ წარმოდგენს მხარეს, განცხადებით მიმართა საკასაციო პალატას და მოითხოვა საქმის წარმოების შეჩერება.

2013 წლის 17 სექტემბერს ნ. ზ-ას წარმომადგენელმა მ. კ-ამ განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და აღნიშნა, რომ ნ. ზ-ა უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე.

### სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ნ. ზ-ას წარმომადგენელ მ. კ-ას განცხადების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11

იენისის გადაწყვეტილებით ლ. ქ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე ნ. ზ-ას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 16100 აშშ დოლარის გადახდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინებით ნ. ზ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ნ. ზ-ამ და მოითხოვა მისი გაუქმება.

2013 წლის 17 სექტემბერს ნ. ზ-ას წარმომადგენელმა მ. კ-ამ განცხადებით მომართა საკასაციო პალატას და აღნიშნა, რომ ნ. ზ-ა უარს ამბობს საკასაციო საჩივარზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. ზ-ას წარმომადგენელ მ. კ-ას განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს და კასატორს უნდა დაუბრუნდეს მის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1335,90 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მ. კ-ის შუამდგომლობას საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იგი უნდა დარჩეს განუხილველად, ვინაიდან საკასაციო საჩივარზე უარის თმის გამო, საქმის წარმოება მოცემულ საკასაციო საჩივარზე შეწყდა, შესაბამისად, აღარ არსებობს აღნიშნული შუამდგომლობის განხილვის სამართლებრივი საფუძველი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 378-ე მუხლის მეორე ნაწილით და

## დაადგინა:

1. შეწყდეს საქმის წარმოება ნ. ზ-ას საკასაციო საჩივარზე ლ. ქ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე.
2. ნ. ზ-ას (პირადი ნომერი №...) დაუბრუნდეს მის მიერ 2013 წლის 11 მარტს №1 საგადახდო დავალებით გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 1335,90 ლარის ოდენობით შემდეგი ანგარიშიდან: ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 3 0077 3150.
3. მხარეებს განემარტოთ, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 დეკემბრის განჩინების გასაჩივრება საკასაციო წესით აღარ დაიშვება.
4. მ. კ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე დარჩეს განუხილველად.
5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქმის წარმოების შეწყვეტა

### განჩინება

№ას-684-650-2013

31 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

მოსამართლე: თეიმურაზ თოდრია

**დავის საგანი:** მესაკუთრედ ცნობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ტის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ვ. ე-ი ცნობილ იქნა თ. ე-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების – ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №22ა-ში მდებარე ბ. №19 (საკადასტრო კოდი №...) 177კვ.მ-დან 27.2კვ.მ ფართის მესაკუთრედ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივ-

რეს ვ. ე-მა, თ. ე-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით ვ. ე-სა და თ. ე-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ე-მა, თ. ე-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ივლისის განჩინებით კასატორებს დაევაღათ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საკასაციო საჩივრის საგნის (ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №22ა-ში მდებარე №19 ბინის 27.2კვ.მ) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისი და შეესაბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ვ. და თ. ე-მა განცხადებით მომართეს საკასაციო პალატას და აღნიშნეს, რომ უარს ამბობენ საკასაციო საჩივარზე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ვ. ე-სა და თ. ე-ის განცხადებების საფუძვლიანობა და თვლის, რომ მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „ტ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა. ვ. ე-ი ცნობილ იქნა თ. ე-ის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონების – ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №22ა-ში მდებარე ბინა №19 (საკადასტრო კოდი №...) 177კვ.მ-დან 27.2კვ.მ ფართის მესაკუთრედ.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ე-მა, თ. ე-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინებით ვ. ე-სა და თ. ე-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ვ. ე-მა, თ. ე-მა და მოითხოვეს მისი გაუქმება.

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 ივლისის განჩინებით კასატორებს დაევაღათ განჩინების ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში საკასაციო საჩივრის საგნის (ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №22ა-ში მდებარე №19 ბინის 27.2კვ.მ) საბაზრო ღირებულების დამადასტურებელი დოკუმენტისი და შე-

საბამისად გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ქვითრის წარმოდგენა.

ვ. და თ. ე-მა განცხადებით მომართეს საკასაციო პალატას და აღნიშნეს, რომ უარს ამბობენ საკასაციო საჩივარზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საქმის განხილვა საკასაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რომლებიც დადგენილია სააპელაციო სასამართლოში საქმეთა განხილვისათვის, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომელთაც ეს თავი შეიცავს. ამავე კოდექსის 378-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო საჩივარზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, რის შედეგადაც მხარეს ერთმევა უფლება, კვლავ გაასაჩივროს სასამართლოს გადწყვეტილება სააპელაციო წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვ. ე-სა და თ. ე-ის განცხადება საკასაციო საჩივარზე უარის თქმის შესახებ უნდა დაკმაყოფილდეს და მოცემულ საკასაციო საჩივარზე საქმის წარმოება უნდა შეწყდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე მუხლით, 378-ე მუხლის მეორე ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შეწყდეს საქმის წარმოება ვ. ე-სა და თ. ე-ის საკასაციო საჩივარზე შპს „ტ-ის“ მიმართ მესაკუთრედ ცნობის შესახებ.

2. მხარეებს განემარტოთ, რომ მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 7 მაისის განჩინების გასაჩივრება საკასაციო წესით აღარ დაიშვება.

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საქმის წარმოების განახლების საფუძვლები

## განჩინება

№ას-521-490-2012

5 ივლისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება, აღსრულების შებრუნება, უძრავი ნივთის მფლობელობიდან გამოთხოვა, ბინაში შესახლება

### აღწერილობითი ნაწილი:

ნ. ლ-მ სარჩელი აღძრა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოში მოპასუხეების: ო. ხ-სა (შემდგომში ო. ს-ი) და ი. ხ-ის მიმართ (დაზუსტებული მოთხოვნის თანახმად) ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული 16,40 კვ.მ №27 ოთახის გამოყოფის მოთხოვნით. ამავე სასამართლოს წარმოებაში იმყოფებოდა ტ. ს-ს, ო. ს-ისა და ი. ხ-ის სარჩელი მოპასუხეების: ნ. ლ-ს, მ. ლ-სა და ნ. კ-ის მიმართ (დაზუსტებული მოთხოვნის თანახმად) აღსრულების შებრუნების, მოპასუხეების ბინიდან გამოსახლებისა და ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული №25, №26, №28 ოთახებში მათი შესახლების მოთხოვნით.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 11 ნოემბრის განჩინებით სარჩელები გაერთიანდა ერთ წარმოებად.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს შეგებებული სარჩელით მიმართა ო. ს-მა ნ. ლ-ს მიმართ იდეალური წილის შესაბამისად საცხოვრებელი ფართის რეალური წილის, მათ შორის, ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე შენობა-ნაგებობების საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული 16.40 კვ.მ ფართის №27 და 9.06 კვ.მ ფართის №30 ოთახების ო. ს-ისათვის გამოყოფის მოთხოვნით.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს

2004 წლის 19 მარტის გადაწყვეტილებით ნ. ლ-ს სარჩელი ო. და ი. ხ-ების მიმართ დაკმაყოფილდა, ნ. ლ-ს მისი კუთვნილი 1/4 იდეალური წილის საფუძველზე ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში რეალურად საკუთრებაში გამოეყო აღნიშნული შენობის საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი ლიტერ „ა“ მეორე სართულზე 16.40 კვ.მ ფართის №27 საცხოვრებელი ოთახი, ო. ს-ის შეგებებული სარჩელი ნ. ლ-ს მიმართ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ო.ს-ს მისი კუთვნილი 2/4 იდეალური წილის საფუძველზე ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში რეალურად საკუთრებაში გამოეყო ამ შენობის საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული ლიტერ „ა-ს“ პირველ სართულზე მდებარე №18 – 9/52 კვ.მ, №19 – 8.99 კვ.მ და მეორე სართულზე №30 – 9.06 კვ.მ საცხოვრებელი ოთახები, შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს შენობის საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული 16.40 კვ.მ №27 საცხოვრებელი ოთახის გამოყოფაზე ეთქვა უარი, ტ. ს-ს, ო. ხ-ს-ის, ი. ხ-ის სარჩელი ნ. ლ-ს, მ. ლ-სა და ნ. კ-ის მიმართ №25, №26, №28 ოთახებში შესახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ტ. ს-მ, ი. ხ-მა და ო. ხ-ს-მა, მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით მათი სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ლ-ს სარჩელი ო. და ი. ხ-ების მიმართ საზიარო უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ო. ხ-ს-ის შეგებებული სარჩელი ნ. ლ-ს მიმართ საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ტ. ს-ს, ო. ხ-ს-ისა და ი. ხ-ის სარჩელი მ. ლ-ს, ნ. ლ-ს და ნ. კ-ის მიმართ აღსრულების შებრუნების, მოპასუხეების ბინიდან გამოსახლებისა და ბინაში მათი შესახლების შესახებ.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში 2010 წლის 15 მარტს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებით, რომლითაც ტ. ს-ს, ო. ხ-ისა და ი. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაუშვებლობის გამო განუხილველად იქნა დატოვებული.

2011 წლის 26 აგვისტოს ო. ს-მა, ტ. ს-მ და ი. ხ-მა განცხადე-

ბით მიმართეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების ბათილობა მოითხოვეს. განცხადების არსებითად განხილვის ეტაპზე, განმცხადებელმა მოთხოვნა დააზუსტა და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტის გაუქმება და საქმის წარმოების განახლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის განჩინებით ო. ს-ის, ტ. ს-სა და ი. ხ-ის განცხადება სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ განმცხადებლებს არ შეუცვლიათ მოთხოვნის საფუძველი, ისინი ახლად აღმოჩენილ გარემოებად იმთავითვე უთითებდნენ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ იმ გადაწყვეტილების გაუქმებას, რომელიც საფუძველად დაედო სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებას. განმცხადებლების მოთხოვნა ფორმულირებული იყო, როგორც გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილობა, თუმცა, იგი, თავისი არსით, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას გულისხმობდა. სასამართლოს განმარტებით, საქმის წარმოების განახლების საფუძვლების არსებითად შემოწმება არ ხორციელდება საქმის მოსამზადებელ ეტაპზე. მოთხოვნის საფუძვლების ფაქტობრივი და სამართლებრივი შეფასება ხდება საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე, შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებად მითითებული საფუძვლის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა თუ ბათილობის სამართლებრივ წინაპირობად მიჩნევა სამართლებრივი შეფასების საკითხი და, შესაბამისად, საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება. სასამართლო შეზღუდული არ არის განმცხადებლის მიერ მითითებული ფაქტების სამართლებრივი შეფასებით, თუმცა, აღნიშნული საქმის არსებითად განხილვის საგანია და არა მოსამზადებელ ეტაპზე გადასაწყვეტი საკითხი. ახლად აღმოჩენილ გარემოებად განმცხადებლებმა მიუთითეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ო. ს-ის საკუთრება დარეგისტრირდა 1/12 ნაწილზე, ნ. ლ-სა და მ. ლ-ს საკუთრება -1/



3 ნაწილზე, დ. კ-ის – 1/2 ნაწილზე, ი. ხ-ის – 1/24 ნაწილზე, ხოლო ნ. ლ-ს საკუთრება – 1/24 ნაწილზე. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა შემდეგი: განმცხადებლების არგუმენტაცია ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე ემყარება იმას, რომ, განმცხადებლების განმარტებით, სარეგისტრაციო სამსახურმა დადასტურებულად ცნო კონკრეტულ ოთახებზე საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უკანონობა, რადგან ასეთი საკუთრების უფლების დამდგენი დოკუმენტი საჯარო რეესტრსა და ტექ.ბიუროს არქივს არ გააჩნია. სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერების ურთიერთშედარებით (2009 წლის 25 თებერვლისა და 2011 წლის 25 ივლისის) დასტურდება საჯარო რეესტრის ჩანაწერში მესაკუთრეების იდეალური წილების უცვლელად დატოვების ფაქტი, არ დასტურდება რეალური წილების ცვლილება. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ 2011 წლის 25 ივლისის მომზადებულ ამონაწერში არ არის მითითებული იდეალური წილების შესაბამისი რეალური წილები. აღნიშნული არ გულისხმობს იმას, რომ რეალური წილების მიუთითებლობით შეიცვალა მესაკუთრეთა საკუთრებაში არსებული რეალური ფართები, მით უმეტეს, არ დასტურდება, რომ სადავო №25, №26, №28 და №281 ოთახები აღარ წარმოადგენს ნ. ლ-სა და მ. ლ-ს საკუთრებას. პალატის განმარტებით, ო. ს-ის, ტ. ს-ს, ი. ხ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო თბილისის სააპელაციო პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა საფუძვლიანი და დასაბუთებული, თუ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებით დადგენილად იქნებოდა მიჩნეული 2009 წლის 23 აპრილის მდგომარეობით არსებული ჩანაწერის უზუსტობა, კერძოდ, სადავო ოთახების კუთვნილების ფაქტის უსწორობა ნ. ლ-სა და მ. ლ-სათვის და დადასტურებული იქნებოდა გადაწყვეტილების მიღების დროისათვის აღნიშნულ ოთახებზე განმცხადებლების საკუთრების უფლება. პალატის მოსაზრებით, საჯარო რეესტრის არსებულ ამონაწერში რეალური წილების მიუთითებლობა არ ადასტურებს აღნიშნული ჩანაწერის უსწორობის ფაქტს და, მით უფრო, არ ნიშნავს იმას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტი-

ლების მიღების ეტაპზე სადავო ოთახებზე შეცდომით იყო რეგისტრში ნ. ლ-სა და მ. ლ-ს საკუთრების უფლება დარეგისტრირებული და დღეის მდგომარეობით, ვინაიდან იდეალური წილები დაკონკრეტებული არ არის, ამიტომ აღნიშნული ოთახები აღარ ეკუთვნიან ნ. ლ-სა და მ. ლ-ს.

სააპელაციო პალატის განჩინებაზე კერძო საჩივარი შეიტანეს ო. ს-მა, ტ. ს-მ და ი. ხ-მა, მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლების თაობაზე მათი განცხადების განხილვა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატის განჩინების გამოტანის თარიღი არასწორია, რადგანაც საქმე 2011 წლის ნაცვლად 2012 წელს არის განხილული. გასაჩივრებული განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, არ განიხილა საქმის მასალები, არ გამოიკვლია შეგებებული სარჩელის საფუძვლიანობა და მიიღო არასწორი გადაწყვეტილება, რადგანაც, კალინინის რაიონის სასამართლოს 1970 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით კერძო საჩივრის ავტორებს მ. ხ-ს კუთვნილი სახლიდან გამოეყოთ სამი ოთახი მუდმივი სარგებლობის უფლებით, ხოლო სამზარეულო და სხვა სათავსები დარჩა საერთო სარგებლობაში, ტ. ს-ა 16 წლის ასაკიდან რეგისტრირებულია და ცხოვრობს სადავო სახლში. 1992 წლის 22 აგვისტოს მ. ლ-მ და ნ. ლ-მ შეიძინეს სადავო სახლის 1/2-ის 1/6-1/6 წილი და სწორედ ამ ხელშეკრულებით მოითხოვეს კერძო საჩივრის ავტორების გამოსახლება სადავო ფართიდან, მაშინ, როდესაც არ იყო გარკვეული და არც ამჟამადაა დადგენილი თუ სად მდებარეობს სახლის 1/6 წილი. 1992 წლის აგვისტოდან მოყოლებული საცხოვრებელი სახლის №18, №181, №19 და №191 ოთახები, ასევე სამეურნეო დანიშნულების ფართი დაკავებული აქვთ ხ-ების ოჯახს და მიიჩნევენ, რომ სარგებლობენ ე.წ „ატსტუპნიკის“ უფლებით, გაურკვეველია სასამართლომ რატომ არ მიიჩნია, რომ ლ.-ლ-ს საკუთრება სწორედ ამ ფართზე ვრცელდებოდა, მაშინ, როდესაც ეს პირები სადავო ქონების მესაკუთრებიც არ არიან, სასამართლოს აღნიშნული საკითხი არ გამოუკვლევია და სამართლებრივად არ შეუფასებია. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ კერძო საჩივრის ავტორების სადავო ფართიდან გამოსახლების საფუძველი სააღსრულებო ფურცელი გახდა, რომელსაც საფუძვლად სასამართლო გადაწყვეტილება არ ედო, რაც ამ სააღსრულებო ფურცლის ანუღირების საფუძველი გახდა. სწორედ ამის გამო მოითხოვა ნ. ლ-მ მოდავე მხარეთა ბინიდან გამოსახლება, რაც

დაკმაყოფილდა, თუმცა მოგვიანებით ეს გადაწყვეტილება გაუქმდა და ლ.-ლ.-კ-ს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული საქმე გაერთიანდა მოცემულ (№283-06) საქმესთან, სადაც შეფასება არ მიცემია იმ გარემოებას, რომ კერძო საჩივრის ავტორების ბინიდან გამოსახლებაზე უარის თქმის საფუძველი სასამართლო გადაწყვეტილებით მათი შესახებ არაა. არასწორია სააპელაციო პალატის მითითება, რომ №25, №26 და №28 ოთახებზე ლ.-ლ.-კ-ის უფლება არ დასტურდება, მაშინ, როდესაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმა გაასწორა დაშვებული შეცდომა და საკუთრების უფლების რეგისტრაცია განხორციელდა იდეალური წილების შესაბამისად, აღნიშნულის მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, მოქმედებს უტყუარობის პრეზუმფცია და სააპელაციო პალატა არ იყო უფლებამოსილი მიეთითებინა, თითქოს ზემოაღნიშნულ ოთახებზე ამ პირთა საკუთრება არ დასტურდებოდა. აღსრულების შებრუნების საკითხის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ სწორედ სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის საფუძველზე არ დააკმაყოფილ სარჩელი და განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ჩანაწერის უტყუარობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, არ არსებობდა აღსრულების შებრუნების საკითხის დაკმაყოფილების წინაპირობა, ხოლო საქმის წარმოების განახლებაზე უარის თქმის ეტაპზე პალატამ სხვაგვარად განმარტა ზემოაღნიშნული, მაშინ, როდესაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლიდან გამომდინარე, განხორციელდა საჯარო რეესტრის მიერ დაშვებული უსწორობის გასწორება. სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლ.-ლ-ს საკუთრება სადავო ოთახებზე საჯარო რეესტრის ჩანაწერით არ დასტურდება, დასტურდება ის გარემოება, რომ ეს ოთახები სწორედ ის ოთახებია, საიდანაც კერძო საჩივრის ავტორები გამოსახლდნენ და მათ ამ ფართზე სარგებლობის უფლება 1970 წლის 30 ივლისის გადაწყვეტილებით მიენიჭათ. ბ-ის ქ. №45-ში ო. ს-სა და ი. ხ-ს 1993 წლის 24 სექტემბერს მამის სამკვიდროს მიღების გზით მიენიჭათ უფლება მთელი საცხოვრებელი სახლის 1/6 ნაწილზე, მემკვიდრეობა ამავე წილში მიიღო ი. ხ-მა, აღნიშნულით სახლის 1/6 ნაწილზე მხარეთა უფლება გადანაწილდა შემდეგნაირად: 1/4-1/4 ნაწილი ი. ხ-სა და ი. ხ-ს, ხოლო 2/4 – ო. ს-ს. მთანმინდის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ხ-ს 1/6 იდეალური წილის შესაბამისად გამოეყო რეალური წილი: №18, №19, №27, №30, №31 საცხოვრებელი ოთახები, ასევე №181, №191,

№271, №311 დამხმარე სათავსები. 1992 წლის 22 ივნისს ლ. ხ-ს წარმომადგენელ მ.კ-სა და ნ. ლ-ს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება და ნ.ლ-მ შეიძინა სადავო სახლის 1/24 წილი. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლ.ხ-მ გაყიდა სახლის 1/24 წილი და არა სამკვიდრო მონაწილად მის მიერ მიღებული 1/6 წლის 1/4, ანუ სამკვიდრო მასაში არ არის შესული 98,02 კვ.მ სამეურნეო ფართი, რომლის 1/4 წილიც გასხვისებულ იქნა ლ.ხ-ს მიერ. ამდენად, ირკვევა, რომ ლ.ხ-მ გაყიდა იდეალურ წილში 7 კვ. მეტრამდე მეტი ფართი, ვიდრე მან მემკვიდრეობით მიიღო. სარეგისტრაციო ჩანაწერი არასწორია, რადგანაც მართალია 1/24 სახლის 1/6-ის 1/4 წილია, თუმცა აღნიშნული დოკუმენტალურად არ არის იდენტიფიცირებული, რაც ასევე დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი 2008 წლის 15 დეკემბრის საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით. გ. ხ-ის სამკვიდროზე 1992 წლის 14 ივლისის გაცემულ სამკვიდრო მონაწილეობაში არ არის აღნიშნული თუ რომელ ფართს წარმოადგენს მამკვიდრებლის კუთვნილი 1/6 წილი, მაშინ, როდესაც სასამართლოს 1992 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით გ.ხ-ს მისი 1/6 იდეალური წილის შესაბამისად, გამოეყო რეალური წილი კონკრეტული ოთახების მითითებით, სასამართლო გადაწყვეტილება, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული არ შეიცავს მითითებას ბ-ის ქ. №45-ში მდებარე სახლის რა ფართის მესაკუთრე გახდა კონკრეტული ოთახების მიხედვით გ.ხ-ი ან სხვა მესაკუთრეები. აღნიშნული ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება არ ასახავს სადავო სახლში თითოეული მესაკუთრის კონკრეტულ რეალურ წილს. 2009 წლის 23 ივლისამდე გაცემული საჯარო რეგისტრის ამონაწერის თანახმად, ნ. ლ- იყო ბ-ის ქ. №45-ში მდებარე სახლის №18, №19, №27, №30 და №31 საცხოვრებელი ფართის, №181, №191, №311 და №271 ოთახებისა და 1/4 წლის მესაკუთრე. აღნიშნული ჩანაწერები გაკეთებულია იმგვარად, რომ არ არსებობს მისი დამადასტურებელი იურიდიული დოკუმენტები, ამდენად, ნ.ლ-ს საკუთრებად უნდა აღირიცხოს არა გ.ხ-ისათვის 1992 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით მიკუთვნებული წილის შესაბამისი ოთახები, არამედ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით გადაცემული 1/24 იდეალური წილი. არასწორია ასევე 1993 წლის 24 სექტემბრის ჩანაწერი, რადგანაც მემკვიდრეობაზე მონაწილე მთელი საცხოვრებელი სახლის 1/6 წილზეა გაცემული, სარეგისტრაციო სამსახურის მიერ კი, რეგისტრაცია სასამართლოს 1992 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების საფუძველზეა გაცემული,

სადაც არაა აღნიშნული გ.ხ-ისათვის მიკუთვნებული 1/6 იდეალური წილი რა ფართისაგან შედგება, აღნიშნულის გამო ჩანაწერი გაუქმებასა და სამემკვიდრეო მოწმობის შესაბამისად რეგისტრაციას ექვემდებარება. თბილისის მერიის საქალაქო მმართველობის მთაწმინდის რაიონის გამგეობის 1994 წლის 20 ივნისის №4-08/435 განკარგულების შესაბამისად (რომელიც ტექ.ბიუროს მონაცემებში ინახება და სადაც საუბარია ქ.თბილისში, ბის ქ. №45-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილების შეტანის თაობაზე, ამასთან აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი არ არის გაუქმებული), კერძო საჩივრის ავტორებმა მიმართეს სარეგისტრაციო სამსახურს სარეგისტრაციო ჩანაწერებში ცვლილების განხორციელების მოთხოვნით, კერძოდ, 1993 წლის 14 სექტემბერის კანონისმიერი მემკვიდრეობის მოწმობის შესაბამისად სარეგისტრაციო ჩანაწერის გასწორებისა და სადავო სახლის 1/6 წილის 1/4-1/4 და 2/4 წილების შესაბამისად აღრიცხვის თხოვნით, რაც საბოლოოდ საჯარო რეესტრის მიერ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გარემოება კი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 243-ე მუხლიდან გამომდინარე, წარმოადგენდა სასამართლოსათვის მიმართვის საფუძველს. საქმის წარმოების განახლების შემთხვევაში უტყუარად იარსებებს აღსრულების შებრუნებისა და მონინააღმდეგე მხარის ბინიდან გამოსახლების მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ კერძო საჩივრის ავტორები არ არიან სადავო ფართის მესაკუთრედ საჯარო რეესტრში აღრიცხულნი, ამასთან, ვინაიდან დადასტურებულია სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები, სასამართლომ ლ.-ლ.-კ-ის სარჩელს სწორედ ამ საფუძველით უთხრა უარი დაკმაყოფილებაზე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძველების ანალიზის, საქმის მასალების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემომწმების შედეგად მიიჩნევს, ო. ს-ის, ი. ხ-ისა და ტ. ს-ს კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის თანახმად, კერძო საჩივრების განხილვა ზემდგომ სასამართლოებში წარმოებს შესაბამისად ამ სასამართლოებისათვის გათვალისწინებული წესების დაცვით. ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს კერძო სა-

ჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველი საქმის მასალებით დადასტურებულია შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებები:

კალინინის რაიონის სასამართლოს 1970 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით შეწყდა ქორწინება გ. ნ-ის ძე ხ-სა და ტ. ტ-ის ასულ ს-ს შორის და ბინის ფართობი გაიყო შემდეგნაირად: ტ. ს-ს სამ შვილთან ერთად სარგებლობის უფლებით გამოეყო ოთახი №3 ფართით 18.40 კვ.მ, №4 ოთახი ფართით 16.64 კვ.მ და №5 ოთახი ფართით 12.55 კვ.მ, ხოლო დედა-შვილს გ. ხ-სა და მ. ხ-ს გამოეყო ოთახი №1 ოთახი ფართით 18.90 კვ.მ და №2 ოთახი ფართით 16.28 კვ.მ. სათავსები, სამზარეულო და გასასვლელი დარჩა საერთო სარგებლობაში;

1991 წელს სადავო სახლის 1/2 ნაწილი ბ-ის ქ. №45-ში თანაბარწილად ირიცხებოდა და-ძმების: ა. გ-ის, მ. ხ-სა და მ. გ-ის სახელზე (ანუ თითოეულზე 1/6 წილი). მ. გ-ს პირველი რიგის მემკვიდრე არ დარჩენია, მას დარჩა მეორე რიგის მემკვიდრეები: ა. გ-ი და მ. ხ-ა. ა-ს ძმის წილი არ მიუღია. ფაქტობრივი ფლობით მ. გ-ის 1/6 წილი მიიღო მ. ხ-მ და მისი წილი თანასაკუთრებაში განისაზღვრა 2/6-ით;

მთანმინდის რაიონის სასამართლოს 1992 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილებით ა. გ-ის ძე გ-ს, ი. ნ-ის ასულ ხ-სა და გ. ნ-ის ძე ხ-ს თბილისის მერიის საინვენტარიზაციო ბიუროს მიერ გაცემული საინვენტარიზაციო გეგმის საფუძველზე, მათი კუთვნილი ნახევარი სახლის თანაბარ წილში 1/3 იდეალური წილის შესაბამისად წილები გამოეყოთ რეალურად, კერძოდ: ა. გ-ს – საცხოვრებელი ოთახები №15, №16 და №4, №5 და №17 დამხმარე სათავსები; ი. ხ-ს – საცხოვრებელი ოთახები №25, №26, №28 საცხოვრებელი ოთახები და №28 დამხმარე სათავსი; გ. ხ-ს – საცხოვრებელი ოთახები №18, №19, №27, №30, №31 და №18, №19, №31 და №27 დამხმარე სათავსოები;

ქ. კ-ს მისი კუთვნილი სახლის 1/2 იდეალური წილის შესაბამისად №9, №12, №121, №14, №141, №20, №21, №23, №24 და №29 საცხოვრებელი ოთახები №1, №2, №3, №6, №9, №10, №11, №12, №13, №20, №22, №20 და №29 დამხმარე სათავსოებთან ერთად;

1992 წლის 22 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნ. ლ-მ და მ. ლ-მ ა. გ-ისა და ი. ხ-საგან შეიძინეს ბ-ის ქ. №45-ში მდებარე მთელი საცხოვრებელი სახლის 2/6 წილი, თანასწორ წილში თითოეულმა 1/6 წილი.

1993 წლის 29 იანვარს გარდაიცვალა გ. ნ-ის ძე ხ-ი.

1993 წლის 24 სექტემბრის კანონისმიერი მემკვიდრეობის უფლების მოწმობით მემკვიდრეებად ცნობილ იქნენ გარდაცვლილი გ. ნ-ის ძე ხ-ის მეუღლე – ლ. ი-ის ასული ხ-ა მამკვიდრებლის 1/4 წილზე, შვილები: ი. გ-ის ძე ხ-ი – 1/4 წილზე და ო. გ-ის ასული ს-ი – 2/4 წილზე.

1993 წელს გ. ხ-ის მემკვიდრეებმა, შვილებმა: ო. ს-მა და ი. ხ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში №1 სახელმწიფო სანოტარო კანტორის, ნ. ლ-სა და მ. ლ-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის უპირატესი შესყიდვის უფლების განხორციელების შესახებ. რაც არ დაკმაყოფილდა.

1992 წლის აგვისტოში, მას შემდეგ რაც ნ. ლ-მ ი. ნ-ის ასული ხ-საგან შეიძინა კერძო საკუთრება, იგი 1 წლის განმავლობაში უბნის ინსპექტორთან ერთად აკვირდებოდა, თუ ვინ ცხოვრობდა და აღნიშნულ ბინაში, რა ფართით და როგორ სარგებლობდა. მთანმინდის რაიონის შინაგან საქმეთა ქვეგანყოფილების უბნის ინსპექტორმა დ. ბ-მა სხვადასხვა დროს (31.12.91წ., 25.01.93წ., 27.03.93წ., 25.07.93წ.) შეადგინა სათანადო აქტები, რომლითაც დოკუმენტალურად დაფიქსირებულია, რომ ი. ხ-ი აღნიშნულ მისამართზე არ ცხოვრობდა. მეზობლების გადმოცემით მას ბოლო 10 წლის განმავლობაში არ უცხოვრია ბ-ის ქ. №45-ში. აღმოჩნდა, რომ დასახელებულ მისამართზე გ. ხ-ის ყოფილ მეუღლეს – ტ. ს-ს ეკავა 6 ოთახი, მათ შორის, №25, №26, №28 ოთახები.

1993 წლის 16 აგვისტოს ნ. ლ-მ კუთვნილი ფართიდან ტ. ს-ს გამოსახლების მოთხოვნით განცხადებით მიმართა მთანმინდის რაიონის სასამართლოს.

1993 წლის 18 აგვისტოს სასამართლო აღმასრულებელ რ. დ-ის მიერ ბ-ის ქ. №45-ში მდებარე სახლის ნაწილში მცხოვრები ტ. ს-ს, წერილობითი გაფრთხილების შემდეგ, 1993 წლის 23 აგვისტოს ნ. ლ-მ ამავე მისამართზე მდებარე სახლში დაიკავა თავისი კუთვნილი ფართი, რომელშიც იმყოფებოდა ან გარდაცვლილი გ. ნ-ის ძე ხ-ის ყოფილი მეუღლის – ტ. ს-ს ოჯახი.

ტ. ს-ა მიიჩნევდა, რომ ნ. ლ-ს სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე არ უნდა დაეკავებინა მიკუთვნებული წილი. აქედან



გამომდინარე, 1993 წლის 28 სექტემბერს აღმასრულებელმა შეადგინა აქტი და სადავო ოთახები დაილუქა, რაზეც ლ-სა და ს-ს ოჯახებმა თანხმობა განაცხადეს.

1993 წლის 1 ოქტომბერს ნ. ლ-მ სარჩელი აღძრა ტ. ს-სა და ი. ხ-ის მიმართ და მოითხოვა 1992 წლის 22 აგვისტოს ნასყიდობის ხელშეკრულებით მის საკუთრებაში გადასული №25, №26, №28 და №281 ოთახების გათავისუფლება.

მთანმინდის რაიონის სასამართლოს 1993 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა, ტ. ს-სა და ი. ხ-ი გამოსახლდნენ ბ-ის ქ. №45-ში მდებარე №25, №26, №28 და №281 ოთახებიდან.

1994 წლის 11 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლომ ზემოთმითითებული გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე განსახილველად დაუბრუნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

1995 წლის 16 ივნისს ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებულ სარჩელს უარი ეთქვა.

1995 წლის 28 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა თბილისის ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 26 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე რაიონის სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

1995 წლის 10 ოქტომბრის აქტით დადგენილია, რომ ნ. ლ-მ მოხსნა ლუქი და თავის ოჯახთან ერთად დაიკავა ზემოაღნიშნული ოთახები.

1995 წლის 4 დეკემბერს ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელზე საქმის წარმოება შეწყდა, ხოლო შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა, მოსარჩელები სადავო ოთახებიდან გამოსახლდნენ.

1996 წლის 30 იანვარს თბილისის საქალაქო სასამართლომ გააუქმა ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა იმავე რაიონის სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 30 იანვრის განჩინებით ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 1995 წლის 4 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმების შემდეგ ტ. ს-მ და ი. ხ-მა საზედამხედველო საჩივრით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

უზენაესმა სასამართლომ 1996 წლის 29 სექტემბრის განჩი-



ნებით თბილისის საქალაქო სასამართლოს 1996 წლის 30 იანვრის განჩინება მიიჩნია კანონიერად.

1996 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით რაიონულ სასამართლოში დაბრუნებული საქმე, საბოლოოდ, 5 წლის შემდეგ გადაეცა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 16 ივლისის განჩინებით ზემოთ დასახელებულ საოქალაქო საქმეზე წარმოება შეწყდა.

თბილისის საოქალაქო სასამართლოს საოქალაქო, სამენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2002 წლის 21 მარტის განჩინებით გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს 2001 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე განსახილველად დაუბრუნდა იმავე რაიონულ სასამართლოს.

1994 წელს ნ. ლ-მ ლ. ხ-საგან (ან გარდაცვლილი გ. ხ-ის მეუღლე) დამატებით შეიძინა ამ უკანასკნელის სამემკვიდრეო წილი, რაზეც ასევე მიმდინარეობდა სასამართლო დავა.

რაიონულმა სასამართლომ საქმეში არსებული არაერთი სასამართლო გადაწყვეტილებიდან გამომდინარე უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმაზე დატანილი №18, №19, №27, №30, №31 საცხოვრებელი ოთახები თანასაკუთრებაში ეკუთვნოდათ ნ. ლ-ს, ო. ს-სა და ი. ხ-ს. აქედან, ნ. ლ-ს იდეალური წილი შეადგენდა 1/4-ს, ო. ხ-ს-ის წილი – 2/4-ს, ხოლო ი. ხ-ის იდეალური წილი – 1/4-ს. სადავო ბინიდან საცხოვრებელი ოთახების ფართი შეადგენდა 53.81 კვ. მეტრს. აღნიშნული ფართიდან 1/4 იდეალური წილი იყო 13.46 კვ.მ, ხოლო 2/4 იდეალური წილი 26.28 კვ.მ. მხარეთა განმარტებითა და ექსპერტიზის დასკვნით დგინდებოდა, რომ შენობის პირველ სართულზე მითითებული №18 და №19 ოთახები ფაქტობრივად დაკავებული ჰქონდათ ე.წ. „ატსტუჰნოის წესით“ ქალს ორ მცირეწლოვან ბავშვთან ერთად. მე-2 სართულზე მდებარე №30 და №31 ოთახები ეკავა ო. და ი. ხ-ების დედას ტ. ს-ს, ხოლო №27 ოთახში მოთავსებული იყო ო. ხ-ს საოჯახო ნივთები. თავად ხ. ამ დროისათვის საქართველოში არ ცხოვრობდა. №27 და №31 ოთახებს შესასვლელი ჰქონდათ დერეფნიდან, ისევე როგორც №30 ოთახს. №27 ოთახი, რომლის ფართობი იყო 16.4 კვ.მ, განლაგებული იყო ნ. ლ-ს საკუთრებაში არსებული №26 და №28 ოთახების მომიჯნავედ და ამ ოთახებთან გააჩნდა საერთო კედლები. აქედან გამომდინარე, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. ლ-ს სარ-

ჩელის მოთხოვნა შენობა-ნაგებობის საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული №27 ოთახის რეალურად გამოყოფის თაობაზე საფუძვლიანი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილებით, რომლის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებასაც კერძო საჩივრის ავტორები მოითხოვენ, გაუქმდა თბილისის კრწანისი-მთანმინდის რაიონული სასამართლოს 2004 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ლ-ს სარჩელი ო. და ი. ხ-ების მიმართ საზიარო უფლების გაუქმების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ო. ხ-ს-ის შეგებებული სარჩელი ნ. ლ-ს მიმართ საზიარო უფლების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა ტ. ს-ს, ო. ხ-ს-ისა და ი. ხ-ის სარჩელი მ. ლ-ს, ნ. ლ-ს და ნ. კ-ის მიმართ აღსრულების შებრუნების, მოპასუხეების ბინიდან გამოსახლებისა და ბინაში მათი შესახლების შესახებ. სააპელაციო პალატამ აღნიშნული გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ 1993 წლის 23 აგვისტოს მოსარჩელების სადავო ფართიდან გამოსახლება უკანონოდ მოხდა, ვინაიდან არ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მათი ბინიდან გამოსახლების თაობაზე. პირიქით, 1993 წლის 16 აგვისტოს ნ. ლ-მ მოითხოვა 1992 წლის 14 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულება, რომლის დავის საგანს საერთოდ არ წარმოადგენდა მოპასუხეთა ბინიდან გამოსახლება, არამედ ამ გადაწყვეტილებით მოხდა სადავო სახლის 1/2 იდეალური წილების შესაბამისად მხარეებისათვის რეალური წილების გამოყოფა, შესაბამისად, არ არსებობდა მოსარჩელების გამოსახლების კანონიერი საფუძველი. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღსრულების შებრუნება – ნ. ლ-ს, მ. ლ-სა და ნ. კ-ის ბინიდან გამოსახლება და ტ. ს-ს, ო. ხ-სა და ი. ხ-ის მოთხოვნა ბინაში შესახლების თაობაზე უსაფუძვლო იყო, ვინაიდან სადავო ფართი №25, №26, №28 და №281 ოთახები საკუთრების უფლებით ირიცხებოდა ნ. ლ-ს, მ. ლ-სა და ნ. კ-ის სახელზე. სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლით კი უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის უფლება გააჩნდა მხოლოდ მესაკუთრეს.

მოცემულ შემთხვევაში კერძო საჩივრის ავტორები საქმის წარმოების განახლების საფუძვლად მიიჩნევენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თბილისი სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო ჩანაწერში დაშვებული ტექნიკური ხასიათის უსწორობის

გასწორებას. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემული, საქმეში წარმოდგენილი ამონაწერის თანახმად, ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე ქონებაზე მესაკუთრეების წილი განსაზღვრულია შემდეგნაირად: ო. ს-ი – 1/12, ნ. ლ-ა, მ. ლ-ა – 1/3, დ. კ-ე – 1/2, ი. ხ-ი – 1/24, ნ. ლ-ა – 1/24. აღნიშნული ამონაწერის თანახმად, აღრიცხული არ არის მესაკუთრეთა რეალური წილები, არამედ მითითებული მხოლოდ მათ კუთვნილ იდეალურ წილებზე. საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად, რომლის შესაბამისადაც იქნა მიღებული სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ირკვევა შემდეგი: (2006 წლის 14 ივნისის ამონაწერი) სადავო მისამართზე მდებარე საერთო სარგებლობის 346,57 კვ.მ ფართის (მათ შორის საცხოვრებელი ფართის 323,96 კვ.მ) უძრავი ქონებიდან ნ. ლ-სა და მ. ლ-ს კუთვნილი წილი განსაზღვრულია 8/24 ნაწილით (დღეის მდგომარეობით არსებული ჩანაწერით კი – 1/3) საცხოვრებელი ოთახი №15; №16, №25, №26, №28 და დამხმარე სათავსები: №4, №41, №15, №17 და №281, ხოლო 4/24 (დღეის მდგომარეობით არსებული ჩანაწერის შესაბამისად 1/6) წილიდან, ნ. ლ-ს საკუთრებაა 1/4 ანუ დღეს არსებული 1/24 (მითითებულია რეალური წილი, საცხოვრებელი ოთახები: №18, №19, №27, №30, №31, დამხმარე სათავსები: №181, №191, №311, №271). 2008 წლის 5 ივნისის მდგომარეობით შედგენილ ამონაწერში მითითებულია 8/24, ანუ 1/3 ნ. ლ-სა და მ. ლ-ს საკუთრება, 4/24 ნაწილიდან, ანუ 1/6 ნაწილიდან 1/4 (ანუ 1/24) ნ. ლ-ს საკუთრება, ამ 1/6 წილის 2/4 ნაწილი (ანუ საერთო ფართის 2/24) ო. ს-ის, ხოლო საერთო საკუთრების 1/6 წილის 1/4 (ანუ 1/24) წილი ი. ხ-ის საკუთრებაა. ამავე ამონაწერით განსაზღვრულია ნ. ლ-სა და მ. ლ-ს, ასევე ნ. ლ-ს რეალური წილები თანასაკუთრებიდან, რაც ემთხვევა 2006 წლის 14 ივნისის მდგომარეობით შედგენილ ამონაწერში აღნიშნულ რეალურ წილებს. აღნიშნული ამონაწერებისა და საქმის წარმოების განახლების საფუძველად წარმოდგენილი ამონაწერის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის შესაბამისად შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა ასკვნის, რომ განსხვავება მხოლოდ ახალ ამონაწერში რეალური წილების მიუთითებლობაა.

პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილ ფიქციაზე, რომ რეესტრის მონაცემების მიმართ მოქმედებს უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფცია, ე. ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა. აღნიშნული ნორმის, საქმის მა-

საღებისა და კერძო საჩივრის საფუძვლების ანალიზის შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ რეესტრის ჩანაწერებს არ განუცდია რა არსებითი ცვლილება, რასაც გარკვეულწილად ეთანხმებიან კიდევაც კერძო საჩივრის ავტორები, აღნიშნულის ახლად აღმოჩენილ გარემოებად მიჩნევის წინაპირობა არ არსებობს.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს ასევე კერძო საჩივრის პრეტენზიაზე რეალური წილებისა და იდეალური წილების განსაზღვრის უსწორობის ნაწილში და უსაფუძვლობის გამო ვერ დაეთანხმება აღნიშნულს. პირველ ყოვლისა უნდა მიეთითოს იმ გარემოებაზე, რომ საქმეში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ბოლო ამონაწერის თანახმად, სადაც მხოლოდ მხარეთა იდეალურ წილებზეა მითითებული და აღარაა აღნიშნული თითოეული თანამესაკუთრის კუთვნილი რეალური წილების შესახებ. აღნიშნული ფაქტი უსაფუძვლოს ხდის კერძო საჩივრის ავტორთა პრეტენზიას საჯარო რეესტრის ბოლო ამონაწერამდე არსებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, ვინაიდან საქმის განხილვის ამ ეტაპზე აღარ არსებობს რეალური წილების თაობაზე მითითება. საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნებზე, სადაც საუბარია თანასაკუთრების გაყოფასა და რეალური წილების კუთვნილებაზე. 2003 წლის 20 მაისის დასკვნის შესწავლით ირკვევა, რომ ექსპერტს სხვა საკითხებთან ერთად დაევალი იმის გარკვევა, 1970 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით გამოყოფილი 18,40 კვ.მ №3, 16,64 კვ.მ №4 და 12,77 კვ.მ №5, სულ 47,81 კვ.მ ოთახებ, რომლებშიც ტ.ს-ა იყო შესახლებული შვილებთან ერთად არის თუ არა №25, №26 და №28 ოთახები, რომლიდანაც გამოსახლდა ტ.ს-ა, უარყოფით შემთხვევაში, რომელ ოთახებს შეადგენს 1970 წლის სასამართლო გადაწყვეტილებით გამოყოფილი №3, №4 და №5 ოთახები. ექსპერტის დასკვნის თანახმად, განჩინებაში დასმულ კითხვებზე სრულყოფილი პასუხის გაცემისათვის (მე-2, მე-3 კითხვები) საჭირო იყო სადავო ბინის საინვენტარიზაციო გეგმის 1970 წლის მდგომარეობით წარმოდგენა, რის შესახებაც მიმდინარე წლის 8 აპრილს №352/15 ექსპერტის შუამდგომლობით ეთხოვა სასამართლოს, მაგრამ აღნიშნული წარმოდგენილი არ იქნა, ამდენად, ექსპერტი განჩინების მე-2 და მე-3 კითხვებზე კვლევას არ აწარმოებს. საქმის მასალებით დადასტურებულია ის ფაქტიც, რომ ტექნიკურ მოწმობებში 1970 წლის მდგომარეობით სადავო სახლის საინვენტარიზაციო გეგმა არ იქებნება.

საქმის მასალებში ასევე წარმოდგენილია სსიპ „ლ.სამხარა-

ულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2007 წლის 23 თებერვლის დასკვნა სადაც ექსპერტს კვლევისათვის დაესვა შემდეგი კითხვები: ა) ფაქტობრივად რა ფართს შეადგენს ქ.თბილისში, ბ-ის ქ. №45-ში მდებარე სახლის №18, 19, 27, 30, 31 საცხოვრებელი ოთახები და №181, №191, №271, №311 დამხმარე სათავსები; ბ) აზომვის შედეგების შესაბამისად, რა ფართს შეადგენს ო.ს-ის 2/4; გ.ხაპროვის 1/4 და ნ.ლ-ს 1/4 იდეალური წილი; გ) როგორ არის შესაძლებელი ბ-ის ქ. №45-ში მდებარე სახლის №18, 19, 27, 30, 31 საცხოვრებელიდან და №181, №191, №271 და №311 დამხმარე სათავსებიდან, ო. ს-ის 2/4, ი. ხ-ის 1/4 და ნ. ლ-ს 1/4 იდეალური წილების შესაბამისად რეალური წილის გამოყოფა, მათ მიერ ფაქტიურად დაკავებული ოთახების ფართობისა და შესაძლო ტექნიკური გადაკეთებების გათვალისწინებით, ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, მათ მიერ ფაქტობრივი ფლობის გაუთვალისწინებლად; დ)არის თუ არა ერთი და იგივე 1970 წლის გადაწყვეტილებით გამოყოფილი №3 – 18,4 კვ.მ, №4 – 16,64 კვ.მ და №5 – 12,77 კვ.მ ოთახები, რომელშიც ტ.ს-ა იყო შესახლებული შეილებთან ერთად დღევანდელი დანომვრით №25, 26 და 28 ოთახები, საიდანაც გამოსახლებული იყო ტ.ს-ა, თუ №3-4-5 ოთახები არ არის №25-26-28 ოთახები გთხოვთ მიგვითითოთ რომელია №3, 4, 5 ოთახები. აღნიშნულ კითხვებზე ექსპერტმა გასცა შესაბამისი დასკვნა იდეალური წილების შესაბამისად, თუმცა იდეალური წილების რეალურად გამოყოფის ნაწილში დასკვნა კატეგორიული ხასიათისაა და განსაზღვრულია, რომ ზუსტად იდეალური წილების შესაბამისად ფართის გაყოფა ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელია, სასამართლოს მე-4 კითხვასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა შემდეგი: კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1970 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილებით მოხსენიებული №3 ფართით 18,4 კვ.მ, №4 – 16,64 კვ.მ და №5 – ფართით 12,77 კვ.მ საცხოვრებელი ოთახები ნუმერაციის მიხედვით განთავსებული უნდა იყოს სარდაფის სართულში. საინვენტარიზაციო გეგმების მიხედვით, სარდაფში განთავსებული №3 სათავსი ფართით 9,66 კვ. მეტრს, №4 ოთახი, ფართით 16,64 კვ.მ არც ერთ საქმეში მოცემულ გეგმაზე არ არის დატანილი, გამონაკლისს წარმოადგენს №5 ოთახი, ფართით 12,77 კვ.მ, რომელიც ფართობრივად თანხვედრია 1970 წლის მდგომარეობით გაცემულ საინვენტარიზაციო გეგმაზე მითითებული, მე-2 სართულზე მდებარე №30 ოთახის ფართისა. სასამართლოსათვის საინტერესო №3, №4 და №5 ოთახები თუ რომელი ოთახებია

ექსპერტმა ვერ უპასუხა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მიუხედავად იმისა, რომ დღეს არსებული ამონაწერით მხარეთა რეალური წილები არ არის აღრიცხული, არამედ ირკვევა თანასაკუთრების თაობაზე, ასევე საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ კერძო საჩივრის ავტორების მიერ მოთხოვნილი ოთახებისა და კალინინის რაიონის სასამართლოს 1970 წლის გადაწყვეტილებით სარგებლობის უფლებით გადაცემული ოთახების იდენტიფიკაცია არ დასტურდება, კერძო საჩივრის ავტორებს კი არ წარუდგენიათ ექსპერტიზის დასკვნის გამაქარწყლებელი მტკიცებულება, პალატა ვერ დაეთანხმება მათ მოსაზრებას, აღსრულების შეზღუდვის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, ამასთანავე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებით, აღნიშნული სწორედ მათი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

საკასაციო პალატა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში აღარაა განსაზღვრული მე-საკუთრეთა რეალური წილები, ამასთან, არც კერძო საჩივრის ავტორების რეალური წილები არ განსაზღვრულა ახლებურად, მათ არ წარმოუდგენიათ მტკიცებულება სადავო ოთახებზე მათი უფლების თაობაზე და არ გაუქარწყლებიათ საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნები საწინააღმდეგო გარემოებებით (რომ სადავო ოთახები, რომელთა მიმართაც აღსრულების შეზღუდვას მოითხოვდნენ სწორედ კალინინის რაიონის სასამართლოს 1970 წლის გადაწყვეტილებით გადაცემული ოთახებია), ამასთანავე, განსახილველი დავის საგანს საჯარო რეესტრის ჩანაწერში ცვლილების შეტანა არ წარმოადგენს, ანუ სადავო ფართზე იკვეთება მხარეთა თანასაკუთრების უფლება, მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 955-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმადაც თითოეულ მონილეს ეკუთვნის თავისი წილის თანაზომიერი ნაყოფის ნაწილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით, თუ მხარისათვის ცნობილი გახდა ისეთი გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც, ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში საქმის განხილვის დროს, გამოიწვევდა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების გამოტანას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ერთმნიშვნელოვნად ითქვას,

რომ საქმის წარმოების განახლების საფუძველი შეიძლება გახდეს არა ზოგადად გარემოება, მტკიცებულება ან ფაქტი, რომლის თაობაზეც მხარისათვის საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ობიექტურად არ იყო ცნობილი, არამედ სწორედ ისეთი გარემოება, რაც საქმის სხვაგვარად გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. განსახილველ შემთხვევაში ო. ს-ი, ტ. ს-ა და ი. ხ-ი ვერ ადასტურებენ რა საჯარო რეესტრის ჩანაწერში არსებითი ხასიათის შესწორების შეტანას, რაც მათი წილის სხვაგვარად განსაზღვრას გამოიწვევდა, ასევე ვერ გააქარწყლეს რა საქმეში არსებული ექსპერტის დასკვნები თანასაკუთრების ნატიურით გაყოფის შეუძლებლობისა და კალინინის რაიონის სასამართლოს 1970 წლის გადაწყვეტილებით სარგებლობის უფლებით მათთვის გადაცემული ოთახების სადავო ოთახებთან იდენტიურობის თაობაზე, ამასთან ახალი ამონაწერით ირკვევა მხარეთა თანასაკუთრება იდეალური წილების პირობებში, საკასაციო პალატა თვლის, რომ მხარეთა მიერ ახლად აღმოჩენილ გარემოებებზე მითითებული ფაქტები და მტკიცებულებები საქმის წარმოების განახლების, აღსრულების შებრუნებისა და მონინალმდეგე მხარეთა გამოსახლების უალტერნატივო წინაპირობის არსებობას არ ადასტურებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე მუხლის მე-2 ნაწილის პირველი წინადადების თანახმად, თუ აღმოჩნდება, რომ საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადება უსაფუძვლოა, სასამართლო გამოიტანს განჩინებას განცხადების დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. დასახელებული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ სწორად უთხრა განმცხადებლებს საქმის წარმოების განახლებაზე უარი და არ არსებობს ამ განჩინების გაუქმების საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ გასაჩივრებული განჩიონება არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

რაც შეეხება კერძო საჩივრის ავტორების პრეტენზიას სააპელაციო პალატის მიერ განჩინებაში დაშვებული უსწორობის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნულთან მიმართებით განმარტავს შემდეგს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესი, რომელიც არეგულირებს საპროცესო დოკუმენტებში დაშვებული უსწორობის გასწორების საკითხს ადგენს სასამართლოს შესაძლებლობას მხარეთა თხოვნით, ან საკუთარი ინიციატივით გაასწოროს დაშვებული უსწორობა, ნორმის მითითება – სასამართლო შეუძლია გაასწოროს, მოიაზრებს სწორედ საპროცესო დოკუმენტის მიმღებ სასამარ-



თლოს და არა ზემდგომ სასამართლოს, ამდენად, მითითებული საკითხი სწორედ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი შეიძლება გახდეს, ამასთანავე, ნიშანდობლივია, რომ ტექნიკური ხასიათის უზუსტობანი, მათი დადასტურების შემთხვევაშიც კი, არ შეიძლება გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად იქნას მიჩნეული.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე, 420-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. ს-ის, ი. ხ-ისა და ტ. ს-ს კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 14 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.



# კერძო საჩივრის შეტანის ვადა

## ბანრინება

№ას-30-30-2012

3 თებერვალი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**მოსამართლე ბ. ალავეიძე**

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლემ ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე ე. ჩ-ის წარმომადგენელ გ. მ-ის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 დეკემბრის განჩინებაზე, საქმეზე – ა. ჩ-ის სარჩელის გამო, ე. ჩ-ის მიმართ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. ჩ-ის წარმომადგენელ გ. მ-ის განცხადება საპროცესო ვადის აღდგენის შესახებ უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

2012 წლის 6 იანვარს საქართველოს უზენაეს სასამართლოს განსახილველად გადმოეცა ე. ჩ-ის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 დეკემბრის განჩინებაზე.

საკასაციო სასამართლოს 2012 წლის 16 იანვრის განჩინებით ე. ჩ-ის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად, რადგანაც საკასაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება, სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე, ე. ჩ-ის წარმომადგენლებს გაეგზავნათ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით და ნ. გ-ს ჩაბარდა 2011 წლის 7 დეკემბერს, ხოლო გ. მ-ემ განჩინება ჩაიბარა 2011 წლის 22 დეკემბერს. საკასაციო სასამართლომ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წარმომადგენლისათვის სასამართლო შეტყობინების ჩაბარება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად მიიჩნია. საკასაციო პალატის ზემოაღნიშნული განჩინებით არ იქნა გაზიარებული ე. ჩ-ის წარმომადგენელ გ. მ-ის მიერ კერძო საჩი-

ვარში აღნიშნული გრემოება, რომ მხარემ (ე. ჩ-მა) უარი თქვა ნ. გ-ის წარმომადგენლობაზე პირველი ინსტანციის სასამართლოში სარჩელის განხილვის დასრულების შემდეგ, რადგანაც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 99-ე მუხლის იმპერატიული მოთხოვნის თანახმად, აღნიშნულის დამადასტურებელი წერილობითი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვებოდა და არც სხვა გზით დასტურდებოდა, მითითებული გარემოების გათვალისწინებით, პალატამ ჩათვალა, რომ კერძო საჩივრის შეტანის 12-დღიანი ვადის დენა დაიწყო 2011 წლის 8 დეკემბრიდან, მაშინ, როცა სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 2 დეკემბრის განჩინება ჩაბარდა ე. ჩ-ის წარმომადგენელთაგან პირველს – ნ. გ-ს და დამთავრდა 2011 წლის 19 დეკემბერს, კერძო საჩივარი კი, მეორე წარმომადგენელ გ. მ-ის მიერ შეტანილი იყო 2011 წლის 27 დეკემბერს, საპროცესო ვადის დარღვევით. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 420-ე მუხლის, 396-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 416-ე მუხლისა და მე-60 მუხლის თანახმად, არ არსებობდა ე.ჩ-ის კერძო საჩივრის განსახილველად მიღების წინაპირობა.

2012 წლის 26 იანვარს ე. ჩ-ის წარმომადგენელმა გ.მ-ემ განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-69-ე მუხლების, ასევე 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა დარღვეული საპროცესო ვადის საპატიოდ მიჩნევის, ასევე მისი აღდგენის მოთხოვნით შემდეგი საფუძველებით:

განმცხადებლის განმარტებით, არც მისთვის და არც მარწმუნებელ ე. ჩ-ისათვის ცნობილი არ იყო ე.ჩ-ის ყოფილი წარმომადგენლის – ნ. გ-ის მიერ საკუთარი ინიციატივით სააპელაციო საჩივრის შეტანის თაობაზე, ასევე სასამართლოს მიერ საჩივარზე დადგენილი ხარვეზის შესახებ, რის შეტყობინების ვალდებულებაც ნ. გ-ს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად გააჩნდა და მან აღნიშნული ვალდებულება უხეშად დაარღვია. წარმომადგენლის არასწორი ქმედების გამო მარწმუნებელს წაერთვა შესაძლებლობა, ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებში დაიცვას მისი უფლებები.

საკასაციო სასამართლო მხარის ზემოაღნიშნული არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე თვლის, რომ გ.მ-ის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებებიდან, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილებით იმპერა-

ტიულადაა დადგენილი, რომ საპროცესო მოქმედება სრულდება კანონით დადგენილ ვადაში. სასამართლო გადაწყვეტილებებისა და განჩინებების გასაჩივრების კანონით განსაზღვრული ვადების გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. აღნიშნული ნორმა ზოგადი ხასიათისაა და ვრცელდება ყველა ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის ამა თუ იმ საპროცესო წესის მიმართ, უფრო მეტიც, კანონმდებლის ზემოაღნიშნული პოზიცია გამყარებულია თითოეული ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების სპეციალურ წესებში.

რაც შეეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-10 კერძო საჩივრის განხილვას, საკასაციო პალატა მიუთითებს ამავე კოდექსის 416-ე მუხლზე, რომელიც ამ წესით საქმის განხილვისათვის სპეციალურ ნორმას წარმოადგენს და დადგენილია, რომ კერძო საჩივრის შეტანის ვადაა 12 დღე. ამ ვადის გაგრძელება ან აღდგენა დაუშვებელია. იგი იწყება მხარისათვის განჩინების გადაცემის მომენტიდან ან მხარისათვის სასამართლო სხდომაზე მისი გამოცხადებიდან, თუ განჩინების გამოცხადებას ესწრებოდა კერძო საჩივრის შეტანის უფლების მქონე პირი. განჩინების გადაცემის მომენტად ითვლება განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ამ კოდექსის 70-ე-78-ე მუხლების შესაბამისად.

იმ უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ კანონით ზემოაღნიშნული 12-დღიანი ვადა მხარის მიერ დარღვეულია, რაც არც განცხადებით გაუხდია სადავო მხარეს, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს ე. ჩ-ის წარმომადგენელ გ. მ-ის განცხადების დაკმაყოფილების საფუძველი.

ამასთანავე, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს, რომ განცხადებაში მითითებული გარემოებები (ნ.გ-ის ბრალეული ქმედებით მხარისათვის უფლების ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაცვის შეზღუდვის შესახებ) საქმის მასალებით არ არის დადასტურებული, არამედ ემყარება მხოლოდ გ. მ-ის განმარტებებს (არ დასტურდება ნ. გ-ისათვის უფლებამოსილების კანონით დადგენილი წესით გაუქმება), ხოლო განცხადების არგუმენტები, კერძო საჩივრის შეტანისათვის საპროცესო ვადის აღდგენის შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც კი, არ ქმნის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემადგენლობას, ხოლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 65-69-ე მუხლების მოქმედება განსახილველ შემთხვევას არ არეგულირებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ე. ჩ-ის წარმომადგენელ გ. მ-ის განცხადება უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების საფუძველი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე, 416-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ე. ჩ-ის წარმომადგენელ გ. მ-ის შუამდგომლობა საპროცესო ვადის გაშვების საპატიოდ მიჩნევისა და ამ ვადის აღდგენის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**აღსრულების ღონისძიების გაუქმება**

**განჩინება**

№ას-428-406-2012

7 მაისი, 2012 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. კვანტალიანი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავეიძე

**დავის საგანი:** აღსრულების ღონისძიების გაუქმება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ჩ-ამ სარჩელი აღძრა სასამართლოში მ. მ-ისა და ბ. გ-ას მიმართ დაყადაღებული ქონების აღწერის სიიდან მის პირად საკუთრებაში არსებული ნივთების ყადაღის სიიდან ამორიცხვის მოთხოვნით.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით ლ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მ. მ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. მ-ის საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის გამო და მის სახელზე გაიცა სააღსრულებო ფურცელი. აღნიშნული საქმე ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა არაერთხელ განიხილა.

2012 წლის 25 იანვარს მ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და მოითხოვა აღსრულების ღონისძიების გაუქმება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინებით მ. მ-ის განცხადება აღსრულების ღონისძიების გაუქმების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით, ლ. ჩ-ას სარჩელი დაკმაყოფილდა. სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებო ბიუროს 2006 წლის 7 ივნისის მოვალე ბაჩუკი ქ-ას ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ამორიცხულ იქნა და გათავისუფლდა ყადაღისაგან შემდეგი დასახელების ნივთები: საძინებელი გარნიტური (კარადა, „ტრილიაჟი“, 2 ცალი ტუმბო, 2 ცალი სანოლი), მისაღები ოთახის გარნიტური (მაგიდა, 4 ცალი სკამი, გასაშლელი დივანი, 2 ცალი სავარძელი, პატარა მაგიდა, კარადა), ფერადი ტელევიზორი, მაცივარი, ელექტროღუმელი, წიგნების კარადა, კედლის წიგნების კარადა, სამზარეულო გარნიტური.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სააღსრულებლო ბიუროს 2006 წლის 7 ივნისის მოვალე ბ. გ-ას ქონების აღწერისა და დაყადაღების აქტიდან ამორიცხულ იქნა და გათავისუფლდა ყადაღისაგან შემდეგი დასახელების ნივთები: ელექტროღუმელი, წიგნების კარადა და კედლის წიგნების კარადა. დანარჩენ ნაწილში გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი. მ. მ-ეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 156 ლარისა და 60 თეთრის გადახდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის. ლ.

ჩ-ას სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის დაეკისრა სახელმწიფო ბაჟი 150 ლარის გადახდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2011 წლის 20 იანვრის განჩინებით მ. მ-ის საკასაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველად. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში, გაცემულია სააღსრულებო ფურცელი. 2012 წლის 25 იანვარს მ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს და, ფინანსური სიდუხჭირის გამო, მოითხოვა სასამართლოს მიერ მისთვის დაკისრებული ბაჟის ნაწილში წარმოებული აღსრულების ღონისძიების გაუქმება, თანახმად „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის“ 31-ე მუხლისა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოცემულ საქმეზე მ. მ-ემ თავისი განცხადებებით არაერთხელ მოითხოვა გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება და სააღსრულებო წარმოების შეწყვეტა და სააპელაციო სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის უკან გამოთხოვა, რაზედაც სასამართლომ მრავალჯერ იმსჯელა და არაერთი განჩინება გამოიტანა. უზენაეს სასამართლოში აღნიშნულ განჩინებებს მ. მ-ე კერძო საჩივრებით ასაჩივრებდა, ასევე არსებობს უზენაესი სასამართლოს არაერთი განჩინება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განჩინებების უცვლელად დატოვების თაობაზე ზემოთ ხსენებულ განცხადებებზე.

მ. მ-ის მიერ მოხმობილი ნორმა თავისი პოზიციის გასამყარებლად, პალატამ არ გაიზიარა და განმარტა: „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლში აღნიშნულია შემდეგი: 1. ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას, აგრეთვე, ამავე კანონის 83-ე, 84-ე და 90<sup>1</sup> მუხლებით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისას, თუ, აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობის, გარდაცვალებისა ან სხვა საგანგებო შემთხვევის) გამო, შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნული ბიუროს შეუძლია, არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია, დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე. (17.06.2011, №4827 ამოქ-

მედდეს 2011 წლის 1 ივლისიდან). ამავე კანონის მეორე მუხლში აღნიშნულია: თუ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ფაქტობრივი ვითარება არ შეიცვლება, მოვალის განცხადების საფუძველზე სასამართლოს შეუძლია, მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს იძულებითი აღსრულების ღონისძიება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს ესა თუ ის ღონისძიება არა უმეტეს 3 თვის ვადით.

პალატამ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არათუ სასამართლო, არამედ აღსრულების ეროვნული ბიურო წყვეტს საკითხს მის მიერ დადგენილი აღსრულების ვადის ერთჯერადად გაგრძელებაზე იმ საფუძველების არსებობისას, რაზეც ამ მუხლშია მითითებული (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალების ან სხვა საგანგებო შემთხვევისას). კონკრეტულ შემთხვევაში, მ. მ-ეს ასეთი განცხადებით აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის არ მიუმართავს და, შესაბამისად, დადგენილ ვადასაც ვერ გაუგრძელებდა.

მ. მ-ის ასეთი ტიპის მოთხოვნის სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებისთვის ერთჯერადად დადგენილ ვადას გააგრძელებს და, მიუხედავად ამისა, მოცემული სიტუაცია (მოვალე-გადამხდელისა) მაინც არ შეიცვლება. უდავოდ დგინდება, რომ აღნიშნულ საკითხზე აღსრულების ღონისძიების გაუქმების საკითხზე, უნდა არსებობდეს მოვალის განცხადება თვით აღსრულების ბიუროსადმი, შემდეგ აღსრულების ბიურომ ეს დადგენილი ვადა ერთჯერადად უნდა გააგრძელოს 6 თვით და ამ ვადის გასვლის შემდეგ სიტუაციის შეუცვლელიაობის შემთხვევაში მოვალის განცხადების საფუძველზე საკითხს იხილავს სასამართლო.

აღნიშნული განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა მ. მ-ემ შემდეგი დასაბუთებით: 2012 წლის 23 იანვრის განცხადებაში კერძო საჩივრის ავტორი ითხოვდა უკანონოდ დაკისრებული სახელმწიფო ბაჟის – 156 ლარისა და 60 თეთრის გადახდის შესახებ აღსრულების ღონისძიების გაუქმებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით. მ.მ-ე სოციალურად დაუცველია და იგი უკანონოდ იმყოფება მოვალეთა რეესტრში, აქედან გამომდინარე, კერძო საჩივრის ავტორს უსაფუძვლოდ მიაჩნია გასაჩივრებული განჩინება და ითხოვს გაუქმებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2010 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებით მ. მ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, შესაბამისად, მ. მ-ეს დაეკისრა სახელმწიფო ბაჟის 156 ლარისა და 60 თეთრის გადახდა სააპელაციო ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისათვის. აღნიშნულ გარემოებას მ. მ-ე ხდის სადავოდ შემდეგი დასაბუთებით: გადაწყვეტილების მიღების მომენტისათვის კერძო საჩივრის ავტორი წარმოადგენდა სოციალურად დაუცველ პირს და მას არ უნდა დაკისრებოდა სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

ქუთაისის სააპელაციო და საქართველოს უზენაესმა სასამართლოებმა არაერთხელ იმსჯელეს მ.მ-ისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრების კანონიერებაზე, ამდენად, საკასაციო სასამართლო კერძო საჩივრის ავტორის ზემოაღნიშნული არგუმენტის ხელახალ შეფასებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

ამასთან, განსახილველ შემთხვევაში, მ. მ-ე ითხოვს აღსრულების ღონისძიების გაუქმებას, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად.

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის თანახმად, ამ კანონის მე-17 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების გამოყენებისას, აგრეთვე ამავე კანონის 83-ე, 84-ე და 90<sup>1</sup> მუხლებით განსაზღვრული მოქმედებების განხორციელებისას, თუ აღსრულების ადგილზე შექმნილი განსაკუთრებული ვითარების (მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა, გარდაცვალება ან სხვა საგანგებო შემთხვევა) გამო შესაბამისი მოქმედების გაგრძელება არ შეესაბამება მორალის ზოგად პრინციპებსა და ნორმებს, მოვალის განცხადების საფუძველზე აღსრულების ეროვნულ ბიუროს შეუძლია არა უმეტეს 6 თვის ვადით გადადოს იძულებითი აღსრულების ესა თუ ის ღონისძიება. აღსრულების ეროვნული ბიურო უფლებამოსილია თავის მიერ დადგენილი ვადა ერთჯერადად გააგრძელოს კიდევ 6 თვემდე ვადით.

ზემოდასახელებული ნორმის ანალიზი ცხადპყოფს, რომ მ. მ-ის ასეთი ტიპის მოთხოვნის სასამართლოს მიერ განხილვის შესაძლებლობას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ მას შემ-



დეგ, რაც აღსრულების ეროვნული ბიურო აღსრულებისათვის დადგენილ ვადას გააგრძელებს და მიუხედავად ამისა, მოცემული სიტუაცია (მოვალე-გადამხდელისა) მაინც არ შეიცვლება. აღსრულების ღონისძიების გაუქმების საკითხზე უნდა არსებობდეს მოვალის განცხადება თვით აღსრულების ბიუროსადმი, შემდეგ, აღსრულების ბიურომ ერთჯერადად უნდა გააგრძელოს დადგენილი ვადა 6 თვემდე და ამ ვადის გასვლის შემდეგ სიტუაციის შეუცვლელობის შემთხვევაში, მოვალის განცხადების საფუძველზე საკითხს განიხილავს სასამართლო.

კონკრეტულ შემთხვევაში, მ. მ-ეს ასეთი განცხადებით აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის არ მიუმართავს და განმცხადებლისათვის აღსრულების ეროვნულ ბიუროს ერთჯერადად არ გაუგრძელებია მის მიერ დადგენილი ვადა. აღნიშნულის გამო, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის შესაბამისად აღსრულების ღონისძიების გაუქმებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მ. მ-ის კერძო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 13 თებერვლის განჩინების გაუქმებასთან დაკავშირებით არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 419-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

მ. მ-ის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 13 თებერვლის განჩინება.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკიეპელი

საარბიტრაჟო შეთანხმება .....	3
სასამართლოს ხარჯების გადახდისაგან გათავისუფლება .....	10
უარი ბაჟის გადახდის გადავადებაზე .....	15
შელავათები სახელმწიფო ბაჟში .....	22
სასამართლო შეტყობინება და დაბარება .....	22
საპროცესო უფლებამონაცვლეობა .....	33
მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასება .....	42; 49; 60
ახალი ფაქტები და მტკიცებულებები .....	77
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება .....	94
სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმება .....	98
მოდრავი ქონების ყადაღისგან გათავისუფლება .....	108
სასამართლო გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი .....	116
საქმის წარმოების შეწყვეტა .....	130; 132
საქმის წარმოების შეწყვეტა .....	132
საქმის წარმოების განახლების საფუძვლები .....	135
კერძო საჩივრის შეტანის ვადა .....	154
აღსრულების ღონისძიების გაუქმება .....	157